

178 /  
1959/3

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა სამართლებრივი

2

1959



# საბჭოთა სამართალი

## № 2

მარტი—აპრილი

1959 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

### ზ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ო წ ი ნ ა ვ ე — სკკბ XXI ყრილობა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარება . . . . .	3
ა. კ ა რ ა ნ ა ძ ე — სახალხო საბჭოები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ქვეყნობრივად დემოკრატიული ორგანოები . . . . .	8
ს. რ ა ს ტ ი — პროფკავშირები შრომის კანონმდებლობის სადარაჯოზე . . . . .	13
ბ. კ ი ზ ი რ ი ა — მშობლის მოვალეობა ბავშვის სწავლებისა და აღზრდის საქმეში . . . . .	20
ნ. დ ა ვ ი თ ი ა — საქმეთა დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების შესახებ . . . . .	23
გ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი — მესამე პირთა სარჩელებზე აღწერილობითი სიდიდან ქონების ამორიცხვის შესახებ . . . . .	28

7835

### ქართული სამართლის ისტორიიდან

მ. ქ ი ქ ო ძ ე — ვახტანგის კანონთა სავალდებულო ძალის საკითხისათვის XVIII საუკუნის სამართალში . . . . .	32
--	----

### წინადადებანი ახალი კანონმდებლო გონიერებისათვის

თ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი — წინადადებანი, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნება სამოქალაქო სამართლის მომავალ საპროცესო კოდექსში . . . . .	40
შ. დ ა რ ბ ი ნ ი ა ნ ი — შემცველი მოსამართლეების ინსტიტუტი მიზანშეწონილია გაუქმდეს . . . . .	46
შ. დ ა ნ ე ლ ი ა — საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის ზოგიერთი მუხლი გადასინჯვას მოითხოვს . . . . .	49

### საუბრაები სახალხო მსაჯულებთან

საუბარი მეექვსე — სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში . . . . .	52
--	----

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ა. ს. შ ი ხ ლ ი ნ ი, ს. ა. შ ლ ი კ ო ვ ი — პირადი ქონების გატაცებისა და ყაჩაღობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ . . . . .	58
---	----

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას . . . . .	63
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში . . . . .	66
ინფორმაცია . . . . .	70
სასამართლო პრაქტიკა . . . . .	73



## СОДЕРЖАНИЕ

стр.

Передовая — XXI съезд КПСС и дальнейшее развитие советской демократии 3

А. Каранадзе — Народные советы — действительно демократические органы государственной власти . . . . . 8

С. Раст — Профсоюзы на страже трудового законодательства . . . . . 13

Б. Кизирия — Обязанности родителей по обучению и воспитанию детей 20

Н. Давитая — О возвращении дел на дополнительное следствие . . . . . 23

Г. Девдариани — Об исключении из описи имущества по искам третьих лиц 28

### ИЗ ИСТОРИИ ПРАВА ГРУЗИИ

М. Кикодзе — К вопросу об обязательной силе законов Вахтанга в праве XVIII века . . . . . 32

### ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Т. Лилуашвили — Предложения, предусмотрение которых целесообразно в будущем Гражданско-процессуальном кодексе . . . . . 40

Ш. Дарбинян — Отмена института заменяющих судей целесообразна . . . . . 46

Ш. Данелия — Необходимо пересмотреть некоторые статьи Кодекса законов о браке, семье и опеке Грузинской ССР . . . . . 49

### БЕСЕДЫ С НАРОДНЫМИ ЗАСЕДАТЕЛЯМИ

Беседа шестая — Рассмотрение гражданских дел в суде . . . . . 52

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. С. Шихлин, С. А. Шлыков — Уголовная ответственность за кражу личного имущества и разбой . . . . . 58

Юридическая консультация населению . . . . . 63

В странах народной демократии . . . . . 66

Информация . . . . . 70

Судебная практика . . . . . 73

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით მნიშვნელოვანი წვლილი იქნა შეტანილი მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესახებ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

ყრილობამ დამაჯერებლად ნათელყო, რომ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია წარმოადგენს კომუნიზმის აშენების ტემპების დაჩქარების ერთერთ უდიდეს საშუალებას, კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში მშრომელთა ჩაბმის მძლავრ იარაღს, რომელიც უსაზღვრო შესაძლებლობებს ქმნის საზოგადოების თვითეული წევრის შემოქმედებითი ინიციატივის, თვითმოქმედების, ნიჭისა და უნარის გამოვლინებისათვის.

ცნობილია, რომ დემოკრატია სოციალიზმის ბაზაზე, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია ნამდვილად ხალხის ხელისუფლებას წარმოადგენს, ე. ი. სწორედ იმას, რაც იგულისხმება ამ ძველი ბერძნული სიტყვის შინაარსით. საბჭოთა დემოკრატიის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ხოლო მის კლასობრივ საფუძველს — მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის, აგრეთვე ჩვენი სახალხო ინტელიგენციის ძმური კავშირი და მეგობრული თანამშრომლობა.

ახალი ტიპის სოციალისტურმა დემოკრატიამ ჩვენს ქვეყანაში თავისი განსახიერება ჰპოვა პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკურ ფორმაში — საბჭოების რესპუბლიკაში, ხოლო ამ დემოკრატიის პრინციპები საკანონმდებლო წესით იქნენ განმტკიცებულნი სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

სოციალისტური დემოკრატიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ისაა, რომ იგი ყოველთვის ვითარდება და სულ უფრო სრულყოფილი ხდება. მაგალითად, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორულ ელემენტებს, რომლებიც საზოგადოების უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ, ჩამორთმეული ქონდათ საარჩევნო უფლება, რაც საეგებიტ გამართლებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო იმპერიალიზმისა და შინაგან კონტრრევოლუციის ბრძოლის პირობებში. შემდგომში კი, საარჩევნო უფლებების ყოველგვარი შეზღუდვები მთლიანად გაუქმებული იყო.

მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ იქმნება ეკონომიური, სოცი-

ალური და პოლიტიკური პირობები თანმიმდევრულად სოციალისტური დემოკრატიის ჭეშმარიტი ზეიმისათვის. მაგრამ საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფა და განვითარება შემდგომშიც ხდება. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, რაც თვით სოციალიზმის ხასიათითა და კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნილებებით, მიზნებითა და ამოცანებით განისაზღვრება. ამიტომ მცდარია იმ ადამიანების შეხედულებანი, რომლებიც ფიქრობენ, რომ საბჭოთა დემოკრატიის განვითარება დაკავშირებულია მარტოოდენ პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის აუცილებლობასთან, ხოლო აქედან ის მცდარი დასკვნა გამოჰყავთ, თითქოს პიროვნების კულტის ლიკვიდაციის შემდეგ საჭირო აღარ არის ზრუნვა დემოკრატიის სრულყოფისათვის.

სინამდვილეში საბჭოთა დემოკრატიზმი განუწყვეტლივ და ყოველმხრივ ვითარდება. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით პარტიის XX ყრილობის შემდეგ მისი ფორმები უფრო მდიდარი და დახვეწილი გახდა.

ამჟამად, მშრომელები კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი კანონების შემუშავებაში. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების დარგში ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე პარტია და მთავრობა მიმართავენ მშრომელებს მათი აზრის გასაგებად — კანონთა პროექტებს აქვეყნებენ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ამ წესით, ათეული მილიონობით საბჭოთა ადამიანთა შიერ განხილვის შემდეგ მიღებული იქნა კანონები სახელმწიფო პენსიების შესახებ, მრეწველობისა და მშენებლობის დარგში მმართველობის გარდაქმნის შესახებ, მტს-ების რეორგანიზაციისა და საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების შესახებ, სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ. ყველა ამ საკითხზე მშრომელები გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს, წინადადებებს და სურვილებს გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, რადიოთი, კრებებზე და თათბირებზე. მარტო იმ კრებებზე, სადაც იხილებოდა შვიდწლიანი გეგმა, მონაწილეობა მიიღო 70 მილიონმა და გამოვიდა დაახლოებით 5 მილიონი კაცი. ხოლო მრავალი ასეული წინადადება შეტანილ იქნა წერილობით ფორმაში. სწორედ ესაა ნამდვილი დემოკრატია, ხალხის ნებასურვილის გამოვლინება.

მასების კოლექტიური გამოცდილების განზოგადების მიზნით ცენტრში და ადგილებზე ხშირად ტარდება ხოლმე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, კულტურის და მეცნიერების მუშაკთა თათბირები, რომლებსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვთ მშრომელთა ინიციატივისა და აქტივობის გაფართოებისათვის, მამასადამე, დემოკრატიის განვითარებისათვის.

სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი განვითარებისა და ამავე დროს დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოება, რასაც უკანასკნელ წლებში აქვს ადგილი. ლიკვიდრებულია ზედმეტი ცენტრალიზმი მეურნეობის მმართველობაში, რესპუბლიკების გამგებლობაში გადავიდა მრავალი ათასი საწარმო, გაფართოვდა რესპუბლიკური ორგანოების უფლებები წარმოების ორგანიზაციის სახსრების განაწილების, ფინანსებზე კონტროლის დარგში და ა. შ. გარდა ამისა, მოკავშირე რესპუბლიკებს გადაეცა კანონმდებლობა სასამართლო წარმოებისა და სა-

სამართლო წყობილების საკითხებზე, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვა კოდექსების მიღება, გაფართოვდა რესპუბლიკური სასამართლო ორგანოების უფლებები და სხვ.

1953 წლის შემდეგ პარტიისა და მთავრობის მიერ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იქნა გატარებული სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით. მიღებული იქნა ზომები, რათა უფრო მტკიცედ იქნას დაცული მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები, რომ არავის არ შეეძლოს დაუსჯელად დაარღვიოს კანონით უზრუნველყოფილი მშრომელთა უფლებები. ამ უფლებების სადარაჯოზე დგანან სპეციალური ორგანოები — საბჭოთა სასამართლო, პროკურატურა, მილიცია და მთლიანად მთელი საბჭოთა სახელმწიფო აპარატი.

საბჭოთა დემოკრატიის განვითარების პროცესისათვის დამახასიათებელია წარმომადგენლობითი ორგანოების — მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლება სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში; მათი მუშაობის ისეთი ფორმების გაფართოება, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა კიდევ უფრო მასობრივად ჩაბმას სახელმწიფოს მართვაში.

უკანასკნელ წლებში ადგილი ქონდა საბჭოების მუშაობის აქტივიზაციას, ისინი უფრო ფართოდ და სრულად იყენებენ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებას, გაცილებით მრავალფეროვანი გახდა საკითხების ის წრე, რომლებსაც საბჭოები იხილავენ და წყვეტენ თავიანთ სესიებზე. ავიღოთ თუნდაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. უკანასკნელ წლებში მან მიიღო გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მრეწველობისა და მშენებლობის მმართველობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ, რესპუბლიკის საავტომობილო გზების მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და ა. შ. განსაკუთრებით საგულისხმოა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გამოცოცხლება, რომლებიც ყველაზე უფრო ახლო დგანან ამომრჩევლებთან და შესაძლებლობა აქვთ ღრმად ჩასწვდნენ მოქალაქეთა მოთხოვნილებებს. სასოფლო, რაიონული, საქალაქო და სამხარეო საბჭოები ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენენ და მთელი მათი საქმიანობა მშრომელთა ინტერესების შესაბამისად ხორციელდება.

საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე, ნათქვამია სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციაში, კიდევ უფრო იზრდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი. ისინი მოწოდებულნი არიან გადამწყვეტი როლი შეასრულონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმის შესრულებაში. ამ მიზნით სისტემატურად უნდა იზრუნონ სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ შვიდწლიანი გეგმის დავალებების შესრულების საკითხებზე, უნდა მიაღწიონ ყველა ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებას წარმოების ამაღლებისათვის. საბჭოების მოვალეობაში შედის ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ზრდისათვის, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის; საბჭოთა ადამიანების აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის; ისინი ხელს უნდა



უწყობდნენ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, მათი შეგნებულობისა და აქტივობის ზრდას. ყველა ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში საბჭოებმა კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ მასებთან კავშირი, აღმოფხვრან საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ელემენტები, უფრო იაფი და სრულყოფილი გახადონ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატი.

პარტიის XXI ყრილობაზე, რომელმაც განიხილა საკითხი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“ პირდაპირ იქნა ხაზგასმული საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების აუცილებლობა. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში და ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ კომუნისტების გაშლილი მშენებლობის პერიოდში სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით განვითარება, მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენების ჩაბმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში მონაწილეობისათვის.

სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსები ყოველნაირად აძაგებენ და ცდილობენ სახელი გაუტეხონ სოციალისტურ დემოკრატიას. მათი აზრით „დემოკრატიზაცია უნდა ნიშნავდეს უარის თქმას მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელ როლზე სოციალიზმის დროს და დაბრუნებას ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმებისაკენ. ამის გარეშე, მათი წარმოდგენით, არც დემოკრატიაა და არც სოციალიზმი. მათთვის დემოკრატია იმის შესაძლებლობაა, რომ თავი გამოიჩინონ საპარლამენტო სიტყვების წარმოთქმით, მოაწყონ პარტიათა შორის პოლიტიკური კომბინაციები, შექმნან ე. წ. „თავისუფალი არჩევნების“ გაფერადებული ფარდა, რომლის იქითაც იმალება კაპიტალის ყოვლისშემძლეობა და მშრომელთა ფაქტიური უუფლებობა. ჩვენთვის კი, როგორც ამხანაგი ხრუშჩოვი აღნიშნავს, დემოკრატია ხალხის ნამდვილი ძალაუფლებაა, ეს არის მშრომელთა მასების თვითმშობრებისა და აქტივობის ყოველმხრივი განვითარება, მათი თვითმმართველობა.

ახლა უკვე ცხადია, რომ სახელმწიფო ორგანოების ბევრი ფუნქცია თანდათანობით უნდა გადავიდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში. მაგალითად, მოსახლეობის კულტურული მომსახურეობის ზოგიერთი საკითხი, ჯანმრთელობის დაცვისა და საკურორტო საქმის ორგანიზაცია, ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელობა, საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის უზრუნველყოფის საკითხები და ა. შ.

ამავე დროს, იგულისხმება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული მხარეების რეგულირების გადასვლა სახელმწიფო ორგანოების გამგებლობიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში სრულიადაც არ ნიშნავს სოციალისტური სახელმწიფოს როლის შესუსტებას კომუნისტების მშენებლობაში. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მთელი რიგი ახლანდელი სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება გააფართოვებს და განამტკიცებს სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ საფუძველს, უზრუნველყოფს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას.

ამ უდავო ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ რევიზიონისტები ამტკიცებენ, რომ სოციალიზმის დროს სახელმწიფო საერთოდ ეწინააღმდეგება დემოკრატიას, რომ სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებისათვის აუცილებე-

ლია სახელმწიფოს გაუქმება, მისი ლიკვიდაცია. ასეთ თვალსაზრისს არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან და ეწინააღმდეგება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს. სახელმწიფოს კვდომა, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, მოხდება მხოლოდ კომუნიზმის სრული გამარჯვების დროს.

სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარება და სრულყოფა ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის ორგანიზატორს წარმოადგენს. თვით პარტია არის ნიმუში დემოკრატიული ორგანიზაციისა, რომლის აგებისა და საქმიანობის საფუძველია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები.

საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება და სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარება წარმოადგენს აუცილებელ პირობას სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ახალი გამარჯვებების მოპოვებისათვის ბრძოლაში.



# სახალხო საბჭოები, კოგოკს სახელმწიფო ხელისუფლების ჭეშმარიტად დემოკრატიული ორგანოები

## ა. პარანაძე

საკითხი სოციალისტური სახელმწიფოს როლის შესახებ კაპიტალიზმიდან კომუნისტურ და მუშათა პარტიების ყურადღების ცენტრში დგას. სოციალიზმის განვითარების მძლავრი ტემპები, ისტორიული მიღწევები, რაც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა მოიპოვეს კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, მოითხოვენ გამოვლინებული და შესწავლილი იქნას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის, სოციალისტურ მშენებლობასა და სახელმწიფოებრივ მმართველობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის სულ უფრო სრულყოფილი მეტოდები და ფორმები.

საბჭოთა სახელმწიფოსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ისტორიული გამოცდილება ნათელყოფს, რომ სოციალისტური სახელმწიფო წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობისა და მშრომელთა რევოლუციური მონაპოვრების დაცვის მძლავრ იარაღს, ხალხის მასების ძალების ორგანიზაციის გადამწყვეტ ინსტრუმენტს ბედნიერი ცხოვრების დასამყარებლად.

ამ დიადი ისტორიული მისიის შესრულება ძალუძს სოციალისტურ სახელმწიფოს და იგი ასრულებს კიდევ მას, ვინაიდან ექსპლოატატორული ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან განსხვავებით, მისი სიძლიერის წყაროს წარმოადგენს მშრომელთა მასებთან მჭიდრო კავშირი.

შემთხვევითი როდია, რომ იმპერიალიზმი ყოველგვარ საშუალებებს მიმართავს, რათა ძირი გამოუთხაროს სოციალისტური სახელმწიფოების ძლიერებას. სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური თეორია და პრაქტიკა რევოიონისტების გაშმაგებულ თავდასხმას იწვევს.

სოციალისტური სახელმწიფოს საკითხი ფართოდ იქნა განხილული იუგოსლაველ კომუნისტთა კავშირის VII ყრილობაზე, რომელმაც ანტიმარქსისტული, ანტილენინური და თავიდან ბოლომდე რევოიონისტული პროგრამა მიიღო. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დებულება და წესდების პროექტი სოციალისტურ სახელმწიფოს საკითხში არსებითად მისი შესუსტებისაკენაა მიმართული. ამრიგად, შეგნებულად თუ შეუგნებლად იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობა ფაქტიურად უერთდება იმპერიალიზმს, ვინაიდან, როგორც ამას ნათელყოფს სოციალისტური სახელმწიფოების ისტორიული გამოცდილება,

სოციალისტური სახელმწიფოს ყოველგვარ დასუსტებას აგრესიული იმპერი-  
ალისტური ბანაკის არსებობის პირობებში, სარგებლობა მოაქვს მხოლოდ სო-  
ციალიზმის მტრებისათვის.

ამიტომ სავსებით გასაგებია თუ რატომ მიექცა განსაკუთრებული ყურად-  
ღება სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისა და გაძლიერების  
საკითხებს ახლახან შემდგარ ჩინეთის, ბულგარეთის და ჩეხოსლოვაკიის  
კომუნისტური პარტიების ყრილობებზე. გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა  
პარტიამ 1958 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ქალაქ ბაბელსბერგში ჩაატა-  
რა სპეციალური კონფერენცია სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საკით-  
ხებზე, სადაც მოხსენებით თემაზე „მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება სახელმ-  
წიფოს შესახებ და მისი გამოყენება გერმანიაში“ — გამოვიდა გერმანიის ერ-  
თიანი სოციალისტური პარტიის პირველი მდივანი ამხ. ვალტერ ულბრიხტი.  
მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა კატეგორიულად უარყვეს იუგოსლავიის  
კომუნისტთა კავშირის რევიზიონისტული დებულებები, როგორც საზიანო სო-  
ციალიზმის საქმისათვის. კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა მოუწოდეს  
მშრომელებს უფრო მეტად განამტკიცონ სახალხო-დემოკრატიული წყობილე-  
ბა, მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, აამაღლონ რევოლუციური სიფხიზლე.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების ჭეშმარიტი დემოკრატიზმის ნათე-  
ლი გამოსახულებაა ის, რომ სახელმწიფოში მთელი პოლიტიკური ძალაუფლება  
სწორედ მშრომელებს ეკუთვნით. ისინი თვითონ განაგებენ თავის სახელმწი-  
ფოს, რეალურად მონაწილეობენ ქვეყნის მმართველობაში. სახალხო-დემოკრა-  
ტიული სახელმწიფოს ძირეული განსხვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოსა-  
გან ნათლად სჩანს სახალხო საბჭოების მაგალითზე, რომლებიც სახალხო დე-  
მოკრატიის ქვეყნებში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოებს წარ-  
მოადგენენ.

სახალხო საბჭოები ჭეშმარიტად წარმომადგენლობითი დემოკრატიული  
ორგანოებია. ისინი ახორციელებენ მუშათა კლასის ძალაუფლებას სათა-  
ნადო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში. ეს სოცია-  
ლისტური ტიპის ორგანოებია, რომლებიც წარმოიშვნენ და განმტკიცდნენ მშრ-  
ომელთა დიადი ისტორიული ბრძოლის მსვლელობაში, ექსპლოატატორთა ძა-  
ლაუფლებისაგან განთავისუფლებისა და ხალხის ძალაუფლების დადგენის პერი-  
ოდში. სახალხო საბჭოები სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების  
ერთიან სისტემაში წარმოადგენენ იმ საშუალო და დაბალ რგოლებს, რომლე-  
ბიც სახელმწიფოებრივ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან (სახალხო კრე-  
ბებთან) ერთად შეადგენენ სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების პოლიტი-  
კურ საფუძველს.

სახალხო საბჭოები სავსებით განსხვავდებიან ბურჟუაზიული ადგილობრი-  
ვი თვითმმართველობის ორგანოებისაგან, რომლებიც ბურჟუაზიული სახელმწი-  
ფოსათვის სავსებით უვნებელ „პირსაბანების მოკალვას“ აწარმოებენ (ლენინი,  
ტომი X, გვ. 166), აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ბიუროკრა-  
ტიულ აპარატის ჩინოვნიკებისადმი მეორეხარისხოვან, დამოკიდებულ მდგომა-  
რეობაში არიან. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხელისუფლების ადგილობ-  
რივი ორგანოები კი სახალხო საბჭოების სახით წარმოადგენენ ადმინისტრა-  
ციულ-ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ  
და სრულუფლებიან ორგანოებს.

ადგილობრივი ორგანოების პარალელიზმი, რომელიც დამახასიათებელია ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის და რომელიც განსაზღვრულ პერიოდში შემორჩენილი იყო ზოგიერთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ამჟამად ლიკვიდირებულია როგორც შეუფერებელი სოციალისტური სახელმწიფოსათვის. ამჟამად ყველა სოციალისტურ ქვეყანაში თვითეულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს გააჩნია ადგილობრივი ხელისუფლების ერთი ორგანო სახალხო საბჭოს სახით. ალბანეთში, პოლონეთში, რუმინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ისინი სახალხო საბჭოებად იწოდებიან, უნგრეთში ადგილობრივ საბჭოებად, ჩეხოსლოვაკიაში — ეროვნულ კომიტეტებად, ჩინეთში — სახალხო წარმომადგენლების ადგილობრივ კრებებად, მონღოლეთში — ადგილობრივ ხურალებად, კორეაში — ადგილობრივ სახალხო კრებებად. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სისტემა გამსჭვალულია დემოკრატიზმის ერთიანი სულისკვეთებით, რომელსაც საფუძვლად უდევს სახალხო სუვერენიტეტის დიადი ლენინური პრინციპები. ამ ორგანოების ორგანიზაციისა და მოქმედების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: ხალხთა მასებთან მჭიდრო კავშირი, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა, სახალხო საბჭოების სრულუფლებიანობა, დემოკრატიული ცენტრალიზმი, სოციალისტური კანონიერება, ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, გეგმიურობა და გეგმიანი ხელმძღვანელობა. ყველა ამ ურთიერთდაკავშირებული პრინციპების განუხრელი შესრულება წარმოადგენს სახალხო საბჭოებისა და მასში მომუშავე ყველა მუშაკის უპირველეს ვალდებულებას.

სახალხო საბჭოები თავის მოღვაწეობაში გამოხატავენ ახალი სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის პრინციპებს; მათში, როგორც სარკეში, აირეკლება პროლეტარიატისა და დანარჩენ მშრომელ მასებს შორის კავშირის განსაკუთრებული ფორმა, მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობა ამ მასებისადმი. ისინი პირველ რიგში მოწოდებული არიან ყოველმხრივ განამტკიცონ მშრომელთა დიადი მონაპოვარი — სახალხო-დემოკრატიული წყობილება. მათი მთელი მოღვაწეობა ემსახურება მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებული საზოგადოების ყოველმხრივად მზარდ მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების ამოცანას.

სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და მათი წევრების პერიოდული ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე. მშრომელებს მინიჭებული აქვთ უფლება გაიწვიონ დეპუტატი, რომელმაც არ გაამართლა მათი ნდობა.

სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამოცანას შეადგენს ფართოდ ჩააბან მშრომელთა მასები სახელმწიფო მმართველობის საქმეში, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებაში. საბჭოები იმგვარად წარმართავენ ხალხის შემოქმედებით ძალებს, რომ საერთო შრომის შედეგად მშრომელთა მასების ცხოვრება სულ უფრო მდიდარი და ბედნიერი ხდება.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მთელი თავისი მოღვაწეობით განამტკიცებენ მუშათა და გლეხთა ურღვევ კავშირს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მათ აღზრდას ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის, დემოკრატიისა და ნშვიდობის ბანაკისადმი სიყვარულის სულისკვეთებით.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სახალხო საბჭოების წარმატებითი მუშაობის საწინდარსა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობა, რომელთაც მიყავთ ამ ქვეყნების ხალხები ბედნიერებისაყენ, სოციალიზმისა და კომუნისზმისაკენ.

სახალხო საბჭოების კომპეტენციაში შედის ადგილობრივი სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ბიუჯეტების განხილვა და მიღება, უკვე მიღებულ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა და კონტროლის განხორციელება.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ზრუნავენ მშრომელთა კულტურული და მატერიალური მოთხოვნათა დაკმაყოფილების, მათი უფლებების დაცვის, მათ მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების საკითხებზე, მოქალაქეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე. ისინი თვალყურს ადევნებენ საზოგადოებრივი წესრიგისა და დემოკრატიული კანონიერების დაცვას, სოციალისტური საკუთრების უვნებლობას, ანხორციელებენ ღონისძიებებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებისათვის, მშენებლობის გაძლიერებისათვის, ხელს უწყობენ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას. მათ მოვალეობას შეადგენს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, მზრუნველობა მოხუცებზე, ინვალიდებზე, შრომისუნარმოკლებულებზე.

სახალხო საბჭოების ერთერთ ამოცანას შეადგენს დედათა და ბავშვთა ინტერესების დაცვა სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, ბავშვთა თავშესაფარების ფართო ქსელის შექმნის გზით.

სახალხო საბჭოების განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით სარგებლობს ახალგაზრდობა. სახალხო ხელისუფლებამ შექმნა ყველა საჭირო პირობა ახალგაზრდობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მისთვის ფართოდაა გაშლილი სამოღვაწეო ასპარეზი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებში.

სახალხო საბჭოების ყოველდღიური მუშაობა წარმოადგენს მუშათა კლასის კლასობრივი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას, მუშათა კლასის დიქტატურის ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას, რომელიც გამოიხატება ექსპლოატატორული კლასების ელემენტების თანდათანობით შეზღუდვასა და შემდგომ მათ სრულ ლიკვიდაციაში.

უდიდეს დახმარებას უწევენ სახალხო საბჭოები მშრომელ გლეხობას. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ სამუშაოთა ყველა სახეების კოოპერაციას. ამასთან ისინი ყოველმხრივ დახმარებას უწევენ მშრომელ ერთპიროვნულ გლეხებს. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გატარებით, რომელიც მიმართულია ერთპიროვნული გლეხების კოოპერირებისაკენ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები აქტიურად ეხმარებიან არტელების ორგანიზაციულ და ეკონომიურ განმტკიცებას, ზრუნავენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე და უშუალოდ უწევენ მეთვალყურეობას მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობას.

ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელობას მთლიანად ანხორციელებენ სახალხო საბჭოები. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოღვაწეობის სფეროში შედის ბრძოლა სპეკულაციათა და ეკონომიურ საბოტაჟთან.

სახალხო საბჭოები წარმართავენ ხელოსნების საქმიანობას. ისინი ზრუნავენ

სოციალისტური მშენებლობისათვის კადრების მომზადებაზე, სახელმწიფო ქონების რაციონალურად გამოყენებაზე.

მაგრამ სახალხო საბჭოები თავის მოღვაწეობაში არ იფარგლებიან მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებით და მონაწილეობას ღებულობენ მნიშვნელოვან საერთო სახელმწიფო პრობლემების გადაჭრაშიც. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის 1946 წლის 8 აგვისტოს კანონის მე-2 მუხლში სახალხო საბჭოების შესახებ ნათქვამია: „სახალხო საბჭოები თავის ტერიტორიაზე წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში. სახალხო საბჭოები თავის ტერიტორიაზე აწხორციელებენ აგრეთვე საერთო მნიშვნელობის ღონისძიებებს“. და შემდეგ მე-6 მუხლში — „სახალხო საბჭოებს უფლება აქვთ განიხილონ ყველა საკითხი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კომპეტენციაში შედის და შეიტანონ თავიანთი წინადადებები ამ საკითხებზე“.

უკანასკნელ ხანებში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, კომუნისტური და მუშათა პარტიების ინიციატივით მიღებულია კანონები, რომლებიც მიმართულია სახალხო საბჭოების უფლებამოსილებათა შემდგომ გაფართოებისაკენ სახელმწიფო ორგანოების ერთიან სისტემაში. ამ ღონისძიებებმა, მიმართულმა სოციალისტური სახელმწიფოს სულ უფრო განმტკიცებისაკენ, სახელმწიფო აპარატის გაიაფებისაკენ, მის გამარტივებისაკენ, ადგილობრივ შესაძლებლობათა და რეზერვების სულ უფრო ზუსტი აღრიცხვისა და ეფექტურ გამოყენებისაკენ, გამოიწვიეს სოციალისტურ მშენებლობაზე სახელმწიფო ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება. ემსახურებიან რა ხალხთა მასების სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილებას და გამონატავენ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების განვითარების საარსებო ინტერესებს, ეს ღონისძიებები მშრომელთა სრულ მხარდაჭერას პოულობენ.

## პროკავშირები შრომის კანონმდებლობის სადასაცემად

ს. რასტი,

საქართველოს პროფსაბჭოს  
ინსტრუქტორი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკრეტის პლენუმმა და პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობამ საბჭოთა პროფკავშირების წინაშე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დასახეს, მკაფიოდ განსაზღვრეს კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამალგების გზები. ამ ამოცანების გადაჭრაში გადამწყვეტი როლი პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებს ეკუთვნით.

პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მშრომელთა სახელით ანხორციელებს წარმომადგენლობას შრომის, ყოფაცხოვრების და კულტურის ყველა საკითხებში: მუშა-მოსამსახურეთა სახელით კოლექტიურ ხელშეკრულებას დებს ადმინისტრაციასთან, თავისი მუდმივი კომისიების დახმარებით ორგანიზაციას უკეთებს აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, მონაწილეობს საწარმოო გეგმების პროექტების, კაბიტალური მშენებლობის გეგმების, საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-მასობრივი ობიექტების მშენებლობისა და რემონტის გეგმების შემუშავებაში. კომიტეტებს უფლება აქვთ მოისმინონ საწარმოს ან

დაწესებულების ხელმძღვანელთა მოხსენებები საწარმოო გეგმის და კოლექტიური ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებების შესრულების შესახებ, წაუყენონ ადმინისტრაციას მოთხოვნა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, შეიტანონ ზემდგომ სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში წინადადებები საწარმოს ან დაწესებულების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

საწარმოს, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობისა და სტს-ის პროფკავშირული კომიტეტი ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებს, ატარებს მუშათა კრებებს და საწარმოო ტექნიკურ კონფერენციებს, აკონტროლებს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა, მუშებისა და მოსამსახურეების მიერ შემოტანილ წინადადებათა შესრულებას.

პროფკავშირის კომიტეტი ადმინისტრაციასთან ერთად ორგანიზაციას უკეთებს სოციალისტურ შეჯიბრებას, აჯამებს მის შედეგებს, სწევებს მოწინავეთა წახალისების საკითხს. იგი ასევე ანხორციელებს კონტროლს მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად დაწერვას.

პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხ-

ნო, ადგილობრივი კომიტეტი უშუალოდ ან თავისი სოციალურების კომისიის მეშვეობით უნიშნავს დახმარებას დროებით შრომისუნარდაკარგულთ, გზავნის პროფკავშირის წევრებს დასასვენებლად და სამკურნალოდ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ამოწმებს მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო მომსახურებას.

პროფკავშირული ორგანიზაციები ანხორციელებენ კონტროლს საბინაო და კულტურულ მშენებლობათა გეგმების განხორციელებაზე, საბინაო ფონდისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მდგომარეობაზე და ექსპლოატაციაზე, სახელმწიფოს და კოოპერატიული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობაზე.

პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენელი კომისიის წევრის უფლებით მონაწილეობს საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების საექსპლოატაციოდ მიღებაში. ესეა, როგორც წესი, საცხოვრებელი ფართობის განაწილება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით წარმოებს.

პროფკავშირებს დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული შრომის კანონმდებლობის დაცვისა და განმტკიცების სფეროში. ისინი ანხორციელებენ სახელმწიფო ზედამხედველობას შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმებისა და წესების შესრულებაზე.

საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაო დროისა და დასვენებისათვის დადგენილი დღეების რეჟიმის დაცვა პროფკავშირის კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. ზედმეტ საათებში მუშაობა, იმ გამოწვევების შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, უნდა წარმოებდეს მხო-

ლოდ და მხოლოდ საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით.

საწარმო-დაწესებულებებში შრომითი დავის გადაწყვეტისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფკავშირის კომიტეტის სიტყვას. კომიტეტი იხილავს მუშებისა და მოსამსახურეების შრომითი დავის კომისიების გადაწყვეტილებებზე შემოტანილ საჩივრებს და უფლება აქვს თავისი შეხედულებისა და მიხედვით დასტოვოს ძალაში ან შეცვალოს კომისიის გადაწყვეტილება.

პროფკავშირის კონტროლს ექვემდებარება აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი. მათი განთავისუფლება პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

პროფკავშირებს მინიჭებული აქვთ აგრეთვე უფლება საჭიროების შემთხვევაში დააყენონ საკითხი იმ ხელმძღვანელი მუშაკების დაქვეითების ან დასჯის შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, იჩენენ ბიუროკრატიზმს, აკიანურებენ საქმიანებას, არღვევენ შრომის კანონმდებლობას.

მაგალითად, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ქარხნის კომიტეტის მოთხოვნით ქარხნის დირექტორმა ს. შარაძენიძემ ადმინისტრაციული სასჯელი დაადო კაპიტალური მშენებლობის უფროსს ა. ზამთარაძეს, რომელმაც დროულად არ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის დასახული ღონისძიებების შესრულება.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში პროფკავშირების როლის ამაღლების შესახებ ხელი შეუწყვეს მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, მშრომელების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნ-

ლებათა მზარდ დაკმაყოფილებას და საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევათა შემცირებას.

მაგრამ, ჯერ კიდევ არიან ისეთი ცალკეული სამეურნეო მუშაკები, ხელმძღვანელები, რომლებიც უშვებენ შრომის კანონმდებლობის დარღვევას. მაგალითად, თბილისის საფერმენტაციო ქარხანაში ადგილი აქვს ზედმეტ საათებში მუშაობას, თბილისისა და მარელის საავჯო ფაბრიკებში ეფექტურად არ მუშაობენ სავენტილაციო დანადგარები, რის გამოც სამუშაო ადგილებზე ვერ იცავენ ჰაერის ნორმალურად ცვლას.

რიც საწარმოებში არ ხდება შრომის დაცვისა და უსაშიშროობის ტექნიკისათვის გათვალისწინებული სახსრების ათვისება. მაგალითად, ადიგენის ტყის მრეწველობის მეურნეობის მიერ 1958 წლისათვის ასიგნებული 24 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 10,7 ათასი მანეთი, ქუთაისის საავჯო ფაბრიკამ 10,1 ათასი მანეთიდან აითვისა 4,5 ათასი მანეთი.

არსებული წესის თანახმად, როდესაც ადმინისტრაცია წინადადებას იძლევა ამა თუ იმ მუშაკის განთავისუფლებაზე, მან უნდა მიმართოს საფაბრიკო, საქარხნო ან ადგილობრივ კომიტეტს განცხადებით, რომელშიც მოყვანილი იქნება განთავისუფლების მოტივები და საფუძველი. როდესაც პროფკავშირის კომიტეტი გულდასმით შეისწავლის სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზებს ან წესის დამრღვევის მიერ ჩადენილ მოქმედებას, დამრღვევის თანდასწრებით იხილავს ადმინისტრაციის განცხადებას და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება.

თითქოს ყველაფერი ცხადია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ანგარიშს არ უწევს პროფკავშირთა უფლებებს და თვითნებურად ითხოვს მომუშავეებს. მაგალითად, თბილისის რაიონის საბინაო-საექს-

პლოტაციო ნაწილის უფროსმა გ. ს. შაპოვლოვმა პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე სამუშაოდან დაითხოვა სახლმმართველი ნ. ნ. პრიხოდკო; თბილისის მილიციის სამმართველოში ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე სამუშაოდან დაითხოვნილია ხაზინადარი გაგლოვეი. ადგილკომმა ჯერ კიდევ 1958 წლის 9 დეკემბერს სცნო ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოდ და გამოიტანა დადგენილება გაგლოვეის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციამ უგულვებელყოფს დადგენილება და დღემდე არ აღადგინა იგი სამუშაოზე.

კანონით დადგენილია, რომ საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წევრები, რომლებიც არ არიან განთავისუფლებული ძირითადი სამუშაოდან (პროფაქტივი), პროფკავშირული კომიტეტის თანხმობის გარეშე არ შეიძლება განთავისუფლდნენ სამუშაოდან და ადმინისტრაციას უფლება არა აქვს დაადოს მათ დისციპლინარული სასჯელი. არ უწევს რა ანგარიშს ამ დებულებას, სამტრესტის სისტემის ლეინის № 2 ქარხნიდან საწარმოო კომბინატში გადაიყვანეს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ცერცვაძე, ტყისსაცავი ქარხნიდან პროფკავშირთან წინასწარი შეთანხმების გარეშე სამუშაოდან დაითხოვეს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე მ. იორაშვილი.

დარღვევებს ადგილი ქონდა აგრეთვე თბილისის ზოოპარკში, კინოთეატრ „კოლმეურნეში“, თეატრალური საზოგადოების სტამბაში. პროფკავშირული კომიტეტის სანქციის გარეშე ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციამ სამუშაოდან გაანთავისუფლა ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის ჩარევის შემდეგ სამუშაოზე აღადგინეს.

მნიშვნელოვნადაა ამაღლებული და





გაფართოვებული პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების უფლებები მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი დაცვის სფეროში, შრომითი დავის საკითხების განხილვის 1957 წლის იანვარში მიღებული ახალი წესით.

შრომითი დავის საკითხების განხილვის ამჟამად მოქმედი წესები განსაზღვრულია დებულებით „შრომითი დავის საკითხების განხილვის წესების შესახებ“, რაც დამტკიცებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით და დკანონებულია სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ.

შრომითი დავის ყველა საკითხი, წამოჭრილი შრომის კანონმდებლობის გამოყენების, კოლექტიური ხელშეკრულების, შინაგანაწესის, აგრეთვე უწყებრივი ინსტრუქციებისა და დებულებების საფუძველზე, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში განიხილება შრომითი დავის კომისიების მიერ, აგრეთვე პროფკავშირთა საფაბრიკო საქარხნო ან ადგილობრივი კომიტეტების მიერ.

შრომითი დავის კომისიები იქმნება პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო ან ადგილობრივი კომიტეტებისა და საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციის მუდმივი წარმომადგენლების თანაბარი რიცხვიდან. მსხვილ საამქროებსა და უბნებზე, სადაც არსებობს პროფკავშირთა საამქრო კომიტეტი, შეიძლება შეიქმნას შრომითი დავის კომისიები.

საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებმა, შრომითი დავის კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების სახით უნდა გამოიყონ გამოცდილი ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან შრომის კანონმდებლობა, სარგებლობენ კოლექტივის პატივისცემითა და ნდობით. ეს მეტად მნიშვნე-

ლოვანია კონფლიქტების სწორად გადაწყვეტისათვის.

კომისიები იხილავენ ყველა სადაო საკითხს, რომელიც წარმოიშება მუშა-მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის, მათ რიცხვში დაეგბს გამომუშავებისა და დანიხვის დადგენილი ნორმების გამოყენების გამო, შრომის პირობების, განთავისუფლების ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის, გაცდენისათვის ხელფასის ანაზღაურების, წუნის, ზედმეტ საათებში მუშაობისა და სხვა საკითხებს.

კომისიები არ არიან უფლებამოსილნი განიხილონ შრომითი დავა მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის, თანამდებობაზე აღდგენისა, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დისციპლინური სასჯელის დადების საკითხებზე.

კომისია ვალდებულია შრომითი დავის საკითხი განიხილოს 5 დღის განმავლობაში დღიდან განცხადების შემოსვლისა განცხადების შემომტანი მუშაკის თანდასწრებით. დავის დაუსწრებლად განხილვა დასაშვებია მხოლოდ მომჩივანის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

კომისიას უფლება აქვს გამოიძახოს თავის სხდომებზე მოწმეები, დაავალოს ცალკეულ პირებს ტექნიკური და საბუხპალტრო შემოწმების ჩატარება, მოსთხოვოს ადმინისტრაციას აუცილებელი საბუთებისა და ანგარიშის წარმოდგენა.

შრომითი დავის საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მხარეთა თანხმობით. ეს გადაწყვეტილება სათანადოდ უნდა იყოს მოტივირებული, არ ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ შრომითს კანონმდებლობას, კოლექტიურ ხელშეკრულებასა და შრომის შინაგანაწესს.

სხდომის ოქმის ასლი არა უგვიანეს სამი დღისა გადაეცემა საწარმოს, და-

წესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტსა და ადმინისტრაციას. ოქმიდან ამონაწერი ასევე გადაეცემა დაინტერესებულ პირს.

საამქროთა შრომითი დავის კომისიები თავის მუშაობას აწყობენ იმავე საფუძველზე, როგორც საერთო საქარხნო კომისიები.

მაგრამ თუ საამქროს კომისიაში მხარეთა შეთანხმება არ მოხდა, ასეთ შემთხვევებში სადაო საკითხი განსახილველად გადაეცემა საერთო-საქარხნო კომისიას. იქვე, 10 დღის ვადაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს საამქროს კომისიის გადაწყვეტილება. საერთო-საქარხნო კომისიას უფლება აქვს დატოვოს ძალაში საამქროს კომისიის გადაწყვეტილება ან შეცვალოს იგი და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.

შეიძლება ასეც მოხდეს, რომ მომჩივანი არ დაეთანხმოს პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას, მაშინ მას შესაძლებლობა ეძლევა კომიტეტის დადგენილების ოქმის ამონაწერის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში განცხადებით მიმართოს სასამართლოს. ამავე ვადებში შეუძლია მიმართოს სახალხო სასამართლოს საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციამ, თუ იგი სთვლის, რომ ადგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებები და ადგილობრივი კომიტეტების დადგენილებები შესრულებული უნდა იქნან ადმინისტრაციის მიერ ათი დღის განმავლობაში, თუ თვით გადაწყვეტილებაში არ არის დადგენილი სხვა ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციამ არ შეასრულა კომისიის ან საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილება, პროფკავშირის კომიტეტი დაინტერესებულ მხარეს 2. საბჭოთა სამართალი.


რეს აძლევს მოწმობას, რომელსაც აღმასრულებელი ფურცლის ძალა აქვს. მხარემ არაუგვიანეს სამი თვისა იგი უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს.

მოწმობა არ გაიცემა, თუ მუშაკმა ან ადმინისტრაციამ დადგენილ ვადაში მიმართეს სახალხო სასამართლოს სადაო საკითხის გადასაწყვეტად.

კარგად იყენებს თავის უფლებებს ბათუმის სამგზავრო ავტო-სატრანსპორტო კანტორის პროფკავშირული ორგანიზაცია. მსუბუქი ტაქსის მძღოლი ნ. თოიძე, მგზავრების მომსახურების დადგენილი წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციამ სამი თვის ვადით გადაიყვანა რემონტის მწარმოებელ მუშად. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციამ ყოველგვარი მიზეზის გარეშე უარი უთხრა ნ. თოიძეს ძველ სამუშაო ადგილზე აღდგენაზე. შრომის სადაო საკითხების კომისიაში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მაშინ ეს საკითხი გადატანილი იქნა ადგილობრივი კომიტეტის სხდომაზე, რომელმაც გამოიტანა დადგენილება თოიძის ძველ სამუშაო ადგილზე აღდგენის შესახებ. როდესაც ავტო-სატრანსპორტო კანტორის ადმინისტრაციამ უარი თქვა ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე, ადგილკომმა ნ. თოიძეს მისცა მოწმობა, რომელსაც აღმასრულებელი ფურცლის ძალა აქვს და ნ. თოიძე აღადგინეს სამუშაოზე.

პროფკავშირების როლისა და მნიშვნელობის ამაღლებამ ხელი შეუწყო შრომითი დავის საკითხების შემცირებას და გაადვილა ადგილებზე მათი განხილვა. საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაცია ნაკლებად არღვევს შრომის კანონმდებლობას, ხოლო სადაო საკითხების წარმოშობისას სამეურნეო ხელმძღვანელები უფრო ღრმად სწვდებიან საქმის არსს. მაგალითისათვის გამოდგება სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკე-

7835



თებელი ქარხანა, თბილისის აბრეშუმის ფაბრიკა, სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკა, ბათუმის საავეჯო ფაბრიკა, ბათუმის სალოკომოტივო დეპო და სხვა საწარმო-დაწესებულებები, სადაც წარმოშობილ შრომით დავებს პროფკავშირული კომიტეტები და ადმინისტრაცია ოპერატიულად სწყვეტენ.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ დარღვევებს იმის გამო, რომ ზოგიერთი პროფკავშირული მუშაკი და აქტივისტი კარგად არ იცნობს შრომითი სადავო საკითხების განხილვის წესს და სათანადოდ ვერ ერკვევა შრომის კანონმდებლობაში.

ბათუმის მოთუთიების ქარხნის საქარხნო კომიტეტში (თავმჯდომარე ვ. ჩერნოვი) 1958 წლის 2 ივლისს შეტანილი იქნა მუშა ვ. ამელჩენკოს განცხადება მისი საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის შესახებ. საამქროს კომიტეტმა დამლაგებელი გ. სალამატოვა იმ საფუძველზე, რომ იგი ქარხანაში მხოლოდ ორი თვე მუშაობს ქარხნის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გაანთავისუფლა სამუშაოდან და მის ადგილზე ამელჩენკო გადაიყვანა. სალამატოვამ განცხადებით მიმართა შრომითი დავის განმხილველ კომისიას, რომელმაც დაადასტურა მისი განთავისუფლების სისწორე. საქარხნო კომიტეტი ამჯერადაც არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე და ხელშეორედ გამოიტანა შრომის კანონმდებლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება სალამატოვას დათხოვნის სისწორის შესახებ. ამ უკანონობას სამართლიანად მოუღო ბოლო სასამართლომ, რომელმაც სალამატოვა სამუშაოზე აღადგინა.

საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ ყოფილი იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ქ. თბილისის, ფოთისა და გორის სახალხო სასამართლოებში შესულ შრომითი დავის საკითხებზე გვიჩვენა, რომ

უკანასკნელ ხანებში სასამართლო ორგანოებმა კიდევ უფრო ღრმად იწყეს შრომის საკითხების განხილვა და ძირითადად სწორი გადაწყვეტილებების გამოტანა.

ამასთან ერთად დადგენილია, რომ ცალკეულ შემთხვევაში საქმეებს შრომითი დავის საკითხებზე სახალხო სასამართლოები წარმოებაში ღებულობენ მათი შრომითი დავის საკითხების კომისიებში და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებში წინასწარი განხილვის გარეშე. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის, ფოთისა და გორის სახალხო სასამართლოების პრაქტიკაში.

ამასთან, ზოგიერთ სასამართლოში ყოველთვის არ იცავენ შრომითი დავის გადაწყვეტისათვის დადგენილ ვადებს. მაგალითად, თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში შრომითი დავის საკითხებზე შემოწმებული 67 საქმიდან დროულად განხილული იყო მხოლოდ 23 საქმე, 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოში 96-დან — 73 და ა. შ.

პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ახსნა-განმარტებითა და აღმზრდელობით მუშაობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შრომის კანონების სწორად გამოყენებასა და მუშებოსა და მოსამსახურეების საჩივრების შემცირებას. ამ საკითხებზე საწარმოებში და დაწესებულებებში ტარდება კონსულტაციები, საუბრები, სემინარები, მარტო საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიულმა კონსულტაციამ (გამგე ა. ზედგენიძე) 1958 წელს კანონმდებლობის საკითხებზე 68 ლექცია, საუბარი და კონსულტაცია ჩატარა თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში, კიროვის სახელობის ქარხანაში, № 1 და № 2 თამბაქოს ფაბრიკებში და მრავალ სხვა საწარმო-დაწესებულებაში. ქ. თბილისში და რესპუბ-

ლიკის სხვა ქალაქებში სამეურნეო ორგანიზაციებისა და პროფკავშირული ორგანოების მუშაკათთვის ჩატარებულია 22 ლექცია. იურიდიული კონსულტაცია მშრომელებს აძლევს წერილობით და ზეპირ კონსულტაციებს, აწვდის სათანადო ცნობებს. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ უფროსი იურისკონსულტი ზ. ნარიშანოვი, აქტივისტები: პენსიონერი კ. წულუკიძე, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს იურისკონსულტი დ. დილბანჯი, სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის იურისკონსულტი ვ. ძუტცევი და სხვები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა

პარტიამ თავისი XXI რიგგარეშე ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროფკავშირთა აქტივობა მუშებისა და მოსამსახურეების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების დაცვისა და გაუმჯობესების საქმეში. ამ მაღალი შეფასების პასუხად პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაშალონ აღმზრდელითი მუშაობა მასებს შორის და აამაღლონ თავიანთი მომთხოვნელობა შრომის კანონმდებლობის დაცვის საქმეში, მთელი ძალდონე მიმართონ მშრომელების კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებსაკენ.

## მშობლის მოვალეობა ბავშვის სწავლებისა და აღზრდის საქმეში

ბ. პიჭირია,  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ყურადღებით ეპყრობიან ჩვენი მომავლის — ბავშვთა აღზრდის საქმეს. ამიტომ არის, რომ ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტის საგრძნობი ნაწილი ყოველწლიურად იხარჯება სახალხო განათლების საჭიროებისათვის.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“, რომელიც ჩვენი დიადი სამშობლოს კომუნისტური საზოგადოების გამლელი მშენებლობის პროგრამაა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. თუ წინა შვიდი წლის მანძილზე განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაზე 48 მილიარდი მანეთი დაიხარჯა, ახალ შვიდწლედში დაიხარჯება 77 მილიარდი მანეთი. მნიშვნელოვნად გაფართოვდება საღამოს, დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ქსელი. განხორციელდება შვიდწლიანიდან რვაწლიან საყოველთაო - სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა. მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში 1965 წელს გა-

დიდდება 38-40 მილიონ კაცამდე ნაცვლად 30 მილიონისა 1958 წელს. მოსწავლეთა რაოდენობა სკოლა-ინტერნატში 1965 წელს მიაღწევს არა ნაკლებ 2,5 მილიონს, ე. ი. გადიდდება 14-ჯერ.

საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზრდება 612 ათასიდან 747 ათასამდე, ხოლო სკოლა-ინტერნატებში 2.500-დან 42 ათასამდე.

სკოლის შესახებ მიღებული ისტორიული კანონიდან გამომდინარე კონკრეტული ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება, საყოველთაო - სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელება და ზოგადი საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარება საბჭოთა სკოლას ახალი ამოცანების წინაშე აყენებს.

საბჭოთა სკოლის წინაშე დასახული ახალი ამოცანების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, რადგან ამის გარეშე წარმოუდგენელია სახალხო განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფა. აღმზრდელობითი მუშაობის მიზანია ჩაუნერგოს მოსწავლეებს ცოდნისა და

შრომის სიყვარული, აღზარდოს ისინი კომუნისტური მორალის სულისკვთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვთებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა კულტურული ქცევის დანერგვას სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებრივ ადგილებში. ამ ღონისძიებების წარმატებით განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მოსწავლეთა მშობლებმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, მშრომელთა დებუტატების საბჭოებმა.

ზოგიერთი მშობელი საკმარისად თვლის იმას, რომ ბავშვი სკოლაში ჩარიცხა და შემდეგ აღარ ეკარება სკოლას, მას არ აინტერესებს ბავშვის ყოფაქცევა და წარმატება, არც ოჯახში უქმნის მეცადინეობისათვის საჭირო პირობებს, კიდევ მეტი, ზოგჯერ ცუდ მაგალითს უჩვენებს ბავშვს თავისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი, სკოლისა და მასწავლებლებსადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით და თავისი საქციელით ბავშვს ცუდი გზისაკენ უბიძგებს.

ქ. თბილისის ერთერთ სკოლაში დამა ზ. და რ. მ-ი სწავლობდნენ. ბავშვების მამა სკოლას ახლო არ ეკარებოდა; ბავშვები კი ხშირად აცდენდნენ სკოლას, არ ამზადებდნენ გაკვეთილებს, ცუდად იქცეოდნენ, ხშირად ეზოსა და ქუჩაში უსაქმოდ დაეხეტებოდნენ, რის გამოც ისინი სწავლაში საგრძნობლად ჩამორჩნენ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლემ ს. ქ-მ სწავლაზე რომ გული აიცრუა და ქუჩა-ქუჩა დაიწყო ხეტიალი და ბოლოს ქურობასაც კი მიჰყო ხელი, ამაში საგრძნობი ბრალი მის მშობლებსაც მიუძღვოდა, რომლებიც სრულიად არ იყვნენ დაინტერესებულნი თავიანთი შვილის ბედით.

ოჯახის წევრთა ურთიერთ დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავ-

შვის აღზრდისათვის. მეუღლეთა შორის უთანხმოება, აყალმაყალი და ურთიერთისადმი უწმაწური სიტყვებით მიმართვა, ჩხუბი და ფიზიკური შეურაცყოფის მიყენება ბავშვის აღზრდის საქმეს სახიფათო მდგომარეობაში აგდებს: ბავშვი თავს ანებებს მეცადინეობას, არ ამზადებს გაკვეთილებს, ცუდი ყოფაქცევისა ხდება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან უფროსი ასაკის ბავშვები, რომელნიც ხან მამას მიემხრობიან, ხან დედას, უფრო ხშირად კი არ იციან რა ქნან. ოჯახური აყალმაყალი და აურზაური მძიმე დაღს ასვამს მათი სწორად აღზრდის საქმეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლქმრის არანორმალური ურთიერთობა განქორწინებით მთავრდება, ბავშვთა აღზრდის საქმე უფრო რთულდება: ოჯახში მცირდება სახსრები, ეცემა ოჯახის ავტორიტეტი. ხდება ისეც, რომ მამაკაცი ტოვებს ოჯახს და შემდეგ ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რომ თავი აარიდოს ბავშვისათვის კანონით გათვალისწინებული მატერიალური დახმარების გადახდას.

უფრო სავალალო მდგომარეობა იქმნება, როდესაც განქორწინების შედეგად ბავშვს თავს ანებებენ დედაც და მამაც. მშობლების ყურადღებასა და დახმარებას მოკლებული მოზარდი ადვილად მოექცევა ბოროტი ადამიანების გავლენის ქვეშ, თვითონ ხდება ბოროტმოქმედი, ჩადის საზოგადოებისათვის საზიანო მოქმედებას და იმსახურებს სასტიკ სასჯელს.

თბილისის 29-ე სკოლაში თემური გ. არ ითვლებოდა ცუდ მოსწავლედ. მალე მის ოჯახში მშობლებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ თემურის მშობლები ერთმანეთს დასცილდნენ. ბავშვი დედასთან დარჩა საცხოვრებლად, მამა კი არავითარ ზრუნვას არ იჩენდა შვილისადმი. ყოველივე ამან საგრძნობი დაღი დაასვა თე-

მურის ხასიათს. მან სწავლას უკლო, გახდა უხეში, თავნება. სისტემატურად აცდენდა გაკვეთილებს, ხშირად კი მთელი დღეობით იკარგებოდა სადღაც და არავინ არ ფიქრობდა იმაზე, თუ სად ათევედა თემური ღამეებს. მალე თემურში სრულიად მიატოვა სკოლა და საექვო ამხანაგებს გადაყვა. ვინ იცის რით დამთავრდებოდა თემურის ცხოვრება, რომ მისი ბედით უზედამხედველობავშვთა ოთახის მუშაკები არ დაინტერესებულყვნენ.

...დიმა გ-ს მხოლოდ 18 წელი შეუსრულდა და მას სახალხო სასამართლოს მიერ უკვე 6 წლის პატიმრობა აქვს მისჯილი ქურდობისათვის. მას ჯერ კიდევ როგორც რიგია ცხოვრებაში ფეხი არ შეუდგამს და უკვე „გაიკრა“ განაჩენი — პატიმრობაში ყოფნა იმ დროის განმავლობაში, რაც შეადგენს ზუსტად მისი წლოვანების ერთ მესამედს. რისთვის და როგორ მოხდა ეს?

დიმა გ-ს დედა თამარი გაეყარა თავის ქმარს და მეორედ გათხოვდა. თავის მხრივ დიმა მამაც ახალ ოჯახს მოეკიდა.

ორივე მშობელმა, დედამ და მამამ, როგორც კი შეეძლოთ, თავიანთი პირადი ბედნიერება მოაწყეს, მხოლოდ შვი-

ლის ბედზე კი არც ერთს და არც მეორეს არ უფიქრია. თავისანაბარა მიტოვებული, დედმამისაგან უალრესად შეურაცხყოფილი, ის გაკვეთილებს არ სწავლობს, ცუდად იქცევა. იგი გარიცხეს როგორც ერთ, ისე მეორე და მესამე სკოლიდან; მეოთხეს კი თვითონ ანებებს თავს. უკვე 15 წლისას მილიციაში ჰქონდა საქმე; ის იყო სრულწლოვანი გახდა, რომ მიიღო სიმწიფის თავისებური ატესტატი: განაჩენი ქურდობისათვის ექვსი წლის პატიმრობის მისჯით.

ასე იღუპებიან ბავშვები, რომლებიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლად ფეხზე ვერ დამდგარან, ხოლო მათი ქარაფშუტა მშობლები, რომლებმაც ისინი ოჯახურ კერას მოაცილეს, ქუჩაში გააგდეს და სხვადასხვა დანაშაულისაკენ უბიძგეს, კვლავ პატივისცემით და სახელით სარგებლობენ თავიანთ თანამოსამსახურეთა და მეზობლებს შორის, ზოგჯერ კი საზოგადოების ფართო წრეებშიც.

დიდი და საპასუხისმგებლოა მშობლების მოვალეობა ბავშვთა აღზრდის საქმეში. ყველა მშობელმა პირნათლად უნდა შეასრულოს სახელმწიფოს წინაშე მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის წმინდა მოვალეობა.

## საქმეთა დამაჯავბით გავმოძიებაზე ლაბრუნების შესახებ

### 6. ღავითაია,

საქართველოს სსრ პროკურატურის  
საგამომძიებლო განყოფილების უფ-  
როსი.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარეს გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამომძიების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ადგილებზე პერიოდულად ეწყობა პროკურატურისა და მილიციის მუშაკთა გაერთიანებული სემინარები მთელ რიგ აქტუალურ თემებზე, პროგრამაში შეტანილია ცალკეულ დანაშაულთა საქმეებზე გამომძიების ჩატარებისას სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, სასამართლო-სამედიცინო და საბუხჰალტრო ექსპერტიზის ჩატარების საკითხები და სხვ.

მოწინავე გამოცდილების უკეთ გაზიარების მიზნით ადგილებზე იგზავნება საინფორმაციო წერილები, სადაც გარდა დადებითი მხარისა, აღინიშნება ის ნაკლოვანებები, რაც დაშვებული იქნა გამომძიებლის მიერ ამა თუ იმ საქმის გამომძიების დროს.

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ თარგმნა და ქართულ ენაზე გამოსცა ნ. ა. სელივანოვის და ვ. ი. ტერებილოვის მიერ შედგენილი ცნობარი პირველადი საგამომძიებლო მოქმედების შესახებ,

რაც უდაოდ დაეხმარება გამომძიებლებს მათს პრაქტიკულ მუშაობაში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად რაიონებისა და ქალაქის პროკურატურის მთელმა რიგმა მუშაკებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს გამომძიების ხარისხი და კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

მაგალითად, ქუთაისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი შ. ფრუიძე კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლების შედეგად უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქმეებს ამთავრებს კანონით დაწესებულ ვადებში და ხარისხიანად, ამყლავნებს სათანადო ოპერატიულობასა და ინიციატივას, რის შედეგადაც გახსნა მკვლელობის მთელი რიგი რთული საქმეები (გოგიავას, ვაჩიბერიძისა და სხვათა).

ზუგდიდის რაიონის პროკურატურის გამომძიებელ მ. ზარანდიას უკანასკნელ ხანებში სასამართლოდან დამატებითი გამომძიებისათვის არცერთი საქმე არ დაბრუნებია.

თიანეთის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა ზ. ფეტვიანმა მილიციის რაიგანყოფილების მუშაკ ა. ბარნაბიშვილთან ერთად შემოსული სიგნალის საფუძველზე (სო-



ფელ ახალსოფლის კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა დიდი რაოდენობით სათესლე ხორბლის დატაცებას) გამოიჩინა ინიციატივა და ოპერატიული ღონისძიებების ჩატარების შედეგად გამოავლინა მტაცებელთა ჯგუფი ა. მ. აბრამიშვილის და სხვათა შემადგენლობით. გამოძიება ამ საქმეზე ფეტვიაშვილმა დაამთავრა უმოკლეს ვადაში და ხარისხიანად.

1958 წლის 22 იანვარს ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის მილიციის განყოფილებაში აღიძრა საქმე ც. ა. პაპიკიანის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა ადგილობრივი მრეწველობის საავეჯო ფაბრიკიდან დერმანტინის მოპარვა. მილიციის განყოფილებაში თავიდანვე ვერ შესძლო ამ საქმეზე სხვა თანამონაწილე პირების გამოვლინება და საქმე ქვემდებარეობისამებრ გადაუგზავნა იმავე რაიონის პროკურატურას.

ეს საქმე შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად გადაეცა სახალხო გამოძიებელ ა. აფხაზიშვილს, რომელმაც მილიციის მუშაკებთან ერთად შესძლო სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა ჯგუფის გამომჟღავნება. ა. აფხაზიშვილმა დაადგინა, რომ ბოროტმოქმედთა ჯგუფში გარდა პაპიკიანისა შედიოდნენ ო. კოჩარიანი, რ. ოგანეზოვი და სხვები, რომლებიც არსად არ მუშაობდნენ და არ ეწეოდნენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ქურდავდნენ სახელმწიფო ორგანიზაციების საწყობებსა და საცავებს. სულ მათ გაქურდეს 7 საწყობი და საცავი. აფხაზიშვილმა უზრუნველყო გამოძიების თავის დროზე ჩატარება.

სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა საქმეების გახსნისა და დამნაშავეთა თავის დროზე მხილების საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვთ ჩხორაწყუს რაიონის პროკურორ გ. ტორჩინავას და სახალხო გამოძიებელ ვ. სხულუხიას. მათ მიერ მილიციის მუ-

შაკებთან ერთად თავის დროზე მხილებული იქნა ბოროტმოქმედთა ჯგუფი ხ. პაპავას, ი. ნაჭყეხიას და სხვათა შემადგენლობით, რომლებმაც სოფელ ხაბუშეს სოფლის კოლხეობის მალაზია გატეხეს და გაიტაცეს დიდძალი რაოდენობის სამრეწველო საქონელი.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გამოძიებელმა ვ. სხულუხიამ ამ ჯგუფის ერთერთი მონაწილე ა. ვეკუა დააკავა სხვა რაიონში იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი ჰყიდდა გატაცებულ საქონელს.

გამოძიების დარგში კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოებს.

მიუხედავად გამოძიების ხარისხის ერთგვარი გაუმჯობესებისა, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა ამ მიმართებით დამაკმაყოფილებელია. საგამომძიებლო მუშაობის ერთერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენს სასამართლო ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების მრავალი ფაქტი. აქ ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს საქმეების დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების შემთხვევები ახალი გარემოების აღმოჩენის გამო. ჩვენ მივუთითებთ მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებიც უბრუნდება პროკურატურას უხარისხოდ ჩატარებული გამოძიების გამო და სასამართლოების მიერ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმეების უსაფუძვლოდ დაბრუნებაზე.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ სერიოზულ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, თუ რა ზიანი მოაქვს საქმის დამატებით გამოძიებაზე დაბრუნებას, რომ იგი იწვევს ზედმეტ ხარჯებს და ამავე დროს გაჭინურებას, რის გამოც მოსალოდნელია საქმემ თავისი მნიშვნელობა დაკარგოს.

იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს საქმეთა დამატებით გამოძიე-

ბაზე დაბრუნება, საჭიროა გავაძლიეროთ საგამომძიებლო დარგის მუშაკებისა და სასამართლოების პასუხისმგებლობა ამ საკითხში. თვითეული საქმე, რომელიც დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა, სათანადო მსჯელობისა და რეაგირების საგნად უნდა იქცეს.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, დამატებით გამოძიებაზე უმთავრესად ბრუნდება გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეები. ცხადია, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიების ჩატარება და შემდეგ მისი სასამართლოში განხილვა დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან. ამასთანავე, როგორც ცნობილია, ბოროტმომქმედნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება-გაფლანგვას აწარმოებენ სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით, რომლის გამოვლინებაც წინასწარი გამოძიების სტადიაში უნდა მოხდეს. ასეთ შედეგს ყოველთვის აღწევს ის გამოძიებელი, რომელიც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სხვა საგამომძიებლო და ოპერატიულ ღონისძიებათა გარდა, წინასწარ სათანადოდ ეცნობა იმ წარმოებისა და დაწესებულების ანგარიშწარმოების სტრუქტურას და ორგანიზაციას, სადაც ადგილი ქონდა გაფლანგვა-მტაცებლობას.

გარდა ამისა, ამგვარი საქმეები გამოძიებლისაგან მოითხოვენ უამრავი მასალისა და ციფრების დაზუსტებას. ჩვენ გვაქვს ცალკეული ფაქტები, როდესაც ზოგიერთი გამოძიებელი მიმართავს უფრო იოლ საშუალებას, სახელდობრ, საეჭვოდ აყენებს ამა თუ იმ საქმეზე სარევიზიო მასალების რეალობას, და არის თუ არ არის საჭირო, ნიშნავს საბუხჰალტრო ექსპერტიზას, რომელსაც აკისრებს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რაც გამოძიებელის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს; მაგალითად, მოითხოვს ექსპერტისაგან კვალიფიკაციის განსაზღვრის საკითხს და სხვ. სამწუხაროდ ამ სენით დაავადებუ-

ლია ზოგიერთი მოსამართლეც, რომელიც არ განიხილავს ამ კატეგორიის საქმეებს, როგორ ზარისხიანადაც არ უნდა იყოს ის წარმოებულ, თუ არ არის ჩატარებული საბუხჰალტრო ექსპერტიზა. ჩვენ გვესმის საბუხჰალტრო ექსპერტიზის ჩატარების მნიშვნელობა და აუცილებლობა ამა თუ იმ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ცალკეული გამოძიებლებისა და მოსამართლეების ასეთი დამოკიდებულება საბუხჰალტრო ექსპერტიზის ჩატარების საკითხისადმი ყოველად გაუმართლებელი და საზიანოა.

ჩვენ არ ჩამოვთვლით ყველა იმ მიზეზს, რაც იწვევს სასამართლოების მიერ საქმეთა დამატებით გამოძიებაზე დაბრუნებას, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ვარემოება, რომ ზოგიერთი გამოძიებელი არ ასრულებს კანონის მოთხოვნას გამოძიების პროცესში შეაგროვოს ბრალდებულის მიმართ როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი დოკუმენტები და სათანადო ანალიზი გაუკეთოს მათ.

გამოძიების ყველა სტადიაში გამოძიებელი ვალდებულია განიხილოს ბრალდებულის შუამდგომლობები ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედების ჩატარების შესახებ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, როდესაც ის აცნობს საქმეში არსებულ მასალებს და უდგენს გამოძიების დამთავრების ოქმს. მიუხედავად ამისა, არის ცალკეული ფაქტები, როდესაც გამოძიებელი მთელი სერიოზულობით არ სწყვეტს ამ საკითხს და არ იჩენს სათანადო დაინტერესებას, რომ ბრალდებულმა სასამართლოსათვის არ მოიტოვოს ისეთი შუამდგომლობები, რაც დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების საბაზი გახდება. თანაც ცალკეულ შემთხვევაში გამოძიებელი ბრალდებულს ურჩევს სასამართლო პროცესზე წარადგინოს შუამდგომლობა, რაც ყოველად დაუშვებელია. ბრალდებულის არცერთი შუამდგომლობა

არ უნდა დარჩეს სათანადო განხილვისა და გადაწყვეტის გარეშე.

ამავე დროს, გარკვეული რაოდენობის საქმეები უბრუნდება დამატებით გამოძიებას პროცესუალური ნორმების უხეზად დარღვევის გამო. თეთრიწყაროს რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა საბანაძემ ბრალდებულ ა. ყ. სარქისიანისა და სხვათა საქმეზე გამოძიება ჩაატარა არასრულყოფილად და ზერელედ, დაუშვა მთელი რიგი პროცესუალური ნორმების უხეზი დარღვევა. მაგალითად, ბრალდებულთათვის საქმის დამთავრების ოქმის წარდგენის შემდეგ შეასრულა მთელი რიგი საგამომძიებლო მოქმედებები და სხვა, რის შედეგად აღნიშნული საქმე სასამართლომ სავსებით სწორად დააბრუნა დამატებით გამოძიებისათვის.

ორჯონიკიძის (სოფელ ხარაგაულის) რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა რ. ლევერაშვილმა ნ. ს. ფუთურიძის ბრალდების საქმე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ მეორე მუხლით გადასცა განსახილველად სახალხო სასამართლოს. სასამართლომ ეს საქმე სწორად დაუბრუნა პროკურატურას იმ მითითებით, რომ დაეზუსტებინათ ფუთურიძის ბრალდება საქვეანგარიშო თანხის დანაკლისის ნაწილში. ლევერაშვილმა არ დააზუსტა ფუთურიძის დანაკლისი და მიუხედავად იმისა, რომ ზერელედ შემოწმების შედეგად დაუტოვა მას 7.966 მანეთის დანაკლისი, მოუხსნა ბრძანებულების მეორე მუხლი და საქმე ამნისტიის შეფარდებით წარმოებით მოსპო.

აღნიშნული ფაქტი მოწმობს, რომ რ. ლევერაშვილი თავიდანვე არასერიოზულად მოეკიდა ამ საქმეს და არ ჩაატარა სრულყოფილი გამოძიება.

ხობის რაიბროკურატურის სახალხო გამომძიებელმა ვ. სილაგავამ დაუშვა პროცესუალური დარღვევები ტ. ი. ბასილიას საქმის გამოძიებისას (მთელი რიგი დოკუმენტებზე თარიღის არა სწორი აღნიშვნა და სხვ.), რის შედეგად საქმე სასამართლომ დააბრუნა დამატებით გამოძიების ჩასატარებლად.

გამოძიების ხარისხის ამაღლებით უნდა მინიმუმამდე დავიყვანოთ საქმეთა დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების შემთხვევები. ეს კი დამოკიდებულია თვითეულ გამომძიებლის უნარზე და ოპერატიულობაზე. ამასთანავე საჭიროა გაძლიერდეს გამოძიებაზე შედამხედველი პროკურორის პასუხისმგებლობა. არც ერთ საქმეზე საბრალდებლო დასკვნა არ უნდა იქნეს დამტკიცებული საქმის სათანადოდ შესწავლისა და განხილვის გარეშე.

განა შეიძლება თავი იმართლოს გამომძიებელმა და ზედამხედველმა პროკურორმა, როდესაც მათ საქმე დაუბრუნდათ მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთ დოკუმენტზე არასწორად იყო აღნიშნული თარიღები და სხვა ამგვარი?

არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული სასამართლოები დამატებით გამოძიებაზე უსაფუძვლოდ აბრუნებენ საქმეებს და თანაც ისეთი მითითებით, რომლის შესრულება აუცილებლობას არ წარმოადგენს, რის შედეგად ადგილი აქვს საქმის დაუშვებელ გაჭიანურებას.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. ა. ბერიაშვილის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სსკ 151 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, 1958 წლის 11 ნოემბერს დაუბრუნა პროკურატურას მხოლოდ იმ მოტივით, რომ დაზარალებული არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ რაიონის პროკურორის პროტესტის საფუძველზე გააუქმა ეს არასწო-

რი დადგენილება და საქმე დაუბრუნა სასამართლოს განსახილველად.

შემდგომში საქმის განხილვა მოხდა არსებითად და ს. ა. ბერიაშვილი სათანადოთ იქნა დასჯილი, მაგრამ ფაქტია, რომ საქმის არასწორმა დაბრუნებამ დაუშვებელი გაჭიანურება გამოიწვია.

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 22 ნოემბერს დაბრუნა დამატებით გამოძიებაზე ა. რ. ხალიფიანის ბრალდების საქმე, რომელიც მუშაობდა რა შინების შემკეთებელ სახელოსნოს საწყობის გამგედ, მიითვისა 40.000 მანეთზე მეტი სახელმწიფო თანხა. საქმე დაბრუნებული იქნა ისეთი მითითებით, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არ ქონდა. რაიონის პროკურორის საკასაციო პროტესტის საფუძველზე უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა სასამართლოს ეს დადგენილება და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას განსახილველად. მხოლოდ მიმდინარე წლის 11 მარტს იქნა ეს საქმე არსებითად განხილული და ხალიფიანს მიესაჯა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასამართლოს მიერ 1958 და 1959 წლებში გამოტანილი დადგენილებები საქმეთა

დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების შესახებ უმთავრეს შემთხვევაში უქმდება საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს მიერ პროკურორის პროტესტის საფუძველზე.

ასევე, სტალინის რაიონის სახალხო სასამართლომ უსაფუძვლოდ დაბრუნა დამატებით გამოძიებაზე შ. ა. ლერიანიშვილის, შ. ა. მამასახლისის, ა. ბ. ლორიას და სხვათა ბრალდების საქმეები. ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ მოსამზადებელ სხდომიდან არასწორად დაბრუნა თ. მ. თოლორაიას და სხვათა ბრალდების საქმე, რომელიც საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტის საფუძველზე გაუქმებული იქნა და სასამართლოს დაუბრუნდა განსახილველად.

კიდევ შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანა სასამართლოების მიერ საქმეთა დამატებით გამოძიებაზე უსწოროდ დაბრუნების შესახებ. საჭიროა, რათა სასამართლო ორგანოები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საქმეთა დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების საკითხს.

სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებული ახალი კანონები საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკებისაგან მოითხოვენ გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა სოციალისტური კანონიერების გატარების საქმეში.

## მესამე პირთა სარჩელებზე აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ

ბ. დევიდარიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი  
სასამართლოს წევრი.

საბჭოთა კანონი მკაცრად სჯის სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს და ამავე დროს ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო ორგანოების მიერ აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ მესამე პირთა სარჩელების კანონიერ გადაწყვეტას. აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოირკვა, რომ სახალხო სასამართლოები უმრავლეს შემთხვევაში არ ასრულებენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 325-175 მუხლებისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის დადგენილების „აღწერიდან ქონების ამორიცხვის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მოთხოვნას.

ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული კანონის საწინააღმდეგოდ მესამე პირთა სარჩელებს იხილავენ ან როგორც განცხადებას აღმასრულებლის უკანონო მოქმედების შესახებ ან იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის წესით.

მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 30 აპრილს განიხილა ნ. პ. ჩარვაზიას სარჩელი აღწერილობითი სიიდან ქონების

ამორიცხვის შესახებ როგორც აღმასრულებლის უკანონო მოქმედება და სარჩელი დააკმაყოფილა.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 15 ოქტომბერს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურების წესით განიხილა და დააკმაყოფილა ვ. გ. გოგოლაშვილის სარჩელი აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ.

სასამართლოები საქმეების საერთო სასარჩელო წესით განხილვის დროს უმრავლეს შემთხვევაში არ იწვევენ სათანადო მოპასუხებად დაზარალებულ ორგანიზაციებს, რომელთა დავალიანების დასაფარავად აღწერილია მოვალის ქონება, ხოლო ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე კი არ იწვევენ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლებს. ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 7 ივნისს დაზარალებული ორგანიზაციისა და რაიონის აღმასკომის საფინანსო განყოფილების წარმომადგენლის გარეშე განიხილა და დააკმაყოფილა ე. ნონიანცის სარჩელი აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ.

ასევე მოიქცა რუსთავის სახალხო სასამართლოც, რომელმაც 1958 წლის 15 მარტს განიხილა და დააკმაყოფილა პ.

რიბკოვის სარჩელი აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ.

სახალხო სასამართლოები ხშირ შემთხვევებში არღვევენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის დადგენილების მე-6 მუხლის მოთხოვნას და ისეთ საქმეებზე, როდესაც ქონების აღწერა მოხდენილია სისხლის სამართლის განაჩენის სამოქალაქო ნაწილში აღსრულებასთან დაკავშირებით, არ ურთავენ ქონების აღწერის აქტებს, განაჩენის შემოწმებულ ასლს ან ამონაწერს, რაც იწვევს გაურკვევლობას და შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ რა რაოდენობით და რა მიზნითაა აღწერილი ქონება, ზარალის ასანაზღაურებლად თუ საკონფისკაციოდ. აღნიშნულ გარემოებათა დადგენას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის კანონიერად გადაწყვეტისათვის.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლომ გასული წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით საქმეზე ქონების აღწერისა და შეფასების აქტის დართვის გარეშე განიხილა და დააკმაყოფილა დ. ახოზაძის სარჩელი აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ.

ასევე საქმეზე ქონების აღწერისა და შეფასების აქტის დართვის გარეშეა დაკმაყოფილებული რ. როსტიაშვილის სარჩელი მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით და ა. შ.

საქმეთა შესწავლით გამოვლინდა აგრეთვე ისიც, რომ კანონის ზემოდ აღნიშნულ დარღვევათა გარდა სასამართლოები ზერელედ და უყურადღებოდ ეკიდებიან აღნიშნული კატეგორიის საქმეების განხილვას, სათანადოდ არ არკვევენ მხარეთა უფლებას აღწერილ ქონებაზე, კრიტიკულად არ აფასებენ მესამე პირთა განცხადებებს და მათ მიერ დასახელებულ მოწმეთა ჩვენებას და ხშირ შემთხვევაში მოწმეთა არა-

ობიექტური ჩვენებების საფუძველზე ახდენენ სარჩელების დაკმაყოფილებას, რის შედეგადაც დაზარალებულ ორგანიზაცია - დაწესებულებებს უსპობენ ზიანის ანაზღაურების საშუალებას.

შ. აღლაძეს სასამართლოს განაჩენით დაკისრებული ქონდა 105.711 მანეთის გადახდა „თბილბოსტანის“ სასარგებლოდ. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ შ. აღლაძის მეუღლის თოხაძის სარჩელი ზარალის ანაზღაურების მიზნით აღწერილი ქონების აღწერილობითი სიიდან ამორიცხვის შესახებ დააკმაყოფილა და სხვა ქონებასთან ერთად აღწერილობითი სიიდან ამორიცხა მაცივარი იმ მოსაზრებით, რომ იგი ეკუთვნის მოსარჩელეს, რადგანაც შექმნილია მისი საკუთარი სახსრებით, მაშინ, როდესაც საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მაცივარი შექმნილია მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში და შეადგენდა მათ თანასაკუთრებას. ასეთ შემთხვევაში მტკიცება იმისა, თუ კერძოდ რომელი მეუღლის თანხებით იქნა შექმნილი ქონება (მით უმეტეს მოწმეთა ჩვენებით), კანონით გათვალისწინებული არ არის.

გურჯაანის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელმა მსჯავრდადებულ ა. გულიაშვილის მიერ გაფლანგული 98.537 მანეთის ანაზღაურების მიზნით მის ოჯახში მოახდინა ქონების აღწერა. მსჯავრდადებულ ა. გულიაშვილის მეზობელმა მ. კვაცაშვილმა მოითხოვა აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვა იმ მოტივით, რომ თითქოს მან გაყიდა საცხოვრებელი სახლი და ქონება შესანახად მიაბარა მსჯავრდადებულ ა. გულიაშვილის ოჯახს.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა და აღწერილობითი სიიდან ამორიცხა და მოსარჩელის საკუთრებად

სცნო 3560 მანეთად ღირებული სხვა და სხვა სახის ქონება.

ამ შემთხვევაში სასამართლომ კრიტიკულად არ შეაფასა მოსარჩელის აღნიშნული განმარტება, არ გამოარკვია თუ როდის გაყიდა მან სახლი და სად ცხოვრობდა იგი, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მსჯავრდადებულის ოჯახში აუცილებელი მოხმარების საოჯახო ნივთების შენახვა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოსარჩელემ სამსჯავრო სხდომის დროს თავისი მოთხოვნა გაზარდა და სასარჩელო განცხადებაში ჩამოთვლილ ნივთებს გარდა მოითხოვა მთელი რიგი სხვა ნივთების მის საკუთრებად ცნობა.

საინტერესოა ერთი მაგალითიც: თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით შუშნაშვილის სარჩელი მისი მსჯავრდადებული ძმის შუშნაშვილის დავალიანების დასაფარავად აღწერილი კარადის მის საკუთრებად ცნობის შესახებ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ კარადა შეადგენს მის მზითვს.


სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, რომ მოსარჩელე გათხოვილია, მწელია ცალკე ცხოვრობს და იგი არც სასარჩელო განცხადებაში და არც სამსჯავრო გამოძიების დროს არ აღნიშნავდა, რომ კარადა შეადგენდა მის მზითვს. ასეთ ვითარებაში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი სასამართლოს არ ქონდა. მსგავსი ფაქტები კი მრავალია.

სასამართლოების მუშაობაში ადგილი აქვს არასწორ პრაქტიკას იმ შემთხვევაშიც, როდესაც საკითხი ეხება კომლის ერთ-ერთი წევრის მიერ სახელმწიფოსათვის გაფლანგვა-მტაცებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით აღწერილი ქონების ამორიცხვას, კომლის დანარჩენ წევრთა მიერ წარდგენილი სარჩელების საფუძველზე. სასამართლოები არ ასრულებენ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილებას „სა-

ხელმწიფო დაწესებულებათა და წარმოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვის, მითვისების ან დატაცებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ და არ არკვევენ, ხომ არაა კომლის ქონება შექენილი ან გაზრდილი მითვისებული თანხებით.

ხშირია შემთხვევები, როდესაც კომლიდან მსჯავრდადებული წევრის ქონების გამოყოფას გადახდევინების მისაქცევად ახდენენ თანაბარი წილის გამოყოფით კომლის სულადობის მიხედვით, იმის დადგენის გარეშე, თუ რა წვლილი მიუძღვის კომლის მსჯავრდადებულ წევრს კომლის საერთო ქონების შექენაში, რითაც უგულებელყოფენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 29 ივნისის დადგენილების „სახალხო სასამართლოების მიერ კოლშეურნე და ერთპიროვნულ გლეხთა კომლის გაყრის და ქონების გამოყოფის საქმეების განხილვის შესახებ“ მოთხოვნას. ამას გარდა გადაწყვეტილებებში არ უჩვენებენ, თუ სახელდობრ რა ქონება გამოეყო მოვალეს ნატურით და კმაყოფილდებიან გამოსაყოფი ქონების საერთო ღირებულების თანხობრივი აღნიშვნით, რითაც დავა კვლავ გადაუწყვეტელი რჩება და შეუძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება.

მსჯავრდადებულ მუჯირს სასამართლოს განაჩენით დაეკისრა 49953 მანეთის გადახდა ბათუმის ხე-ტყის საწყობის სასარგებლოდ. მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრდადებულ გ. მუჯირის მეუღლის ზ. მუჯირის სარჩელი დავალიანების დასაფარავად აღწერილი კომლის ქონებიდან ქონების ამორიცხვის შესახებ დააკმაყოფილა, კომლის ქონების საერთო ღირებულება გაანაწილა თანაბარ წილად კომლის წევრთა სულადობის მიხედვით და გადაწყვეტილებაში ქონების ნატურით დასახელების გარეშე აღნიშნა, რომ და-



ვლიანების დასაფარავად გადახდები-  
ნება მიექცეს მსჯავრდადებულის კუთვ-  
ნილ 3580 მანეთის ქონებაზე.

ანალოგიური შეცდომებია დაშვებუ-  
ლი იმავე სახალხო სასამართლოს მიერ  
ვ. ჭეიშვილისა და მ. დუმბაძის სარჩე-  
ლების განხილვის დროს და ჩოხატაუ-  
რის რაიონის სახალხო სასამართლოს  
მიერ ლ. მამალაძის და მ. მამალაძის  
საქმეების განხილვისას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატუ-  
რის ზედამხედველობა აღნიშნული კა-  
ტეგორიის საქმეების განხილვაზე ძალ-  
ზე სუსტია.

შემოწმებული 110 საქმიდან პროკუ-  
რორის მონაწილეობით განხილულია  
მხოლოდ 35 საქმე, რაც უდრის შემოწ-  
მებულ საქმეთა 31,8 პროცენტს. მაშინ,  
როდესაც სსრ კავშირის გენერალური  
პროკურორის 1955 წლის 10 დეკემბ-  
რის № 133 ბრძანების შესაბამისად აღ-  
ნიშნული კატეგორიის საქმეების გან-  
ხილვაში პროკურორთა მონაწილეობა  
სავალდებულოდ არის მიჩნეული. ამაში  
სასამართლოებსაც მიუძღვით ბრალი,  
რომლებიც უგულებელყოფენ და არ

ასრულებენ საქართველოს სსრ საპროკუ-  
რაქო სამართლის საპროცესო კოდექ-  
სის 175 მუხლის მოთხოვნას აღნიშნუ-  
ლი კატეგორიის საქმეების განხილვაში  
მონაწილეობის მისაღებად პროკურორ-  
თა გამოწვევის შესახებ. შემოწმებული  
110 საქმიდან მხოლოდ 10 საქმეშია  
ცნობა საქმის გარჩევაში პროკურორი-  
სათვის მონაწილეობის მისაღებად შე-  
ტყობინების გაგზავნის შესახებ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემოწ-  
მებული საქმეებიდან პროკურორთა  
მიერ გადაწყვეტილებათა უკანონობის  
შესახებ არცერთი საკასაციო ან სა-  
ზედამხედველო პროტესტი არ დაწერი-  
ლა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწ-  
მობს, რომ სარჩელთა მეტი ნაწილი და-  
კმაყოფილებულია და არც თუ ისე იშ-  
ვიათად სასამართლო გადაწყვეტილე-  
ბით ქონება მიკუთვნებული აქვთ იმ  
პირთ, რომელთაც მასზე არავითარი  
უფლება არ გააჩნიათ. ამით კი ხელი  
ეშლება სახელმწიფოსათვის გაფლან-  
გვა-მტაცებლობით მიყენებული ზარა-  
ლის ანაზღაურების საქმეს.



## ვახტანგის კანონთა სავალდებულო ძალის საკითხისათვის XVIII საუკუნის სამართალი

მ. ჭიჭოძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ქართული პროცესუალური სამართლის ისტორიის ერთერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს ვახტანგის კანონების სავალდებულო ძალის საკითხი. იმის განმარტება თუ რა სავალდებულო ძალა ჰქონდა ვახტანგის სამართალს სასამართლო პრაქტიკაში და რამდენად წარმოადგენდა იგი პროცესუალური სამართლის სახელმძღვანელო კანონს ან დადგენილ ნორმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოპოვებული. ჩვენ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რათა შევეცადოთ დავამტკიცოთ ვახტანგის კანონთა სავალდებულო ძალა.

საპროცესო სამართლის მუხლების შედგენის დროს ვახტანგ VI-ს ერთერთ ძირითად სახელმძღვანელო წყაროდ ადგილობრივი ადათობრივი სამართალი გამოუყენებია, ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას ახალი ნორმების დადგენის გზით კარდინალური ცვლილებების შეტანა ადათობრივ სამართალში ვერ მოუხერხებია. ზოგჯერ ვხვდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც სასამართლო პრაქტიკაში უსწრებს ვახტანგის სამართალს. მაგალითად, დამამტკიცებელ საბუთთა შორის ვახტანგი არ იცნობს წერილობით საბუთებს, მაშინ როდესაც იგი შეტად გავრცელებული ყოფილა და თავის მხრივ ქართული იურიდიული აზროვნების წინსვლას ნიშნავდა.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკის ამსახველმა მასალამ მოგვცა საშუალება აღგვედგინა ვახტანგის სამართლის პრაქტიკული ღირებულების ნათელი სურათი.

XVIII საუკუნის სასამართლო წარმოება და მართლმსაჯულება, გარკვეული გამონაკლისის გარდა, ვახტანგის კანონებით ხელმძღვანელობდა. არაერთ სასამართლო პროცესზე პირდაპირ მითითებულია ვახტანგის სამართლის ის მუხლები, რომლის საფუძველზე წარმართულია ძიება. XVIII საუკუნის სასამართლო პრაქტიკა ასახავს ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ დიფერენციაციას და იერარქიულ კიბეს, რომელიც მოცემულია ვახტანგის სამართალში. სასამართლო პრაქტიკა, ვახტანგის სამართლის ანალოგიურად, ფეოდალური საზოგადოების ყველა წარმომადგენელს გარკვეულ ადგილს უთმობს. სასამართლო აქტები პირდაპირ უთითებენ იმ მუხლებს, რომელთა საფუძველზე ისაზღვრება ბრალდებულის სისხლი, ე. ი. რომელთა საშუალებით ხდება სისხლის დაურევება. სასამართლო პრაქტიკა, ვახტანგის სამართლის მსგავსად, იცნობს თავადთა სამ კატეგორიას, რომელთა სისხლი ერთმანეთისაგან განსხვავებულად არის შეფასებული. დი-

დებულო თავადის სისხლი ვახტანგის სამართლის 26-ე მუხლის მიხედვით 1.536 თუმანს უდრის. იმერეთში, სისხლის სამართლის ერთ პროცესზე სადაც ზურაბ წერეთლისა და როსტომ ნიჟარაძის საქმე ირჩეოდა, მოსამართლეთ სწორედ ვახტანგის სამართლის 26-ე მუხლით უხელმძღვანელიათ, როცა ზურაბ წერეთლის სისხლი, როგორც დიდებული თავადისა, 1,536 თუმანად შეუფასებიათ.<sup>1</sup>

მესამე რანგის თავადის საქმეთა გარჩევასას სასამართლოს კვლავ ვახტანგის სამართლით უსარგებლია და ზაზა სოლოლაშვილის სისხლის დადგენის დროს მისი სისხლი 484 თუმანად შეუფასებია. ვახტანგის სისხლის დაურევების სისტემაში ზაზას მესამე რიგის თავადის ადგილი სჭერია და განაჩენიც სასამართლოს მის საფუძველზე მიუღია: „მეფის ვახტანგის წიგნი ოცდამერვე რიცხვში მესამე თავადის მთელს სისხლის სამასოთხმოცდა ოთხს თუმანს უჩინს“-ო, — აღნიშნულია გადაწყვეტილების წიგნში. სასამართლოს განაჩენის გამოსატანად პირდაპირ მიუყენებია ვახტანგის კანონმდებლობის 26-ე მუხლი და ზაზა სოლოლაშვილის სოციალური მდგომარეობის გარკვევის შემდეგ განუსაზღვრავს ბრალდებულისათვის სისხლის ანაზღაურება. სასამართლო ითვალისწინებდა რა სოლოლაშვილის სოციალურ უფლებებთან ერთად, თანამდებობასთან დაკავშირებულ პატივსა და უფლებებს, სისხლის ფასს ზრდიდა. საინტერესოა, რომ სასამართლო პრაქტიკა სახელმწიფო თანამდებობას გარკვეულ პატივს უკავშირებდა და ამა თუ იმ თანამდებობის მქონეს ამ პატივის ნიშნად სისხლს უმძიმებდა. მოხელეობის ფუნქციის ტარებასთან დაკავშირებით სისხლის დაურევების შემთხვევაში სასამართლო ამ ფაქტსაც იღებდა მხედველობაში.

ვახტანგის სამართლის 34-ე მუხლში ვკითხულობთ: „გვარობის სისხლის გარეთაც, სახელის სისხლიც ზედ დაურთონ და ისრე გაუჩინონ“-ო.

სასამართლო პრაქტიკა ვახტანგის სამართლის მსგავსად აზნაურთა ფენაშიაც სამ კატეგორიას არჩევდა. ციციშვილების სახლთუხუცესის აზნაურ ბურთიშვილის სისხლი ვახტანგის სამართლის 30-ე მუხლის მიხედვით 96 თუმანად შეფასებულა. ამ 30-ე მუხლით უსარგებლიათ მოსამართლეთ, როდესაც იესე მურვანიშვილის სისხლის დაურევებას შესდგომიან. მისი სისხლიც 96 თუმანად შეფასებულა.<sup>2</sup>

ვახტანგის სამართალში სოციალური კიბე გლეხთა კატეგორიებსაც მოიცავდა. ყმა-გლეხის სისხლის დაურევებას არა ერთი სასამართლო პროცესი ვახტანგის კანონების მეშვეობით აწარმოებდა. სასამართლო პრაქტიკა იცნობს გლეხთა რამოდენიმე კატეგორიას, რომელთა სისხლი ერთმანეთისაგან განსხვავებულად ფასდება. პაპა სომხიშვილის მკვლელობის გამო ბრალდებულს 24 თუმანი დასდებია<sup>3</sup>. ასევე 24 თუმანად შეფასებულია როჭიკაშვილის მსლებელი ქალის სისხლი, რომელიც ბაშარულს გაუტაცნია<sup>4</sup>.

კიდევ უფრო დაბალ საფეხურზე იდგა გლეხთა იმ კატეგორიის წარმომადგენელი, რომლის სისხლი 12 თუმანად ფასობდა. გლეხთა ამ კატეგორიას იცნობდა, როგორც ვახტანგის სამართალი, ისე სასამართლო პრაქტიკა. ამის საფუძველზე იმერელი ბერუას სისხლი სასამართლოს 12 თუმანად შეუფასებია<sup>5</sup>.


ამრიგად, სრულიად აშკარად ჩანს XVIII საუკუნის სასამართლო პრაქტიკისა და მართლმსაჯულებაში ფეოდალური საზოგადოების სოციალური დი-

<sup>1</sup> საქ. მუხ. ფ. Ad № 1171

<sup>2</sup> ცენტრ. არქივი ფ. 226, № 3077

<sup>3</sup> საქართველოს სიძველენი ტ. 11, 83. 466

<sup>5</sup> საქ. მუხ. ფ. Qd № 8:05



ფერენციაცია, რომელსაც გარკვეული სარჩული ედო საფუძვლად: „კაცი მამულით, კაცობით, ბატონობის სამსახურით, ციხით, მონასტრით და უფროსის კაცის მოყუარდ მოკიდებით ამალდების, სისხლი ვაუდიდდების“.

ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ეს დებულება სასამართლო წარმოების სახელმძღვანელო თეზად იქცა, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად სისხლის დაუტყვების სისტემაში აისახა.

ამრიგად, XVIII საუკუნის სასამართლო წარმოება მეტნაკლებად მიმდინარეობს ვახტანგის კანონებში წარმოდგენილი ფეოდალური საზოგადოების იერარქიული კიბის დაცვის საფუძველზე და სოციალური დიფერენციაციის საკითხებში გამოხატავს ვახტანგის სამართლის სავალდებულო ძალას.

თუ ჩვენ ვხვდებით რომელიმე ცალკეული საკითხის გამო მოსამართლის მიერ ვახტანგის კანონების გადახვევის მაგალითებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვახტანგის კანონს ეცლებოდეს სავალდებულო კანონად გავრცელების ძალა, ან და მოსამართლეს ენიჭებოდეს კანონმდებლობისა და სკულმდებლის ფუნქცია. მოსამართლის იურიდიული უფლება არ აღემატებოდა იმ კერძო შემთხვევას, რომლის მიმართაც იგი მას აჩენდა.

ასევე, თვალსაჩინოდ ასახავს სასამართლო პრაქტიკა ვახტანგის სამართლის სავალდებულო ძალას გვიანფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი სათავადო სახლის ორგანიზაციის საკითხების გარკვევის დროს. არაერთი სასამართლო პროცესი წარმართულა ვახტანგის სამართლის მიხედვით, სასახლისკაცო ნორმების დაცვის საფუძველზე.

ერეკლე II, რომელიც სათავადოთა დიდ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა, მაინც საჭიროდ მიიჩნედა სასახლისკაცო

რიგის დაცვას, სათავადო სახლის დაურღვევლობას: „ისე უნდა ვაიყაროთ, რომ ყველამ თავ-თავისი წილი აიღოთ“-ო<sup>1</sup>.

„თავთავის წილში“ ერეკლე სწორედ იმ სარგოთა სახეებს გულისხმობდა, რომელიც მოცემული იყო ვახტანგის სამართლის მე-100, 101, 102, 103, 104, 105 და 106 მუხლებში.

XVIII საუკუნის სასამართლო წარმოებაც იმ პრინციპს იცავდა, რომელიც ვახტანგის სამართალში იყო ჩამოყალიბებული. როდესაც სოლომონ II ლორთქიფანიძეთა სასახლისკაცო დავას არიგებდა, წერდა: „ჭეშმარიტად ვსაჯეთ და თავთავის წილი, რომელიც სამართლის წიგნიდან მიეცემოდათ, სრულად სამართლით განვაჭეშმარიტეთ“-ო<sup>2</sup>.

უფროს-უმცროსების რიგის დაცვა სასახლისკაცო დავის დროს მთავარი პირობა იყო სასამართლოს მართლმსაჯულებაში. გაყრის დროს სადავო სახლის მეთაურს პირველი სარგო უნდა რეგობოდა „საუფროსოს“-ს სახით. ვახტანგის სამართლის მე-100 მუხლში მთელი საქონეგლის შემოსავლის ოცის თავიდან დგება „საუფროსო“. ის ფაქტი, რომ პირველი არჩევანი სახლის მეთაურს ეკუთვნის, დაცულია ყველა იმ სასამართლო აქტებში, რომელიც გაყრის საკითხს ეხება<sup>3</sup>, მაგრამ საუფროსოთა რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს, ე. ი. შეიძლება იყოს ოცის თავის გარდა 50-ის თავიც<sup>4</sup> და ასისტავიც<sup>5</sup>. ეს მომენტი უნდა გამომდინარეობდეს ამა თუ იმ სათავადო სახლის ორგანიზაციისა, ე. ი. ქონებრივი პრინციპის დაცვის და სახლის მეთაურის უფლებათა განსაზღვრის საფუძვლებიდან. ამ კერძო შემთხვევის დროს სასამართლომ შეიძლება

<sup>1</sup> ცენტრ. არქივი ფ. 226, № 3078

<sup>2</sup> იქვე, ფ. 226, № 3185

<sup>3</sup> იქვე, ფ. 226 № 5046, № 352. საქ. მუხ. ფ. Hh, № 9437.

<sup>4</sup> საქ. მუხ. ფ. Qd, № 7292, 7305.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 226, № 278

კიდევ ვახტანგის სამართალს გადაუხვიოს, მაგრამ ვახტანგის მიერ შემუშავებულ სასახლისკაცო უფლებათა დაცვის პრინციპს ვერ უგულვებლყოფს.

ვახტანგის სამართლის მიხედვით „საუფროსოს“ მომდევნო სარგოს „გასამყრელო“ წარმოადგენდა და მასში აიღებოდა, როცა სახლის მეთაური თავის წილს გამოყოფდა. ეს მომენტი დაცულია ვახტანგის სამართლის 101-ე მუხლში და იგივე მომენტი გამოხატულებას ჰპოვებს სასამართლო წარმოებაშიც. „გასამყრელო“ საქონელების ოცის თავიდან უნდა ამდგარიყო და სამეფო-სახასო საქონლებად გამოცხადებულიყო. ამ პრინციპით მომხდარა „გასამყრელოს“ გამოყოფა არაერთ სასამართლო პროცესზე. ამავე პრინციპით უხელმძღვანელობდათ ამილახორიშვილებს<sup>1</sup>, ერის თავებს<sup>2</sup>, ქიზიყისმოურავიანთ<sup>3</sup>, ბარათიანთ და სხვათა.

მესამე სახის სარგო, რომელიც გასამყრელოს მოჰყვებოდა, შუათანა — მომდევნო ძმას ერგებოდა. შუათანა ძმების უფლება, დავითაშვილების სასამართლო პროცესზე გაყრის დროს პირუთენელად დაუცავთ<sup>4</sup>.

ვახტანგის სამართლის მიხედვით შემდეგ სახის სარგოს „საუმცროსო“ წარმოადგენდა. 103-ე მუხლში ვკითხულობთ „უმცროსის ძმისა — საუმცროსო სასახლე არის“. სასამართლო პრაქტიკაშიც „საუმცროსოს“ უმთავრესად სასახლე ან სასახლედ განკუთვნილი ტერიტორია წარმოადგენდა. ქიზიყის მოურავიშვილების გაყრის დროს უმცროს სახლისკაცს სასახლე რგებია წილში. სასამართლოს დაუსაბუთებია კიდევ: „სამართალი როგორც მისის უმაღლესობის განაჩენში ეწეროს, ისე უნდა აღსრულდეს“-ო.<sup>5</sup> მოსამართლეთ უმცროსი ამილახორიშვილისათვის სასახლე მიუციათ, როგორც მისი საფარდო წილი<sup>6</sup>. იმერეთშიც სოლომონ I-ს ლორთქიფანიძეთა სასახლისკაცო დავის დროს უმცროს ძმისათვის, ანალო-

გიურად ვახტანგის კანონებში შემუშავებული ნორმისა, სასახლე მიუცია<sup>7</sup>.

საინტერესოა აგრეთვე მეხუთე სარგოს არსებობა, რომელიც დაცულია, როგორც სასამართლო პრაქტიკასა, ისე ვახტანგის სამართალში. სარგოს ეს სახეობა ეკუთვნოდა მოჭირნახულე სახლისკაცს. „საჭირნახულეს“ მიღება ვახტანგის კანონების 103-ე მუხლის საფუძველზე ხდებოდა, სათავადო სახლისადმი გარკვეულ ჯაფის და გაწეული შრომის საზღაურად. იოთამ ამილახორიშვილს სახლისადმი გარკვეული ღვაწლი მიუძღოდა და მას გაყრის დროს „საჭირნახულე“ მისცეს<sup>8</sup>.

ამრიგად, XVIII საუკუნის მანძილზე ქართულ მართლმსაჯულებაში სახლის ორგანიზაციის და სახლისკაცთა უმცროს-უფროსობის პრინციპი, როგორც კანონი, დაცულია და სასამართლო პრაქტიკა ხელმძღვანელობს ვახტანგის მიერ შემუშავებული რიგით, იმ რიგით, რომლის დამცველად სასამართლო პრაქტიკა გვევლინება. მართალია, მართლმსაჯულება ვახტანგის კანონს სავალდებულო ძალას ანიჭებდა, მაგრამ ცხადია ვერ გაითვალისწინებდა იმ პუნქტებში, რომელნიც თითონ კანონმდებლობაში არ იყვნენ ასახულნი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო თვითონ სწყვეტდა ამა თუ იმ საკითხს. ამ სახის ვითარება სასამართლოს ვახტანგის კანონისაგან გადახვევას აიძულებდა, საუფროსო შესაძლებელია ამდგარიყო ოცის თავიდან, ორმოცდაათის თავიდან და ასის თავიდანაც. ეს იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა ურთიერთობა არსებობდა სახლის მეთაურსა

<sup>1</sup> საქ. მუხ. ფ. Hd, № 435

<sup>2</sup> ცენტრ. არქ. ფ. 2; 226 № 352

<sup>3</sup> იქვე, 226, № 278

<sup>4</sup> საქ. სიძვ. ტ. 1, გვ. 448—490

<sup>5</sup> არქ. 226, № 456

<sup>6</sup> საქ. მუხ. ფ; Qd, № 1440

<sup>7</sup> არქივი 39, ფ. 226, № 3185

<sup>8</sup> საქ. მუხ. ფ. Hd, № 2251



და სახლისკაცებს შორის და რა რაოდენობის საქონელი ვარდებოდა სათვალავში. უმცროს ძმას სასახლის შავიერ, გამონაკლისის სახით, შეიძლება გარკვეული რაოდენობის ყმა-მამული ჰრგებოდა. ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სასახლე საერთო საქონელში არ ჩავარდებოდა და ან თუ სასახლე საერთოდ სათვალავში არ მოექცეოდა. ასეთი სახის გამონაკლისები არსებული ვითარებით იყო გამოწვეული და მათ დაკანონების პრეტენზია არ ჰქონდათ. ისინი მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში იყვნენ მისაღები.

სასამართლო პრაქტიკისა და ვახტანგის სამართლის ურთიერთობის და ამ უკანასკნელის სავალდებულო ძალის დამადასტურებელ მასალას იძლევა XVIII საუკუნის სასამართლო წარმოება, სადაც დანაშაულის კლასიფიკაცია და მის საფუძველზე სისხლის დაურვეების სახეები ვახტანგის სამართლის მსგავსად არის გადაჭრილი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დანაშაულის ანაზღაურება ბრალდებულის მიერ ხდება ქონებრივი საზღაურის გადახდით. მიყენებული ჭრილობა იზომებოდა ქერის მარცვლის საშუალებით და ფეოდალური საზოგადოების ყოველ სოციალურ ფენას ჭრილობის თავისი საზომი სათანადოდ ჰქონდა შეფასებული, რის საფუძველზე ხდებოდა სისხლის დაურვებაც. ვახტანგის სამართლის 49-ე მუხლის შედეგადაა მიღებული ჩერქეზიშვილებისა და ამილახორიშვილების სასამართლო განაჩენი, სადაც წერია: „ჭრილობა... ქერის მარცვლით გაზომოს და რაც გამოვიდეს, იმ ჭრილობის სისხლი მისცეს-ა“<sup>1</sup>.

ის სოციალური გრადაცია, რომელიც მოცემულია ჭრილობის ქერის მარცვლით გაზომვისას, დაცულია სასამართლო პრაქტიკაშიც. მესამე რანგის თავადის ჭრილობის ერთი ქერის მარცვლის სისხლი ვახტანგის სამართლის 49-ე მუხლით ასე იყო განსაზღვრული: „და-

ბოლოს თავადზედ ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი ჩავარდებოა.

ამ მუხლის დაცვის საფუძველზე მომხდარა რამოდენიმე სასამართლო პროცესის წარმართვა. გიორგი მორღალისა და ბარამ ნაზირის სასამართლო პროცესზე, როდესაც ბარამ ნაზირის ჭრილობის სისხლის ანაზღაურება გამხდარა საჭირო, ქერის მარცვლით გაუზომიათ მისი ჭრილობა და რამდენი ქერის მარცვალი აღმოჩენილა, იმდენი 6 თუმანი და 4 მინალთუნი მიუციათ“<sup>2</sup>. მსგავსი ანალოგიების მოტანა შესაძლებელია მაღალაშვილების<sup>3</sup>, თარხნიშვილების<sup>4</sup> და სხვათა სასამართლო პროცესებიდან, სადაც მოსამართლენი ვახტანგის სამართლის 49-ე მუხლს ზუსტად იყენებენ.

„ცალმოგუი“ ანუ მესამე რიგის აზნაურიშვილის ერთი ქერის მარცვლის ჭრილობა 8 მინალთუნად ფასდებოდა. ვახტანგი წერს: „ცალმოგუს აზნაურზედ რვა მინალთუნი ჩავარდებოა“. სწორედ 49-ე მუხლს ითვალისწინებდნენ მოსამართლენი, როდესაც ტეტია ჩუბინიშვილის ჭრილობის „სისხლს საზღვრავდნენ“<sup>5</sup>.

ამრიგად, სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილების წიგნი გვაძლევს საშუალებას განვაცხადოთ, რომ სასამართლო წარმოება, არა მარტო ჭრილობის სიმძიმის საკითხის მიმართ ვახტანგის სამართალს სავალდებულოდ ხდის, არამედ აუცილებელ ძალას ანიჭებს ჭრილობის შესახებ სამართალში დაცულ სხვა ნორმებსაც.

ვახტანგის სამართალი და აქედან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკა ყველა სახის ჭრილობას ქერის მარცვლით ზომავდა და საზღვრავდა, მაგრამ

<sup>1</sup> საქ. მუხ. ფ. Hd, № 1053

<sup>2</sup> საქ. სიძვ. ტ. III. გვ. 476

<sup>3</sup> საქ. მუხ. ფ. Ad, № 1493

<sup>4</sup> იქვე, ფ. Ad, № 1713

<sup>5</sup> ცენტრ. არქ. ფ. 226, № 4712

საზღაურის განსხვავებისათვის • თვალისწინებდა იმ გარემოებას, თუ რა იარაღით იყო მიყენებული ესა თუ ის ჭრილობა. ძიების ეს მომენტი, დაცული ვახტანგის სამართალში, ასახულია სასამართლო წარმოებაშიც.

ვახტანგის მიხედვით თოფით ჭრილობის მიყენება დამამძიმებელ გარემოებად არის მიჩნეული: „თოფით... იმ სხვას ჭრილობაზედ ერთი ორად გააჩინონო“ — წერს სჯულმდებელი.

XVIII საუკუნის მართლმსაჯულება ავლებს ზღვარს ცივი და სხვა იარაღით მიყენებულ ჭრილობას შორის და ცივი იარაღით მიყენებულ ჭრილობას უფრო ნაკლებად სჯის. გამომდინარე ვახტანგის ნორმების დაცვის საფუძვლებიდან, სასამართლო ბეჟან ამილახორიშვილისა და ჩერქეზიშვილების საქმის გარჩევის დროს, ადგენს: „თოფით დაჭრილი უფრო ბევრს ჭირს ნახავსო“ და უთითებს რა ვახტანგის სამართალს, წერს: „სამართლის წიგნშიაც ამ გვარის იარაღით დაჭრილი უფრო გაირჯებოდა და ბევრს ჭირს ნახევდის“<sup>1</sup>.

ამრიგად, როგორც ვახტანგის სამართალი, ისე სასამართლო პრაქტიკა არკვევდა დანაშაულის ობიექტურ მხარეს, მის საფუძველზე ადგენდა ჭრილობის მიყენების სახეს და მხოლოდ ყოველივე ამის შედეგად გამოჰქონდა განაჩენი.

ჯოხით მიყენებული ჭრილობის სისხლის დაურვება თავისი რიგით მიდიოდა. არაერთგზის ვხვდებით სჯულმდებელი მეფის მიერ შემუშავებული ნორმით დაცული სისხლის ანაზღაურების მაგალითებს. ვახტანგის სამართლის 266-ე მუხლის მიხედვით: „თუ ჯოხი დაჰკრას, ნახევარი ქერის მარცვლის სისხლი გარდაუხადოს, რასაც გვარისა იყოს იმ ანგარიშითა-ო“.

სასამართლო პრაქტიკაში ვახტანგის სამართლის სავალდებულო ძალას გა-

ჟონატავს „შინ მიხდომის“ საკითხიც. XVIII საუკუნის მიწურულში შემდგარი სასამართლო პირდაპირ უთითებს ვახტანგის სამართლის 52-ე მუხლს, სადაც სწორედ „შინ მიხდომის“ შემთხვევაზეა საუბარი.

სამართალში დაცული ეს ნორმა გამოხატულებას ჰპოვებს სასამართლო პრაქტიკაშიც. სოლოღაშვილების ქიშპისა და დავის იგარკვევის დროს სასამართლოს სწორედ ამ მუხლით უხელმძღვანელია: „სანატრელი მეფის ვახტანგის სამართლის წიგნი ორმოცდა მეთორმეტე რიცხვში თავის აწლო მდგომს გლევს კაცს, რომ მიუხდეს, იმ სახლის პატრონს რისიც გვარისა არის, მთელს სისხლს ნახევარს უჩენს“<sup>2</sup> — წერია ერთერთ სასამართლო აქტში.

ბოროტმოქმედება, რომელიც ბატონის — გიგია თუმანიშვილის ადგილსამყოფელის ტერიტორიაზე მომხდარა (გიგიას ყმა დაუჭრიათ და სასამართლოს სისხლის დაურვება დასჭირვებია), სასამართლო თუმანიშვილის სისხლის ანგარიშიდან გამოსულა<sup>3</sup>.

ქართული ფეოდალური სამართლის ეს ნორმა საინტერესოა ბატონყმობის ბუნების გაგების და ბატონობის უფლებრიობის საკითხის შესწავლის თვალსაზრისითაც.

საინტერესოა მასალას იძლევა ვახტანგის სამართლის სავალდებულო ძალის შესწავლის თვალსაზრისით სამოქალაქო სამართლის ზოგიერთ საკითხზე დაკვირვებაც.

საინტერესოა ბეითალმანი მამულის საკითხის გადაჭრა სასამართლო წარმოებაში, სადაც, ანალოგიურად სხვა საკითხებისა ამოსავლად ვახტანგის სამართალია მიჩნეული. ვახტანგის სამართლის 231-232 მუხლებს მიხედვით

<sup>1</sup> საქ. მუხ. ფ. Hd, № 1053

<sup>2</sup> საქ. მუხ. ფ. Hd, № 14635

<sup>3</sup> საქ. მუხ. ფ. Qd, № 104, ფ. Ad, № 1493



ბეითალმანი მამული სამეფო-სახასოდ ცხადდება. სასამართლოც სწყვეტს ამ საკითხს. გარდაცვლილი გოგია ბერძენიშვილის მამულზე უფლება სახლისკაცებმა ვერ მოიპოვეს, რადგან იულონ ბატონიშვილის განაჩენის მიხედვით მამული სახასოდ გამოცხადდა.<sup>1</sup>

გასათვალისწინებელია ის შემთხვევაც, როდესაც ყმა-მამული მზითვში მიჰყვება ქალს, როდესაც ამ მამულს მამაკაცი პატრონი არ ჰყოლია. მამულის მონაგების აღება თუ მამულის უწინდელის ვალის გადახდა სიძემ უნდა იკისროს, როგორც ყმა-მამულის ახალმა მესაკუთრემ. როდესაც ყარაბულახიშვილს დოლენჯიშვილის ქალი შეურთავს და მამული მზითვში მიუღია, მამულს კი თაყაიშვილის ვალი გაჰყოლია, ვალის გადახდა სასამართლოს ყარაბულახიშვილისათვის დაუკისრებია<sup>2</sup> სასამართლო გადაწყვეტილების წიგნს, რომელსაც ეს განაჩენი მიუღია, პირდაპირ გადმოუწერია ვახტანგის სამართლიდან 145-ე მუხლი.<sup>2</sup>

ფეოდალური სამართალი იცავდა რა ფუძის მოუშლელობისა და მამულის მკვიდრობის პრინციპს, თვითონვე მართავდა, რომ სამართლით გაჩენილი მკვიდრობა არ უნდა წაერთვას ოჯახს, რათა ოჯახი არ ამოწყდეს და „მამულიდან ხელმწიფეს სამსახური არ მოაკლდეს“-ო.<sup>3</sup>

ამრიგად, ჩვენ მიერ მოტანილი მასალიდან სრულიად აშკარად ჩანს ვახტანგის სამართლის ის დიდი როლი, რომელიც მას XVIII საუკუნის სამართალში ჰქონდა მოპოვებული. კარგად ჩანს, აგრეთვე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მას მოსამართლენი, აგრეთვე ისიც

კარგად ჩანს, თუ რა შემთხვევაში იჩენდნენ მოსამართლეები ვახტანგის სამართლისაგან დამოუკიდებელი მოქმედების ინიციატივას. ეს ინიციატივა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მხოლოდ გარკვეული მიზეზის გამო იყო დასაშვები. ცხადია, ყველა კერძო შემთხვევის დაკანონების უფლება მოსამართლეს არ გააჩნდა.

ზემოდმოყვანილი მასალა საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მე-18 საუკუნის სასამართლო პრაქტიკა კანონით სავალდებულო ძალას ანიჭებდა ვახტანგის სამართალს; მოსამართლეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდა თავისუფალი მოქმედების უფლებას, როდესაც ესა თუ ის კაზუსი ასახული ან გათვალისწინებული არ იქნებოდა ვახტანგის კანონმდებლობაში. საკანონმდებლო უფლება და ვახტანგის სამართლის შესწორება, ჩვენი ვარაუდით, იურიდიულად მაინც, ფეოდალური საქართველოს ყველაზე უმაღლესი ხელისუფალის — მეფის უფლებას წარმოადგენდა. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ ფაქტს: კორექტივი, რომელიც ერეკლე მეორემ შეიტანა ვახტანგის სამართალში, დაკანონებული იქნა. სასამართლო პრაქტიკამაც იგი ასახა. ამ გარემოებას ხაზი გავსვა არაერთ სასამართლო პროცესზე, როგორც მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ფაქტი. ერთერთი სასამართლო აქტის მიხედვით, თუ ფათერაკად კაცის მოკვლის დროს ვახტანგის კანონმდებლობა ნახევარ სისხლს აჩენდა, ერეკლეს მთელი სისხლის ანაზღაურება დაუწესებია. ჩვენ არ დავიწყებთ იმის ძიებას, თუ რას ნიშნავდა ქართული იურიდიული აზროვნების თვალსაზრისით ერეკლეს მიერ მიღებული ღონისძიება. ერთი კი ცხადია, რომ ერეკლეს მიერ მიღებული ეს ღონისძიება შესაძლებელია მიმართული ყოფილიყო თავადური ამ-

<sup>1</sup> საქ. სიძვ. ტ. III, გვ. 243

<sup>2</sup> საქ. მუხ. ფ. Sd, № 1234

<sup>3</sup> ცენტრ. არქივი ფ. 226, № 317

ლილობისა და აღვირახსნილობის წინააღმდეგ, როდესაც ხშირად წინასწარ განზრახული ბოროტმოქმედება ფათერაჟის მარკით საღდებოდა. ] ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ვახტანგის სამართლის ამ მუხლში შეტანილი ცვლილების აღნიშვნა მოსამართლეთა თვის მოვალეობად ჩაუთვლიათ: „მათის სიმაღლის მეფისაგან ახალი განწყობა არის: რომელიც კაცი ფათერაჟად კაცს მოკლავს, მთელი სისხლი უნ-

და დაუურგოს“<sup>1</sup> — ვკითხულობთ სამართლო აქტში.

ამრიგად, ყველა ზემოდტყმულიდან ჩანს, რომ სამართლის მუხლების შედგენის დროს ვახტანგ VI სარგებლობდა რა ადგილობრივი ადათობრივი სამართლის ნორმებით, რომელიც ფეხმოკიდებული იყო სასამართლო პრაქტიკაში, აყალიბებდა ამ ნორმებს კანონის სახით და მას საგალღებულო ძალას ანიჭებდა.

<sup>1</sup> საქ. მუხუმის ფ. Ad. № 1713



## წინადადებათა, რომელთა გათვალისწინება ვიზანუზონილი იქნება სამოქალაქო სამართლის მომავალ საკრძეასო კოდექსში

თ. ლილუაშვილი,

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან  
არსებული იურიდიული კომისიის  
კონსულტანტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის მიერ მიღებული კანონის თანახმად მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის, სამოქალაქო, სისხლისა და საპროცესო კოდექსების მიღება.

საქართველოში მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებიდან უკვე 27 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტური კანონიერება.

ბუნებრივია, რომ მოქმედი საპროცესო კოდექსი ამჟამად უკვე მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სოციალისტური კანონიერების გაზრდილ მოთხოვნებს.

ამ მოკლე სტატიის ფარგლებში ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ საკითხს და ამასთან დაკავშირებით წამოვყენებთ ზოგიერთი ხასიათის წინადადებებს, რომელთა გათვალისწინებაც სამოქალაქო სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

მოქმედი კანონის თანახმად მხარის გამოუცხადებლობა, როდესაც სასამართლოს აქვს ცნობა, რომ მას უწყება ჩაბარდა, საქმის გარჩევას და გადა-

წყვეტას ვერ დააბრკოლებს (103-ე მუხლი). მაგრამ სასამართლოს უფლება რჩება გადადოს საქმის გარჩევა, უკეთეს საჭიროდ მიიჩნევეს გამოუცხადებელი მხარის პირად ახსნა-განმარტებას. მოსარჩელე ან მოპასუხე პირადი ახსნა-განმარტებისათვის შეიძლება დაბარებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმეში მისი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას (104-ე მუხლი). უკეთეს ხელმეორედ დაბარებული მხარე, რომელსაც ახსნა-განმარტების საჭიროება ეუწყა, არ გამოცხადდება საპატიო მიზეზის გარეშე, საქმე გადაწყდება არსებული მასალის მიხედვით (105-ე მუხლი).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, როგორც არ უნდა აუცილებლად მიიჩნიოს სასამართლომ გამოუცხადებელი მხარის ახსნა-განმარტება, მას მაინც არ შეუძლია იძულებით მოიყვანოს მხარე. საქმე იმაშია, რომ საპროცესო კოდექსი არ შეიცავს ნორმას, რომლის საფუძველზედაც სასამართლოს შეეძლოს უზრუნველყოს ამათუიმ მხარის იძულებითი მოყვანა ზოგიერთი იშვიათი გამოწაკლისის გარდა, თუ ის ნებაყოფლობით და საპატიო მიზეზის გარეშე არ ცხადდება სასამართლოში. ამავ დროს

სასამართლო ვალდებულია ამ გამოუცხადებელი მხარის დაუსწრებლად გადაწყვეტოს საქმე არსებითად, თუ გინდ მის ხელთ არსებული მასალები საკმარის არ იყოს ამისათვის.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ასეთ მდგომარეობას შეიძლება შედეგად მოყვეს დაუსაბუთებელი და არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ერთერთ დადგენილებაში ნათქვამია, რომ „გაარჩია რა საქმე მოპასუხის დაუსწრებლად, ბელორუსიის სსრ სახალხო სასამართლომ საკმარის სისრულით ვერ გამოარკვია საქმის ყველა გარემოება და ვერ დაადგინა მხარეთა ნამდვილი უფლებანი და ურთიერთობა, რითაც დაარღვია ბელორუსიის სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 და 118-ე მუხლები“<sup>1</sup> (შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 და 126-ე მუხლებს).

ზოგიერთმა სასამართლომ შესაძლოა მოპასუხის გამოუცხადებლობა განიხილოს როგორც მოპასუხის სასარჩილო მოთხოვნებისადმი თანხმობა, რაც გამოიწვევს არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანას.

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში, განსხვავებით ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნის სამოქალაქო სამართლის პროცესისა, დუმილი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც თანხმობის ნიშანი. მხარე, რომელიც სასამართლოზე არ ცხადდება, შეიძლება სულ სხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდეს და ამიტომ სასამართლო მო-

ვალეა ბოლომდე გაერკვეს საქმის ვითარებაში, ხოლო ეს კი შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს სასამართლო პროცესში ორივე მხარის მონაწილეობის გარეშე.

მართალია, მხარეთა სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფამ შეიძლება გამოიწვიოს საქმის ცოტა გვიან გადაწყვეტა, მაგრამ როგორც ეს სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1935 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებაშია მითითებული „უმჯობესია საქმე ცოტა გვიან, მაგრამ სწორად გადაწყდეს, ვიდრე სწრაფად და არასწორად, რადგან დაუსაბუთებელ გადაწყვეტილების შემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ გაუქმების შემთხვევაში მივიღებთ საქმის საბოლოო გადაწყვეტის არა დაჩქარებას, არამედ დიდად გაჭიანურებას“.<sup>2</sup>

პლენუმის ამავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ იხილავს რა საქმეს საკასაციო-სარევიზიო წესით, ზედა ინსტანციის სასამართლო ვალდებულია გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე გადასცეს ხელახლა განსახილველად, თუ დარწმუნდება, რომ მხარეებს არ შეატყობინეს საქმის გარჩევის შესახებ.<sup>3</sup>

საბჭოთა სასამართლო მოწოდებულია ყოველი კონკრეტული საქმის გარჩევასას დაადგინოს არა ფორმალური, არამედ ობიექტური ჭეშმარიტება. ამიტომ, თუ სასამართლო ვალდებულია შეატყობინოს მხარეებს საქმის გარჩევის შესახებ, მას აგრეთვე უფლება უნდა ჰქონდეს საჭირო შემთხვევაში უზრუნველყოს მათი გამოცხადებაც.

შემოდინიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო სამართლის მომავალმა საპროცესო კოდექსმა გაითვალისწინოს ნორმა, რომლის საფუძველზედაც სასამართლოს შეეძლება მხარის იძულებითი მოყვანა იმ შემთხვევაში, როდესაც მისი აზრით

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“ 1956 г. № 5 стр. 47

<sup>2</sup> იხ. კრებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილები-სა, სახელგამი, 1955 წ. გვ. 256.

<sup>3</sup> იქვე გვ. 257.

მხარეების ნამდვილ უფლებათა და ურთიერთობის დადგენა შეუძლებელია გამოუცხადებელი მხარის ახსნა-განმარტების გარეშე. საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა. ასეთი მდგომარეობა სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ მოწმის გარეშე ხშირად შეუძლებელია ფაქტის დადგენა.

ამასთან ეს საკითხი მოპასუხისა და მოსარჩელის მიმართ შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: როდესაც ხელმეორედ დაბარებული მოპასუხე არ ცხადდება საპატიო მიზეზის გარეშე, ხოლო სასამართლოს თვალსაზრისით საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტა შეუძლებელია მისი პირადი ახსნა-განმარტების გარეშე, სასამართლოს უნდა შეეძლოს მისი იძულებითი მოყვანა.

ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც არ ცხადდება ხელმეორედ დაბარებული მოსარჩელე, რომლის გარეშეც სასამართლოს თვალსაზრისით, შეუძლებელია მხარეთა ნამდვილი უფლებებისა და ურთიერთობის დადგენა, სასამართლომ უნდა განუხილველად დატოვოს სარჩელი ან მოსპოს საქმე წარმოებით (ამგვარადაა გადაწყვეტილი მოსარჩელის მიმართ ეს საკითხი თურქმენეთის სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლით).

მაგრამ აქ შეიძლება წამოიჭრას ასეთი საკითხი: როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც ხელმეორედ დაბარებული მოსარჩელე, რომელსაც ახსნა-განმარტების საჭიროება ეუწყა არ ცხადდება საპატიო მიზეზის გარეშე, ხოლო მოპასუხე დაყენებით მოითხოვს საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტას? შეიძლება თუ არა სასამართლომ ასეთ შემთხვევაში მაინც განუხილველად დატოვოს ან წარმოებით მოსპოს საქმე?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმის განუხილველად დატოვება ან საქმის წარ-

მოებით მოსპობა არ შეიძლება და აირატომ: როდესაც მოსარჩელეს სარჩელი შეაქვს სასამართლოში, უკვე საქმის გარჩევით და გადაწყვეტით დაინტერესებულია არა მარტო მოსარჩელე, არამედ მოპასუხეც, განსაკუთრებით კი ისეთი მოპასუხე, რომელსაც სარჩელი უსაფუძვლოდ მიაჩნია და დარწმუნებულია მის დაუსაბუთებლობაში.

ზოგიერთი მოპასუხის თვალსაზრისით თვით სარჩელის აღძვრის ფაქტიც კი სადაოდ ხდის მის გარკვეულ უფლებებს.

მოსარჩელის არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობა არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც სარჩელზე უარისთქმა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მოპასუხეს აღარ დასჭირდებოდა მოეთხოვა სასამართლოსაგან საქმის არსებითად განხილვა და გადაწყვეტა, ვინაიდან სარჩელზე უარის თქმა მოსარჩელეს უსპობს უფლებას ხელმეორედ აღძრას იგივე სარჩელი მომავალში. ასეთი მდგომარეობა კი სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს მოპასუხეს, ვინაიდან მისი უფლება ამ მოსარჩელისაგან მომავალში დაზღვეული იქნება.

სარჩელის განუხილველად დატოვება კი არ შეიძლება უსპობდეს და არც უსპობს მოსარჩელეს უფლებას ხელმეორედ აღძრას იგივე სარჩელი. მაშასადამე, საქმის განუხილველად დატოვება ვერ აღმოფხვრის სარჩელის აღძვრით გამოწვეულ მოპასუხის უფლების განუსაზღვრელობას და ვერც ასეთივე სარჩელის აღძვრის საშიშროებას, რომელიც ბუნებრივია, გამოიწვევს აგრეთვე მოპასუხის მიერ დროის დაკარგვას, გარკვეულ ქონებრივ ზარალს და ა. შ.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება აღდგენილ იქნას მოპასუხის უფლების განსაზღვრელობა, რომელიც მისი აზრით უსაფუძვლო სარჩელის აღძვრითაა გამოწვეული.

ამიტომ მოპასუხემ შეიძლება მოსთხოვოს სასამართლოს, რომ მან განიხილოს სარჩელი და არსებითად გადაწყვიტოს მისი საფუძვლიანობა, რათა საბოლოოდ დადგინდეს სარჩელის ადვირით გამოწვეული მოპასუხის სადაოდ გამხდარი უფლების განსაზღვრულობა.

ამის შეუსრულებლობა უხეშად დაარღვევდა მხარეთა პროცესუალური თანასწორუფლებიანობის საბუთთა პრინციპს, რომლის თანახმად მოპასუხის ინტერესები ისევე უნდა იყოს დაცული სასამართლოს მიერ, როგორც მოსარჩელის ინტერესები.

ამიტომ, თუ ხელმეორედ დაბარებული მოსარჩელე საპატიო მიზეზის ვარაუდს არ გამოცხადდება, ხოლო მოპასუხე საქმის არსებითად განხილვას და გადაწყვეტას მოითხოვს, სასამართლომ, ჩვენის აზრით, უნდა დააკმაყოფილოს მოპასუხის ეს მოთხოვნა და არსებითად განიხილოს და გადაწყვიტოს სარჩელი.

როდესაც სასამართლოს თვალსაზრისით საქმის არსებითად განხილვა და სწორად გადაწყვეტა შეუძლებელია მოსარჩელის პირადი ახსნა-განმარტების ვარაუდს, მას, ისევე როგორც მოპასუხის მიმართ, უნდა შეეძლოს მოსარჩელის იძულებითი მოყვანა.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილი იქნება მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის გაუქმება და მომავალ კოდექსში ამ მუხლის ნაცვლად შემდეგი შინაარსის ნორმების გათვალისწინება:

1. „როდესაც ხელმეორედ დაბარებული მოპასუხე, რომლის ახსნა-განმარტების ვარაუდს სასამართლოს შეუძლებლად მიაჩნია მხარეთა ნამდვილი უფლებებისა და ურთიერთობის დადგენა, არ გამოცხადდება საპატიო მიზეზის ვარაუდს, სასამართლოს შეუძლია

დაადგინოს მოპასუხის იძულებითი მოყვანა“.

2. „როდესაც ხელმეორედ დაბარებული მოსარჩელე, რომლის ახსნა-განმარტების ვარაუდს სასამართლოს შეუძლებლად მიაჩნია მხარეთა ნამდვილი უფლებებისა და ურთიერთობის დადგენა, არ გამოცხადდება საპატიო მიზეზის ვარაუდს, სასამართლომ საქმე განუხილველად უნდა დატოვოს (ან მოსპოს საქმე წარმოებით, იმისდა მიხედვით თუ რა პროცესუალური შედეგი მოყვება საქმის განუხილველად დატოვებას და საქმის წარმოებით მოსპობას მომავალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით).

უკეთეს ასეთ შემთხვევაში მოპასუხე საქმის არსებითად გადაწყვეტას მოითხოვს, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს მოპასუხის ეს მოთხოვნა და დაადგინოს მოსარჩელის იძულებითი მოყვანა“.

— . —

ვფიქრობთ, რომ აგრეთვე შესწორებას მოითხოვს საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მეორე ნაწილიც, რომლის მიხედვით „უკეთეს ორივე მხარე არ გამოცხადდა და სასამართლოს აქვს ცნობა, რომ მათ უწყება ჩაბარდათ, სასამართლოს საქმის გარემოებათა მიხედვით შეუძლია ან გაარჩიოს საქმე მხარეთა დაუსწრებლად ან თუ ვინცობაა საქმის დამამტკიცებელ საბუთებს არასაკმარისად სცნობს ანდა მხარეთა გამოუცხადებლობის მიზეზს საპატიოდ მიიჩნევს, გადასდოს საქმის განხილვა ან შეაჩეროს საქმის წარმოება“.

ჩვენის აზრით, ორივე მხარის დაუსწრებლად საქმის გარჩევა არ არის მიზანშეწონილი. უფრო სწორი იქნება თუ ასეთ შემთხვევაში სასამართლო ყოველთვის გადასდებს საქმის განხილვას. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც ხელმეორედ დაბა-

რებული ორივე მხარე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით?

ამ კითხვაზე საპროცესო კოდექსში პირდაპირ პასუხს ვერ ვბოულობთ, თუმცა იმავე 103-ე მუხლის ანალიზიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლომ ალბათ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება.

იმისათვის, რომ გაუგებრობას ადგილი არ ექნეს, კოდექსის 103-ე მუხლის მეორე ნაწილი უნდა შეიცვალოს და დაზუსტდეს. სამოქალაქო სამართლის მომავალ საპროცესო კოდექსში ეს მუხლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

„როდესაც ორივე მხარე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, სასამართლომ უნდა გადასდოს საქმის გარჩევა.

როდესაც ხელმეორედ დაბარებული ორივე მხარე კვლავ არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით სასამართლოს შეუძლია საქმე განუხილველად დატოვოს“<sup>1</sup>.

ამასთან ამ მუხლს საჭიროა გაუკეთდეს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„როდესაც მხარეთა გამოუცხადებლობის გამო საქმე განუხილველად დატოვებული, მოსარჩელეს არ ერთმევა უფლება ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს ამავე სარჩელით, ამ მხრივ საერთო წესების დაცვით“.

— . —

მოქმედი საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად „საქმის გარჩევის დაწყების შემდეგ მხარემ ახალი დამამტკიცებელი საბუთი შეუძლია წარადგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს სასამართლო სცნობს, რომ მხარეს დამამტკიცებელი საბუთი თავის დროზე საპატიო მიზეზით ვერ წარუდგენია“.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა მთლიანად მიზანშეწონილი არ უნდა იყოს.

1. დახლოებით ამგვარადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 100 მუხლით.

როგორც ცნობილია, მხარეები უმრავლეს შემთხვევაში იურიდიულად მოუზადებელი არიან. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დამამტკიცებელი საბუთები მათ წარადგინონ საქმის გარჩევის დაწყების შემდეგ.

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლის პროცესში უფრო ხშირად სწორედ საქმის გარჩევის დაწყების შემდეგ იბადება ახალ გარემოებათა დადგენის აუცილებლობა, რაც შესაბამისი მხარისაგან ახალი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას მოითხოვს.


საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად „უკეთეს წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები საკმაო არ იქნება, სასამართლოს შეუძლია წინადადება მისცეს მხარეებს წარადგინონ დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები“.

იმის დადგენა, საკმაოა თუ არა წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები, ხშირად შეუძლებელი ხდება საქმის გარჩევის დაწყებამდე, მით უმეტეს, თუ საქმის წინასწარი მოზადებისათვის მოპასუხე ან მოსარჩელე დაბარებული არ ყოფილა ან დაბარებული იყო, მაგრამ არ გამოცხადდა.

საკითხს დამამტკიცებელი საბუთების საკმარისობის თუ არასაკმარისობისა და აქედან გამომდინარე შესაბამისი მხარისაგან ახალი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის შესახებ სასამართლო წყვეტს საქმის გარჩევის დაწყების შემდეგ და მის პროცესში.

დამატებითი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა მხარეების მიერ სწორედ საქმის გარჩევის დაწყების შემდეგ და მის პროცესში ხდება.

ჩვენის აზრით უფრო სწორი იქნება თუ მხარეებს თავისუფლად შეეძლებათ წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთები მანამ, სანამ სასამართლო მოსპობს საქმეზე ლაპარაკს და შეუდგება საქმის გადაწყვეტას (იხილეთ საპროცესო კოდექსის 114 მუხლი). საკითხის ასეთი



გადაწყვეტა უფრო შეუწყობს ხელს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება, თუ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის რედაქცია შეცვლილი იქნება შემდეგნაირად:

„დამამტკიცებელი საბუთის წარდგენა მხარეს შეუძლია მანამ, სანამ სასამართლო საქმის არსებითად განხილვას დამთავრებულად გამოაცხადებს“.

— . —

საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლის თანახმად „უკეთეს მხარე განაცხადებს, რომ მოწმე დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან უკეთეს მოწმესა და მხარეს შორის რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობაა, სასამართლოს შეუძლია არ დაკითხოს ამ მოწმეს“.

ამ მუხლის ანალიზიდან ნათლად სჩანს, რომ სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნა მოწმის საქმის შედეგით დაინტერესებისა და ამის გამო მისი არ დაკითხვის შესახებ, მაგრამ შეუძლია აგრეთვე არ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა და დაკითხოს იგი.

მიუხედავად ამ ნორმის ასეთი დისპოზიციურობისა, მას პრაქტიკაში შეუძლია არასასურველი შედეგები გამოიწვიოს.

მხარეს თავისი არაკეთილსინდისიერი მიზნების განსახორციელებლად შეუძლია აცილება მისცეს ისეთ მოწმეს, რომელიც სინამდვილეში დაინტერესებული არ არის საქმის შედეგით, მაგრამ

იგი ისეთი ფაქტის მოწმეა, რომელთა სასამართლოზე გამოყვანება არახელსაყრელია ამ მხარისათვის.

სასამართლომ უნდა დაადგინოს ობიექტური ჭეშმარიტება და კრიტიკულად მიუდგეს ყველა დამამტკიცებელ საბუთის და, მათ შორის, მოწმის ჩვენების შეფასების საკითხს, დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა ამის შესახებ რომელიმე მხარის განცხადება.

გარდა ამისა, მოწმის ჩვენების (აგრეთვე სხვა დამამტკიცებელი საბუთების) ობიექტურობის თუ არა ობიექტურობის საკითხს სასამართლო არკვევს და უნდა გამოარკვიოს მათი შეფასების შედეგად. ზოლო სასამართლოს მიერ მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოწმის საქმის შედეგით დაინტერესებისა და მისი არ დაკითხვის შესახებ, სხვას არასწინააღმდეგობა თუ არა მოწმის ჩვენების წინასწარ შეფასებას და მისი არაობიექტურობის დადასტურებას, თუმცა სასამართლოს არც ეს ჩვენება მოუსმენია და ბუნებრივია, მისი შეფასებაც არ შეეძლო.

ამიტომ, ჩვენის აზრით, სასურველი იქნებოდა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 133 მუხლის გაუქმება, ან ყოველ შემთხვევაში, მისი შეცვლა შემდეგნაირად: „როდესაც მხარე განაცხადებს, რომ მოწმე დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან როდესაც მოწმესა და მხარეს შორის რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობაა, სასამართლომ მაინც უნდა დაკითხოს ეს მოწმე, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს მხარის ასეთი განცხადება ამ მოწმის ჩვენების შეფასების დროს“.

## მიზანშეწონილია გაუქმდეს უმცირესი მოსამართლეების ინსტიტუტი

შ. ღარბინიანი,  
ბოგდანოვკის რაიონის სახალხო  
მოსამართლე.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის დადგენილებით „სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების ხელახალი განხილვისათვის სახალხო სასამართლოებში გადაცემის წესის შესახებ“ სასამართლოებს მიეცათ სახელმძღვანელო მითითება: „იმ შემთხვევებში, როდესაც სახალხო სასამართლოს განაჩენი ან გადაწყვეტილება გაუქმებულია ზემდგომი სასამართლოს მიერ და საქმე ხელახლა განხილვისათვის გადაეცემა სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობას, იგი უნდა გადაეცეს სხვა სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების გამაუქმებელი ზემდგომი სასამართლოს დადგენილებით“.

მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო აუქმებს ბოგდანოვკის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენს ან გადაწყვეტილებას, გაუქმებულ საქმეს ხელახალი განხილვისათვის იგი, როგორც წესი, სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1953 წლის 20 მარტის № 5 საოქმო დადგენილების საფუძველზე გადასცემს იმავე სასამართლოს მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას და ხელახალი განხილვა სწარმოებს ერთერთი სახალხო მსაჯულის თავმჯდომარეობით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ გაუქმებული საქმეების სისტემატური გადაცემა იმავე სასამართლოში ზემოხსენებული საოქმო დადგენილების საფუძველზე უსწორია და თვით ამ დადგენილების საწინააღმდეგოც, ვინაიდან დადგენილების თანახმად, იმავე სასამართლოს მიერ სახალხო მსაჯულის თავმჯდომარეობით საქმის ხელახალი განხილვა დაშვებულია სახალხო სასამართლოების ერთმანეთისაგან ტერიტორიული დაშორების გამო.

ამჟამად ერთი რაიონიდან მეორე რაიონში მოხვედრა განსაკუთრებულ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. ბოგდანოვკის რაიონიც, რომელიც მთიან და დაშორებულ რაიონად ითვლება ასევე მთიან და დაშორებულად მიჩნეული ახალქალაქის რაიონიდან, სინამდვილეში მასთან დაკავშირებულია ასფალტ-დაგებული გზით. გზაზე ყოველდღიურად მოძრაობს რამოდენიმე ავტობუსი და მანძილის დაფარვა 15-20 წუთში სავსებით შესაძლებელია.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე, ამხ. ა. ი. კირიჩენკოს გამოსვლასთან დაკავშირებით მიცემულ რეპლიკაში ამხ. ნ. ს. ზრუშჩოვმა სთქვა, რომ შორეული აღმოსავლეთი წინათ იყო შორეული; ცხენებით იქ თითქმის ნახევარი წელი უნდა გვევლო. ახლა კი იქ თვითმფრინავით მოსკოვიდან 6-8 საათში

მოხვდები. განა ეს „შორეულია“? იგი — შორეული კი არა, არამედ ძალიან ახლო გახდა.

მით უმეტეს საქართველოს რაიონების ერთმანეთისაგან დაშორება ამჟამად არ უნდა წარმოადგენდეს მიზეზს საქმის მეზობელ რაიონში განხილვისათვის.

გარდა ამისა, ზემოდაღნიშნული დადგენილების თანახმად, ხელახალი განხილვისათვის საქმის გადაცემა იმავე სასამართლოში დაშვებულია როგორც განსაკუთრებული გამონაკლისი და არა როგორც წესი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ გაუქმებული საქმეების სასამართლოში გადაცემა სახალხო მსაჯულის თავმჯდომარეობით განსახილველად უცილობლივ სცემს სახალხო მოსამართლის ავტორიტეტს დამსწრე საზოგადოების წინ. ისე გამოდის, რომ თითქოს სახალხო მსაჯულს, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში იურიდიული განათლება არა აქვს, უკეთ შეუძლია გაერკვეს საქმის ვითარებაში და გადაწყვიტოს იგი მართებულად.

ზოგადანოვკის რაიონის სახალხო სასამართლოს სასამართლო პრაქტიკა ნათელიყოფს, რომ სახალხო მსაჯულის თავმჯდომარეობით განხილული სისხლის სამართლის საქმეები ხშირად კვლავ უქმდება, ძირითადად განაჩენის ლმობიერების გამო. მაგალითად, შემცვლელმა მოსამართლემ ა. ა. გოროიანმა 1957 წელს განიხილა საქმე ც. ბ. პეტროსიანის ბრალდებისა გამო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-17 მუხლის „ვ“ პუნქტის I ნაწილით. პეტროსიანმა ავტომანქანის მართვისას განავითარა გადაჭარბებული სიჩქარე, არ აძლევდა სიგნალს და სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე გაიტანა 5 წლის ბავშვი, რომელიც ამის შედეგად გარდაიცვალა.

შემცვლელმა მოსამართლემ ესოდენ მძიმე დანაშაულისათვის დამნაშავეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა მხო-

ლოდ წელიწადნახევრის ვადით. ამასთან, ჯერ სასჯელი განუსაზღვრა ოთხი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო შემდგომ საქართველოს სსრ სსკ 48 მუხლის გამოყენებით სასჯელი წელიწადნახევრამდე შეამცირა.

რა თქმა უნდა, უმაღლესმა სასამართლომ ეს განაჩენი გააუქმა ლმობიერების გამო და დამნაშავეს მსჯავრი დაედო ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის სიმძიმის შესაბამისად.

შემცვლელმა მოსამართლემ მ. ს. თეიმურაზოვამ 1958 წელს განიხილა მ. ვ. სააკიანის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-17 მუხლის „ვ“ პუნქტის I ნაწილით. სააკიანმა მასზე მიმაგრებული მანქანის მართვა მიანდო ა. ს. ეზეკიანს, რომელსაც მძღოლის მოწმობა არ გააჩნდა, თვითონ კი მანქანის საფეხურზე შედგა. ეზეკიანმა დაარღვია რა წესი, უცბად დასძრა მანქანა უკან, რის შედეგადაც მანქანა საწყობის შენობაში შევიდა და მძიმედ დააშავა მუშა ა. რ. სკოიანი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა შემცვლელმა მოსამართლემ სამუშაო ადგილის მიხედვით დამნაშავეს მხოლოდ 6 თვის შრომაგასწორებითი სამუშაოები მიუსაჯა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ეს განაჩენიც ლმობიერების გამო გააუქმა. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლებიდან მთლიანადაა ამოღებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის მე-19 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სახალხო მოსამართლის მოვალეობის და-





კისრებას სახალხო მსაჯულისათვის მი-  
სი არყოფნის დროს (ავადმყოფობა,  
შვებულება და ა. შ.).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირის,  
მოკავშირე და ავტონომიური რესპუბ-  
ლიკების სასამართლო წყობილების შე-  
სახებ კანონმდებლობის საფუძვლების  
სულისკვეთებიდან გამომდინარე, მი-  
ზანშეწონილი იქნებოდა, რომ სახალხო  
მოსამართლის შვებულებაში ყოფნის  
დროსაც მისი მოვალეობის შესრულე-  
ბა დაეკისროს მეზობელი რაიონის მო-  
სამართლეს, რომელსაც ყოველთვის  
ექნება საშუალება 24 სამუშაო დღის  
განმავლობაში განიხილოს თავისი და  
მეზობელი რაიონის საქმეები, მითუმე-  
ტეს, რომ დანაშაული და მართლწეს-  
რიგის დარღვევები ჩვენში წლითი-  
წლობით მცირდება.

სახალხო მოსამართლეს შეუძლია  
ერთი კვირის განმავლობაში განიხილოს  
თავისი რაიონის საქმეები, ხოლო შემ-  
დგომ კვირას საქმეების განსახილვე-  
ლად გაემგზავროს მეზობელ რაიონში.  
ეს სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან

შვიდი დღის განმავლობაში არცერთ  
საქმის განხილვის ვადა არ ირღვევა.

სტატიაში „ქ. თბილისის კიროვის  
რაიონის სახალხო სასამართლო გაერ-  
თიანების შემდეგ“, რომელიც ჟურნალ  
„საბჭოთა სამართლის“ 1958 წლის  
№ 2-ში გამოქვეყნდა, ამხ. გ. იოსავა  
ანვითარებს შემდეგ აზრს: „რაიონული  
სასამართლოს შექმნა მნიშვნელოვანია  
იმ მხრივაც, რომ მომავალში შეიძლება  
დაისვას საკითხი სახალხო მოსამართ-  
ლის სახალხო მსაჯულით შეცვლის ინს-  
ტიტუტის გაუქმების შესახებ იმ რაიო-  
ნებში, სადაც ერთზე მეტი მოსამართლე  
მუშაობს“. გამოთქმული აზრი სავსებით  
სწორია, მაგრამ სრული არ არის, ვი-  
ნაიდან შემცვლელი სახალხო მსაჯულე-  
ბის ინსტიტუტის გაუქმება შესაძლებე-  
ლია არა მარტო იმ რაიონებში, სადაც  
ერთზე მეტი სახალხო მოსამართლე მუ-  
შაობს, არამედ იმ რაიონებშიც, სადაც  
ერთი სახალხო მოსამართლეა, მაგრამ  
მისი არყოფნის დროს მისი შეცვლა შე-  
უძლია მეზობელი რაიონის მოსამარ-  
თლეს.

## საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის ზოგადი მუხლი გადასინჯვას მოითხოვს

ზ. დანელია,

გალის რაიონის იურიდიული კონ-  
სულტაციის ადვოკატი.

რაიონული სახალხო სასამართლოე-  
ბის შექმნამ ბევრად გააუმჯობესა სასა-  
მართლო ორგანოების მუშაობის  
ხარისხი, რამაც თავის მხრივ გარკვეუ-  
ლი წვლილი შეიტანა სოციალისტური  
კანონიერების განუხრელად გატარების  
საქმეში.

ჩვენ ამ პატარა წერილში გვინდა გა-  
მოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება სა-  
ქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო  
და სამეურვეო კანონთა კოდექსის ზო-  
გიერთ მუხლზე, რომლებიც ჩვენის აზ-  
რით გადასინჯვას მოითხოვენ.

მოქმედი სამართლით სისხლისა და სა-  
მოქალაქო სამართლის საქმეების უმრავ-  
ლესობას სახალხო სასამართლოები გა-  
ნიხილავენ, მათ შორის მრავალ მძიმე  
დანაშაულსაც. მით უფრო გაუგებარია,  
რომ სახალხო სასამართლო განქორწინ-  
ების საქმეთა განხილვისას უფლება-  
მოსილი არ არის საქმე ბოლომდე მიი-  
ყვანოს, ანუ განაქორწინოს მხარეები  
განქორწინების საფუძვლიანი მოტივე-  
ბის არსებობის დროსაც კი.


ასე მაგალითად, მოქალაქე შენგე-  
ლიამ სახალხო სასამართლოში აღძრა  
საქმე განქორწინების შესახებ მოქალა-  
ქე კრავეიშვილთან. მოქალაქე შენგე-  
ლიას განქორწინების მოტივად მოყავდა  
ის, რომ მის მეუღლეს ინტიმური კავში-

რი ჰქონდა სხვა მამაკაცთან, რაც  
მთლიანად დადასტურდა სასამართლო  
პროცესზე. შემდგომმა სასამართლომ  
მხარეები განაქორწინა. მაშ რატომ უნდა  
იფარგლებოდეს სახალხო სასამართლოს  
უფლებები მხოლოდ და მხოლოდ მხა-  
რეთა შერიგებით?

შეიძლება უფრო დამაჯერებელი მაგა-  
ლითის მოყვანაც. განქორწინების საქ-  
მეთა განხილვის დროს არის შემთხვევე-  
ბი, როდესაც მეუღლეები, რომლებიც  
ფორმალურად განქორწინებულნი არ  
არიან, იმყოფებიან არარეგისტრირებულ  
ქორწინებაში; ჰყავთ მოზრდილი შვი-  
ლები და ვინაიდან სახალხო სასამარ-  
თლოს არ შეუძლია მათი განქორწინე-  
ბა, შერიგებაზე იწყებს ლაპარაკს.

მოქალაქე ჭანტურიამ აღძრა საქმე  
განქორწინების შესახებ მოქალაქე კა-  
კუბავასთან. ჭანტურიას განქორწინების  
სხვა მოტივებთან ერთად მოყავდა ისიც,  
რომ კაკუბავას მასთან თორმეტი წლის  
ცხოვრების მანძილზე შვილი არ ეყოლა.  
ამჟამად ჭანტურიას ყავდა სხვა ცოლი  
და მისგან ორი ბავშვი. სახალხო სასა-  
მართლო კი ცდილობდა ჭანტურიას და  
კაკუბავას შერიგებას.

სახალხო სასამართლოსათვის განქორ-  
წინების უფლების მინიჭება გამოიწე-



ვევს საქმეების დროულად გადაჭრის დაჩქარებას.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც განქორწინებასთან ერთად მოსარჩელე მოპასუხისაგან ერთდროულად მოითხოვს ქონების წილის გამოყოფას და ბავშვის აღსაზრდელად აღიშენებს, მაგრამ რადგანაც სახალხო სასამართლო არ წყვეტს განქორწინების საკითხს, ამიტომ მოსარჩელე იძულებულია ამ უკანასკნელი საკითხის გადასაწყვეტად მიმართოს ცალკე სასარჩელო განცხადებით, რაც საქმის ზედმეტად გაჭიანურებას იწვევს.

ეს უფრო მეტად იგრძნობა ჩვენი რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების მუშაობაში, რადგანაც მოსარჩელემ სახალხო სასამართლოში საქმის დამთავრების შემდეგ უნდა მიმართოს ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, ხოლო თუ აქაც არ მოხდა განქორწინება, მაშინ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს.

ყველა ამ ინსტანციების გავლა სათანადო დროს მოითხოვს, მაშინ როდესაც ფაქტიურად ზემდგომი სასამართლოები განქორწინების საკითხებში იგივე მოქმედებებს ასრულებენ, რასაც სახალხო სასამართლოები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ზემდგომ სასამართლოში არ მოხდა მხარეთა შერიგება, უმაღლეს სასამართლოს უფლება აქვს განაქორწინოს მხარეები, როდესაც არსებობს სათანადო მოტივი.

ამიტომ, ჩვენი აზრით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 265<sup>3</sup> მუხლი გადასინჯვას მოითხოვს იმ მიმართებით, რომ სახალხო სასამართლოებს მიეცეთ უფლება განაქორწინონ მხარეები, ხოლო ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ კი ასეთი საქმეები განიხილოს დაინტერესებული მხარის საკასაციო საჩივრის შედეგად.

ჩვენი აზრით, ასევე გადასინჯვას

მოითხოვს საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის მე-17 მუხლი, რომლის ძალით ის ქონება, რაც მეუღლეთ დაქორწინებამდე ეკუთვნოდათ, რჩება მათ განკერძოებულ ქონებად, ხოლო ქონება შეძენილი მეუღლეთა საერთო შრომით, განქორწინების შემდეგ ეკუთვნის ორთავე მხარეს თანასწორად.

ეს მუხლი ვრცელდება იმ მეუღლეებზე, რომლებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან; სასამართლო პრაქტიკაში კი ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მეუღლენი არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ აქვთ საერთო შრომით შეძენილი ქონება, რაც საქმის მასალებით დადასტურებულია. მათი ქონებრივი დავის გადაწყვეტისას სასამართლო არ აძლევს ქალს ქონების ნაწილს იმ მოტივით, რომ იგი არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში და უმრავლეს შემთხვევებში ქალის შრომას ფულადი კომპენსაციით საზღვრავს.

ჩვენი აზრით, სწორად მოიქცა გალის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო, როდესაც კაზანჯიევისა და გურძიევის ქონებრივი დავის გადაწყვეტის დროს, მიუხედავად არარეგისტრირებული ქორწინებისა, ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება გაჰყო ორ თანასწორ ნაწილად.

ქონებრივი დავის გადაწყვეტისას მოგვარებას მოითხოვს აგრეთვე ალიმენტის გადახდევინების საკითხიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში შეძენილი ბავშვების მიმართ. ხშირ შემთხვევებში მამები არ უარყოფენ მამობას, პირიქით სასამართლო წესით მოითხოვენ შვილის მიკუთვნებას აღსაზრდელად. ჩვენი აზრით ასეთი უტყუარი ფაქტის დადგენისას მამას უნდა დაეკისროს შვილის აღსაზრდელად ალიმენტი. სასამართლოები კი ასეთ სასარჩელო განცხადებებს სრულებით

არ ღებულობენ განსახილველად და მოსარჩელეს რჩევას აძლევენ: „თუ წინაღმდეგი არ არის, ნებაყოფლობით გადაიხდის ალიმენტსო“. ეს ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია. მოპასუხე მხარე წინააღმდეგიც რომ იყოს, რატომ არ შეიძლება ასეთ შემთხვევებში გამოვიყენოთ საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 74 მუხლი? ეს მით უფრო გამარ-

თლებული იქნება, რომ სოფელ ადგილებში კომლის ქონების გაყოფისას არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები ქონების წილს ღებულობენ და ალიმენტს კი არა.

ასეთ შემთხვევებში სასურველია დაკანონდეს სასამართლო პრაქტიკაში საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 74 მუხლის გამოყენება.

## სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში

სასამართლოში თვითეული სამოქალაქო საქმე გადის რამოდენიმე სტადიას, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდება სასამართლოს პროცესუალური მოღვაწეობის შინაარსითა და გამიზნულობით, აგრეთვე ამ მოღვაწეობის ამსახველ სასამართლო დადგენილების ხასიათით.

პროცესის პირველ სტადიას სასარჩელო განცხადების მიღება წარმოადგენს. სასარჩელო განცხადების შესახებ დადგენილება მოსამართლეს გამოაქვს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ არსებობს ყველა საჭირო პირობა სასამართლოში დავის გადასაწყვეტად. ამ პირობებზე (მხარეთა პროცესუალური ქმედობათუნარიანობა, საქმის ქვემდებარეობა სასამართლოსადმი და ა. შ.) ლაპარაკი იყო წინა საუბარში. სარჩელის მიღებისას სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს სწორადაა თუ არა გაფორმებული სასარჩელო განცხადება. კანონით დაშვებულია როგორც წერილობითი, ისე ზეპირსიტყვიერი სასარჩელო განცხადების შეტანა (რსფსრ სსსკ 75 და 77 მუხ.), ეს უკანასკნელი ჩაიწერება ოქმში და წაკითხვის შემდეგ მას ხელს აწერენ მოსამართლე და განმცხადებელი. სასარჩელო განცხადება უნდა შეიცავდეს მოსარჩელისა და მოპასუხის სახელწოდებას, მხარეთა საცხოვრებელი ან მუდმივი საქმიანობის ადგილის მითითებას, დავის გარემოებათა და მოსარჩელის მოთხოვნის გადმოცემას

სარჩელის საზღაურის აღნიშვნით (რსფსრ სსსკ 76 მუხ.). სასარჩელო განცხადებაზე უნდა გადახდილი იყოს ერთიანი სახელმწიფო ბაჟი (რსფსრ სსსკ 35 მუხ.) იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც კანონის თანახმად მოსარჩელე განთავისუფლებულია მისი გადახდისაგან (რსფსრ სსსკ 43 მუხ.). საჭირო შემთხვევებში (რსფსრ სსსკ 78 მუხ.) განცხადებას ასლები უნდა დაერთოს.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასარჩელო განცხადებას მსვლელობა არ ეძლევა, სასამართლო ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს და უნიშნავს ვადას არსებულ ნაკლოვანებათა შესავსებად. თუ ამ ვადაში ნაკლოვანებები არ იქნება შევსებული, განცხადება შემოტანილად არ ჩაითვლება (რსფსრ სსსკ 81 მუხ.). რსფსრ სსსკ 81-ე მუხლის მოთხოვნის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებულია რიგი პროცესუალური და მატერიალური შედეგებისა.

ასე, მაგალითად, ვორტსელსკის მეტალურგიული ქარხნის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაცდენის (კოლმეურნეობისაგან 50 ტონა თივის გადახდევინების შესახებ) ერთერთ მიზეზს წარმოადგენდა მოსამართლის უსწორო მოქმედება, რომელმაც იმის მაგივრად, რომ რსფსრ სსსკ 81-ე მუხლის შესაბამისად დაენიშნა ვადა სასარჩელო

განცხადებაში არსებული ხარვეზების შესავსებად, მოსარჩელეს დაუბრუნა სასარჩელო განცხადება.<sup>1</sup>

მას შემდეგ, რაც საქმე მიღებულია წარმოებაში, მოსამართლე ვალდებულია აწარმოოს საქმის წინასწარი მომზადება განსახილველად. პროცესის ამ სტადიაში მოსამართლის წინაშე დგას ამოცანა უზრუნველყოს დავის სწორი გადაწყვეტის შესაძლებლობა ერთ სასამართლო სხდომაზე. ამიტომ მოსამართლე უნდა გაერკვეს იმ ფაქტებში, რომლებშიც უნდა დადგინდეს სასამართლო სხდომაზე, გამოავლინოს მათი არსებობის დამტკიცებისათვის საჭირო მტკიცებანი. ამ მიზნების განხორციელებისათვის კანონი მოსამართლეს ანიჭებს უფლებათა ფართო წრეს. იგი გამოკითხავს მოსარჩელეს, განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში იძახებს მოპასუხეს წინასწარი გასაუბრებისათვის, საქმის განხილვაში აბავს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირებს, იძახებს საჭირო მოწმეებს, ნიშნავს ექსპერტისა და ა. შ.

მოსამართლის მიერ საქმის წინასწარი მომზადებისათვის ჩატარებული მოქმედებები ფორმდება დადგენილებით ან რეზოლუციით. საქმის განსახილველად წინასწარი მომზადების ხარისხისაგან დამოკიდებულია საქმის გამოკვლევის ყოველმხრივობა. სასამართლო ორგანოების საზედამხედველო პრაქტიკა ნათელყოფს, რომ უმეტეს შემთხვევებში სწორედ სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა წარმოადგენს საქმის უხარისხო მომზადების შედეგს. ზოგჯერ ზემდგომი სასამართლო ინსტანციები პირდაპირ მიუთითებენ ამაზე. ასე, მაგალითად, გააუქმა რა ყველა სასამართლო დადგენილებები ხურუმოვის საქმეზე პროკურორის სარჩელისა გამო 9000 მანეთის გადახდევინე-

ბის შესახებ, სსრკ უმაღლესმა სასამართლომ სპეციალურად დაავალა სასამართლოს მოამზადოს საქმე განსახილველად რსფსრ სსსკ მე-80 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.<sup>2</sup>

წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, და აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლე წინასწარი მომზადების ჩატარებას ზედმეტად ჩათვლის, მოსამართლე ნიშნავს საქმეს განსახილველად, აცნობებს ამის შესახებ მხარეებსა და ყველა იმ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ პროცესში იმ ანგარიშით, რომ მათ შესაძლებლობა ქონდეთ დროულად მოემზადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების დასაცავად. კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილ დადგენილებებში სსრკ უმაღლესი სასამართლო არაერთგზის უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება დატოვებულ იქნას ძალაში ისეთი სასამართლო დადგენილება, რომელიც გამოტანილია მხარეთა დაუსწრებლად, თუ მათ არ ეცნობათ საქმის განხილვის დღე.<sup>3</sup>

სამოქალაქო სამართლის პროცესის ძირითად სტადიას წარმოადგენს სასამართლო განხილვა, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება: მოსამზადებელი სტადია, მტკიცებების გამოკვლევა, მხარეთა კამათი, გადაწყვეტილებების გამოტანა. სასამართლო სხდომის მოსამზადებელ სტადიაში სასამართლო იკვლევს შესაძლებელია თუ არა საქმის არსებითი მოსმენა და გადაწყვეტილების გამოტანა. ამასთანავე სასამართლო ამოწმებს გამოცხადდნენ თუ არა სასამართლო სხდომაზე მხარეები და ყველა გამოძახებული პირი, ქონდათ თუ არა მათ ჩაბარებული უწყებები, ხომ არ არის აცილება სასამართლოს შემადგენ-

<sup>1</sup> Судебная практика Верховного Суда СССР, 1951, № 3 стр. 31

<sup>2</sup> იქვე, 1955, № 6, стр. 35

<sup>3</sup> იქვე, 1955, № 1 стр. 44—45

ლობის მიმართ, ექვემდებარება თუ არა საქმე ამ სასამართლოს განსახილველად და ა. შ. სასამართლო განხილვა იწყება მხარეთა განმარტებებით, შემდეგ სწარმოებს მოწმეთა დაკითხვა, სასამართლო ისმენს ექსპერტების დასკვნებს. მას შემდეგ, რაც არსებითი ხასიათის მქონე გარემოებები სათანადოდ გამოირკვევა, სასამართლო გადადის მხარეთა კამათზე. თვითეული მხარე რიგრიგობით გამოდის სასამართლოს წინაშე, აჯამებს ყველაფერს რაც დადგინდა სასამართლო სხდომაზე და საბოლოოდ აყალიბებს თავის მოთხოვნას სასამართლოსადმი ყველა იმ მონაცემების მხედველობაში მიღებით, რაც დადგენილი იქნა სასამართლოში.

ამის შემდგომ სასამართლო ისმენს პროკურორის დასკვნას, თუ იგი ღებულობს მონაწილეობას პროცესში და გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების გამოსატანად. ყველაფერი რაც სასამართლოს სხდომის დარბაზში ხდება ასახულ უნდა იქნას ოქმში. სათათბირო ოთახში შეიძლება იყვნენ მხოლოდ მოსამართლე და სახალხო მსაჯულები. თვითეულ მათგანს უფლება აქვს დაურთოს საქმეს თავისი განსაკუთრებული აზრი, თუ იგი არ ეთანხმება დანარჩენების აზრს. გადაწყვეტილება გამოიტანება ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერს სასამართლოს მთელი შემადგენლობა. ამ წესის დარღვევა იწვევს გადაწყვეტილების აუცილებელ გაუქმებას ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოიტანება დაუყოვნებლივ საქმის განხილვის დამთავრებისთანავე. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმის განსაკუთრებული სირთულის გამო, მოტივირებული გადაწყვეტილების ტექნიკური შესრულება შეიძლება გადაიდოს არა უმეტეს 3 დღის ვადით, მაგრამ ამ შემთხვევებშიც სასამართლო ვალდებულია გამოაცხადოს გადაწყვეტილების რეზოლუციური ნაწილი იმავე სხდომა-

ზე, რომელზედაც დამთავრდა საქმის განხილვა (რსფსრ სსსკ 177 მუხლი).

სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე პასუხი გაიცემა განცხადებულ მოთხოვნებზე. იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტისათვის არ არსებობს სპეციალური კანონი, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა კანონმდებლობის საერთო საწყისებრით და საბჭოთა მთავრობის საერთო პოლიტიკით. (რსფსრ სსსკ მე-4 მუხლი).

საქმე ყოველთვის როდი მთავრდება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანით. ზოგჯერ სასამართლო იძულებული ხდება გადადოს საქმის გარჩევა ან შეაჩეროს საქმეზე წარმოება. პროცესი შეიძლება აგრეთვე დამთავრდეს საქმის წარმოებით მოსპობით, თუ მხარეები შეთანხმებას მიიღწევენ ან მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე. საქმე უნდა მოისპოს ორივე მხარის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ არ არსებობს მათი თხოვნა დაუსწრებლად საქმის განხილვის შესახებ. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს გამოაქვს არა გადაწყვეტილება, არამედ დადგენილება.

სასამართლოს გადაწყვეტილება ან დადგენილება კანონიერ ძალაში შედის საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლის შემდეგ, ან თუ იგი იქნა შეტანილი, მას შემდეგ რაც შეტანილი საჩივარი უშედეგოდ იქნა დატოვებული. ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ საქმეში მონაწილე პირებს და აგრეთვე პროკურორს.

სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება საბჭოთა სამოქალაქო პროცესში წარმოადგენს მხარეთა უფლებების ერთერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას. ზემდგომი სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ქვემდგომი სასამართლოს გასაჩივრებული ან გაპროტეს-

ტებული გადაწყვეტილების ან დადგენილების კანონიერება და დასაბუთებულობა. საკასაციო ინსტანცია ვალდებულია შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის ფაქტიური მხარის გამოკვლევის სისრულე, და აგრეთვე კანონის გამოყენების სისწორე, უნდა შეამოწმოს გადაწყვეტილება როგორც გასაჩივრებულ, ასევე გაუსაჩივრებელ ნაწილში და იმ მხარის მიმართ, რომელსაც არ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დამყარებული უნდა იყოს ფაქტებზე, რომელთა სისწორე ეჭვს არ იწვევს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება უქმდება და საქმე გადაიცემა ხელახლა განსახილველად.

ასე, მაგალითად, სასამართლომ, რომელიც იხილავდა საზღვაო გემთნაოსნობის სარჩელს „გლავნეფტესბიტის“ სასაქონლო-სატრანსპორტო სამმართველოსადმი გადაზიდვების გეგმის შეუსრულებლობის გამო ჯარიმის გადახდევინების შესახებ, თავისი გადაწყვეტილება დაამყარა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მასალებზე და არ შეამოწმა მოპასუხის სარჩელის საწინააღმდეგოდ წარმოდგენილი მასალები. ეს გარემოება საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლად განსახილველად გადაცემას.<sup>1</sup> მეორე ინსტანციის დადგენილებაში ამომწურავად უნდა იყოს აღნიშნული ის მოსაზრებები, რომელთა გამოც უქმდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო ინსტანცია ვალდებულია გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება აგრეთვე გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაშიც.

სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, როგორც წესი, არ შე-

უძლია კვლავ თვითონ გადაწყვიტოს საქმე. მაგრამ ორ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს გადაწყვეტილების შესწორების შესაძლებლობას იმავე სასამართლოს მიერ, რომელმაც იგი გამოიტანა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით (რსფსრ სსსკ 181 მუხ.) ან გადაწყვეტილების განმარტების გზით (რსფსრ სსსკ 185 მუხ.). გადაწყვეტილების განმარტების სახით არ შეიძლება არსებითად შეიცვალოს გადაწყვეტილება, გამოტანილ იქნას ახალი გადაწყვეტილება ანდა განხილულ იქნას ადრე გადაუწყვეტელი საკითხები. ასე მაგალითად, კოროსტილევას სარჩელის განხილვისას სახალხო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსარჩელესა და მის შვილებს სარგებლობის უფლებით მიეცათ 12 კვ. მეტრი ფართობის ერთი ოთახი. შემდგომ კოროსტილევამ განცხადებით მიმართა სახალხო სასამართლოს, რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გადაწყვიტა საკითხი მისთვის მიკუთვნებულ ოთახის იზოლირების შესახებ და ითხოვა მისი გადაწყვეტა რსფსრ სსსკ 185 მუხლის შესაბამისად. სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა კოროსტილევას თხოვნა. სასამართლოს დადგენილება გაუქმებული იქნა, ვინაიდან კოროსტილევას მოთხოვნა მიკუთვნებული ოთახის იზოლირების შესახებ უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი სარჩელის საგანი. რომელიც ჩვეულებრივი წესით განხილვას ექვემდებარება<sup>2</sup>.

თუ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სარჩელზე მიკუთვნების შესახებ ნებაყოფლობით არ სრულდება, დაინტერესებული პირები აღძრავენ აღმასრულებელ წარმოებას. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება სასამართლო აღმასრულებლებს ევალებათ. არის შემთხვევები, როდესაც უკანო-

<sup>1</sup> Судебная практика Верховного Суда СССР, 1956, № 3, стр. 47—48

<sup>2</sup> იქვე. 1952, № 12, გვ. 32—33





ნო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, ვინაიდან იგი თავის დროზე არ იყო გასაჩივრებული. საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს მეორე ინსტანციის სასამართლომ შეიძლება აგრეთვე დაუშვას შეცდომა. ამიტომ დავის სწორი გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე შექმნილია კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა ხელახალი გადასინჯვის სპეციალური ინსტიტუტი.

საზედამხედველო წარმოება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ პროკურატურისა და სასამართლოს თანამდებობრივ პირთა პროტესტების საფუძველზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება გააპროტესტონ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები და განაჩენები. პროტესტის შეტანის საფუძველს წარმოადგენს გადაწყვეტილების უკანონობა და დაუსაბუთებლობა, როდესაც განსაკუთრებით არსებითადაა დარღვეული კანონი და აშკარადაა დარღვეული მშრომელთა ინტერესები (რსფსრ სსსკ 254-ბ მუხ.). საზედამხედველო ინსტანციის უფლებები უფრო ფართოა ვიდრე სასამართლოსი, რომელიც საქმეს იხილავს საკასაციო წესით; კერძოდ, იგი უფლებამოსილია გააუქმოს გადაწყვეტილება და გამოიტანოს თავისი საკუთარი გადაწყვეტილება (საკასაციო ინსტანციას შეუძლია გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება მხოლოდ შრომით საქმეებზე). ასე მაგალითად, სამოქალაქო საქმეების სასამართლო კოლეგიამ, რომელიც ზედამხედველობის წესით იხილავდა საქმეს სუხინინის სარჩელის გამო სუხინინას გამოსახლების შესახებ, გააუქმა ყველა ადრე გამოტანილი სასამართლო დადგენილება და ცნო სუხინინას, როგორც დამოუკიდებელი დამქირავებლის უფლება მის მიერ დაკავებულ ოთახზე. ამასთანავე კოლეგიამ თავისი დადგენილება იმით დაასაბუთა, რომ საქმის ყველა გარემოებანი საკვებით დადგენილია და მტკიცებათა

შეგროვება და დამატებითი შემოწმება საჭიროებას არ წარმოადგენს.<sup>1</sup>

ისევე, როგორც ზედამხედველობის წესით გადასინჯვა, გადაწყვეტილების შესწორების განსაკუთრებულ საშუალებას წარმოადგენს მათი გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებების გამო (რსფსრ სსსკ 250-253 მუხ.) ეს წესი გამოიყენება კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებების მიმართ იმ შემთხვევებში, როდესაც აღმოჩენილია ახალი გარემოებები, რომლებიც არსებობდნენ, მაგრამ არ იყვნენ და არც შეიძლება ყოფილიყვნენ ცნობილი საქმის გარჩევის მომენტისათვის, ანდა არასწორადაა ცნობილი ის ფაქტები, რომლებზეც დაფუძნებულია სასამართლოს გადაწყვეტილება (დადგენილია მოწმეთა ჩვენების სიყალბე, მხარეთა, ექსპერტების, სასამართლოს წევრების და სხვათა დანაშაულებრივი ქმედობა).

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილი იქნას მხარეების, მესამე პირების და მათი უფლების მენაცვლეების მიერ; ეს საკითხი შეიძლება აღძრული იქნას პროკურორის, საოლქო ან ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ (რსფსრ სსსკ 252 მუხ.). რსფსრ სსსკ 251 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ საფუძველზე (საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოებების გამოვლენა) საქმის გადასინჯვის შესაძლებლობას სწყვეტს ზემდგომი სასამართლო. სხვა დანარჩენი საფუძველებით (რსფსრ სსსკ 251 მუხ. „ბ“ და „ვ“ პუნქტები) საქმის გადასინჯვის საკითხი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს კომპეტენციას ეხება. საქმის გადასინჯვას ყოველთვის ის სასამართლო ხანხორციელებს, რომე-

<sup>1</sup> Судебная практика Верховного Суда СССР, 1950 г. № 11, стр. 30—31

ლმაც პირვანდელი გადაწყვეტილება გამოიტანა.

უკვე შესრულებული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში (თუ საქმის ახლად განხილვისას მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე) სასამართლო ვალდებულია დასვას საკითხი გადაწყვეტილების შესრულების შებრუნების შესახებ. რსფსრ სსსკ 254-დ მუხლი შრომითი დავების მიმართ ადგენს, რომ მუშაკები სათვის თანხების გადახდევინების შებრუნება დაწესებულების ან წარმოების სასარგებლოდ შეიძლება დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებული გადაწყვეტილება დამყარებული იყო

მუშაკების მიერ წარმოდგენილ ყალბ დოკუმენტებსა და ცნობებზე. პრაქტიკაში, როგორც წესი, არ დაიშვება შესრულების შებრუნება საალიმენტო საქმეებზე და წარმოებაში მოქალაქეთა სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანის ანაზღაურების საქმეებზე. საკითხი შესრულების შებრუნების შესახებ შეიძლება გადაწყდეს საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთდროულად, მაგრამ შეიძლება გახდეს ახალი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დამოუკიდებელი განხილვის საგანიც.

## ნაშრომი პირადი ქონების გაყვანისა და ყაჩაღობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ<sup>1</sup>

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზს, რომელიც ითვალისწინებს ქურდობისა და ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ქურდობისა და ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობის საკითხები წარმოადგენენ რიგი ავტორების კვლევის საგანს, მათი შემდგომი დამუშავება ფრიად მნიშვნელოვანია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებების თვალსაზრისით.

ავტორი, რომელმაც თავისი გამოკვლევისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური თემა აირჩია, ნაშრომში უმეტეს შემთხვევებში პრობლემების სწორ გადაწყვეტას გვაძლევს.

შრომში მოცემულია მოქმედი კანონმდებლობის დაწვრილებითი და გულმოდგინე იურიდიული ანალიზი. (სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებისა „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“). ავტორი ფართოდ იყენებს სასამართლო პრაქტიკას, რაც უფრო ამდიდრებს ნაშრომს და უფრო სრულფასოვანს ხდის მას. ამასთანავე, სასამართლო პრაქტიკა მარტო თეორიული დებულებების ილუსტრაციისათვის კი არ არის გამოყენებული, არამედ რიგ შემთხვევებში იგი წარმოადგენს საკითხების დასმისა და მათი სწორი გადაწყვეტის საფუძველს. ავტორმა გამოიყენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მრავალი ლიტერატურული წყარო.

მაგრამ დადებით მხარეებთან ერთად, სარეცენზიო ნაშრომი შეიცავს რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებსაც.

ავტორი პირადი საკუთრების წინააღმდეგ მი-

მართული ყველა დანაშაულიდან ეხება მხოლოდ ორს: ქურდობასა და ყაჩაღობას, ამასთან მიუთითებს, რომ ნაშრომის გამოკვლევის ფარგლები „განისაზღვრება იმ საკითხების კომპლექსის ანალიზით, რომლებიც დაკავშირებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ გათვალისწინებულ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან“ (გვ. 5).

ქურდობისა და ყაჩაღობის ერთი საკანონმდებლო აქტით რეგლამენტირების პრინციპი ჩვენ არ მიგვაჩნია იმის სთანადო საფუძველად, რომ მათი გამოკვლევა ერთ ნაშრომში გაერთიანებულიყო. ამგვარი გაერთიანება დასაშვები და სასარგებლოა კანონების კომენტირების დროს, განსაკუთრებით თუ ეს მათი მიღების შემდეგ ხდება. ამასთანავე ეს პრინციპი ნაშრომში თანმიმდევრულად არ არის გატარებული. ავტორი ანალიზს არ უკეთებს ყაჩაღობის განუცხადებლობას იმ მოტივით, რომ „განუცხადებლობა არ წარმოადგენს მოქალაქეთა პირადი საკუთრების ხელყოფას, არამედ მისი ობიექტის მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალური მოღვაწეობა“ (გვ. 6). ამრიგად, აქ ლაპარაკია უკვე სხვა კრიტერიუმზე — ობიექტზე. დანაშაულის ობიექტი შეიძლება საფუძველად დაედოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გაერთიანებას, ვინაიდან ქურდობასა და ყაჩაღობას ერთი საერთო ობიექტი აქვთ — მოქალაქეთა პირადი საკუთრება. მაგრამ ასეთივე ობიექტი აქვთ სხვა დანაშაულებსაც (მითვისება, თაღლითობა და ა. შ.). ამრიგად, თემის შემოფარგვლა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორი დანაშაულით — ქურდობითა და ყაჩაღობით, ჩვენის აზრით, მოითხოვდა

<sup>1</sup> М. П. Михайлов, «Уголовная ответственность за кражу личного имущества и разбой» госюриздат, 1958 г.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, ვ. დ. მენშავინის ბროშურა «Усиление охраны личной собственности граждан», 1948 г.

თეორიული თვალსაზრისით უფრო დაწვრილებით დასაბუთებას.

ნაშრომის ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ ავტორი რიგ შემთხვევებში არაკრიტიკულად უდგება კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მასალებს.

ავტორი სწორად აღნიშნავს 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების დიდ პოლიტიკურ და იურიდიულ მნიშვნელობას მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვისათვის, მაგრამ უსაფუძვლოდ უვლის გვერდს ცალკეულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ბრძანებულების გამოყენების პროცესში გამოვლინდა.

როგორც ცნობილია, ბრძანებულების გამოყენების 10 წელზე მეტი ხნის პრაქტიკამ გამოავლინა ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი მხარეებიც (სანქციების ვიწრო ფარგლები, რაც ხელს უშლის სასჯელის ინდივიდუალიზაციას, სანქციების მაღალი ქვედა ზღვრები, რაც რიგ შემთხვევებში იწვევს სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის გამოყენებას ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შესაბამისი სასჯელის დასაწინააღმდეგად და ა. შ.).

1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების ნორმების კრიტიკული ანალიზის არარსებობამ გამოიწვია, როგორც სჩანს, ის ფაქტი, რომ ნაშრომში, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი პროექტების მომზადების მომენტში გამოვიდა, ავტორმა შესაძლებლად ჩასთვალა მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისათვის თითქმის არავითარი წინადადებები არ წამოყენებინა<sup>1</sup>.

მომავალ კანონმდებლობაში ქურდობისა და ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ნაცვლად ავტორი შემოიფარგლა შემდეგი შენიშვნით: „თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხები, მომავალი გვიჩვენებსო“ (გვ. 40). მაშინ, როდესაც ავტორის პოზიცია მეტად საინტერესო იქნებოდა, ვინაიდან საბჭოთა კრიმინალისტებს არა აქვთ ერთიანი შეხედულება რიგ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ავტორის მიერ გამოსაკვლევად აღებულ თემასთან (საკითხი სისხლის სამართლის კოდექსის ერთ თავში ყველა იმ ქონებრივი დანაშაულის გაერთიანების შესახებ, რომლებიც ხელყოფენ როგორც სახელმწი-

ფო და საზოგადოებრივ საკუთრებას, აგრეთვე მოქალაქეთა პირად საკუთრებას; გაძარცვის დანაშაულის შემადგენლობის აღდგენის საკითხი და ა. შ.).

კრიტიკის გარეშეა გადმოცემული რიგ შემთხვევებში სასამართლო პრაქტიკაც, მაგალითად, 29-ე გვერდზე მოყვანილია რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითება (ოქმი № 24, 1934 წლის 5 ივნისი), რომლის მიხედვით რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის საწინააღმდეგოდ დაშვებულია რეციდივისტ ქურდების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ერთ წელზე ნაკლები ვადით. 30, 31-ე გვერდებზე გადმოცემულია სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლის 8 იანვრის დადგენილების „ომის პირობებში მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის ზოგიერთი სახეების კვალიფიკაციის შესახებ“ შენიშვნა, რომლის თანახმად ქურდობა ჩადენილი ომის პერიოდში ჯვუფის მიერ ან არაერთგზის, ან იმ პირობის მიერ, რომლებიც ადრე იყვნენ გასამართლებული გატაცებისათვის და აგრეთვე ქურდობა, ჩადენილი სხვა განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში დაკვალიფიცირებულიყო ანალოგიით ბანდიტიზმთან რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით.

ორივე აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო ორგანოების მითითებები ნაწილობრივ არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ავტორი კი შეინიშნავს, რომ ამ დადგენილებების შენიშვნარის გადმოცემით, არ გამოსთქვა აზრი მათი კანონთან შესაბამისობის შესახებ და არ შეაფასა ისინი.

დავას იწვევს ავტორის პოზიცია ქურდობის ობიექტის შესახებ. ქურდობის ობიექტის ანალიზს ავტორი, როგორც თვით იგი აღნიშნავს, იწყებს ქურდობის ობიექტის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის „კონცეფციის“ კრიტიკით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ავტორი ვერ გაერკვე ამ საკითხის არსში. უწინარეს ყოვლისა, ძნელია ლაპარაკი ერთიან „კონცეფციასზე“, როდესაც თვალსაზრისი სხვადასხვა კრიმინალისტებისა, რომლებიც ობიექტად საზოგადოებრივ ურთიერთობას თვლიან, მნიშვნელოვნად განსხვავდება ურთიერთისაგან. შემდგომ, ბ. ს. ნიკიფოროვთან ობიექტის საკითხის გამო კამათისას ავტორი მიუთითებს, რომ „ქურდობის უშუალო ობიექტის, როგორც მხოლოდ საკუთრების საზოგადოებრივი ურთიერთობის კონცეფცია ქურდობის საგნის ქონებისაგან განსხვავებით, ჩვენის (ე. ი. მიხაილოვის) აზრით გამომდინარეობს ქონებისაგან განცალკევებული საკუთრების საზოგადოებრივი ურთიერთობების არსებობის შესაძლებლობის არასწორი წინამძღვრიდან“ (გვ. 42).

1. ავტორის ერთადერთი წინადადება მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისათვის საჭიროდ თვლის გადიდებული იქნას წლოვანება 14 წლამდე, რომლის მიღწევისას შესაძლებელია ყაჩაღობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (გვ. 135).

მაგრამ, სწორედ ბ. ს. ნიკიფოროვი ნათელყოფს იმ მკვიდრო კავშირს, რომელიც არსებობს დანაშაულის საგანსა და მის ობიექტს შორის. მისი აზრით ეს კავშირი გამოიხატება იმაში, რომ დანაშაულის საგანი — ქონება — წარმოადგენს ობიექტის — საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ამ ქონების თაობაზე წარმოიქმნება.<sup>1</sup> მ. მიხაილოვი ანგარიშს არ უწყევს იმას, რომ დანაშაულმა შეიძლება არ ხელჰყოს ობიექტის ყველა ელემენტი. მხოლოდ ამ გარემოებისათვის ანგარიშგაუწველობით შეიძლება აიხსნას მისი შემდეგი გამოთქმა: „დამნაშავე, რომელიც იტაცებს მოქალაქის პირად ქონებას, ზიანს აყენებს უშუალოდ ქონებას და ამ ქონების მესაკუთრეს (ან მფლობელს), და არა პირადი საკუთრების ურთიერთობებს, რომლებიც უფლებითაა განმტკიცებული“ (გვ. 43).

მაგრამ, საეჭვოთ ცხადია, რომ ქონებას — ქურდობის საგანს ქურდობისაგან არავითარი ზიანი არ მიეყენება. გატაცებული კოსტუმი იმავე სახით რჩება, ხოლო მოპარული ძროხა ქურდმა შეიძლება მის მესაკუთრეზე უკეთ კვებოს. ზიანი მოცემულ შემთხვევაში მიყენებული აქვს დაზარალებულის საკუთრების უფლებას, რომელსაც ერთმევა შესაძლებლობა თავის შეხედულებისამებრ ისარგებლოს ნივთით და განკარგოს იგი.

დაბოლოს, გაკვირვებას იწვევს მ. პ. მიხაილოვის კიდევ ერთი მტკიცება, რომელიც სთვლის, რომ მის მიერ გაკრიტიკებულ კონცეფციიდან გამომდინარეობს დაზარალებულის ვალდებულება „დაამტკიცოს თავისი საკუთრების უფლება გატაცებულ ქონებაზე ან რომ იგი წარმოადგენს კანონიერ მფლობელს“.

ქონების მესაკუთრისა ან მფლობელის დადგენას შეიძლება ფრიად მნიშვნელოვანი იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდეს. გატაცებული ნივთის კუთვნილებას მოქალაქისა, საზოგადოებრივი ან სახელმწიფო ორგანიზაციისადმი ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. ამასთანავე, სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა ამტკიცოს ეს დაზარალებულმა და არა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებმა. ხომ თვით მ. პ. მიხაილოვი უთითებს, რომ „სასამართლოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დაადგინოს პირადი ქონების გატაცების ფაქტი“ (გვ. 43).

ყველა ზემოაღნიშნული, ჩვენის აზრით, ადასტურებს მ. პ. მიხაილოვის მიერ ობიექტის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის

„კონცეფციის“ კრიტიკის დაუსაბუთებლობას.

დავას იწვევს აგრეთვე ყაჩაღობის ობიექტის საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა. მ. პ. მიხაილოვი სწორად აღნიშნავს, რომ იმ ობიექტიდან, რომელთაც ყაჩაღური თავდასხმით ზიანი აქვთ მიყენებული, უფრო მნიშვნელოვანს ადამიანის პიროვნება წარმოადგენს. მაგრამ, ეწინააღმდეგება რა თავის თავს, ავტორი ყაჩაღობას მიაკუთვნებს პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს იმ მოტივით, რომ „ყაჩაღობის დროს პიროვნების ხელყოფა მიზნად ისახავს სხვისი ქონების დაუფლებას (ე. ი. წარმოადგენს მხოლოდ დაუფლების საშუალებას)“ (გვ. 122). ეს არგუმენტი ჩვენ ნაკლებად დამაჯერებლად მიგვაჩნია.

საბჭოთა სისხლის სამართლისათვის ცნობილია დანაშაულობათა მთელი რიგი, რომელთა ჩადენისას დამნაშავე მიზნად ისახავს ქონების დაუფლებას. მაგრამ, არც კანონმდებლობა და არც თეორია არ მიაკუთვნებენ ამ დანაშაულებს ქონებრივს. მაგალითად, მკვლელობა მემკვიდრეობის მიღებისათვის მიზნად ისახავს ქონების დაუფლებას, მაგრამ იგი პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს მიეკუთვნება (სსკ 136 მუხ.). არასრულწლოვანთა წაქეზება ქურდობის ჩასადენად მიზნად ისახავს ქონებრივ ინტერესებს, მაგრამ ეს მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია (სსკ 73<sup>2</sup> მუხ.); მომხმარებლის ზომა-წონაში მოტყუება ავრეთვე მიზნად ისახავს დაზარალებულის ქონების მიღებას, მაგრამ იგი სამეურნეო დანაშაულთა (სსკ 128 ბ მუხ.) ჯგუფს მიეკუთვნება და ა. შ.

როგორც სჩანს, მოქმედ კანონმდებლობაში ყაჩაღობის განსაზღვრულ დანაშაულთა ჯგუფისადმი მიკუთვნების საკითხი უდაოდ არ შეიძლება ჩაითვალოს. ყაჩაღობის საზოგადოებრივი საშიშროების ანალიზი ნათელიყოფს, რომ ყაჩაღობა ხელყოფს არა მარტო ცალკეული მოქალაქის პიროვნებასა და მის ქონებას. ყაჩაღური თავდასხმა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას და რიგ შემთხვევებში თავისი საზოგადოებრივად საშიში ხასიათით ყაჩაღობა, განსაკუთრებით კი ჯგუფური, ბანდიტიზმს უახლოვდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყაჩაღობისადმი, როგორც ისეთი დანაშაულისადმი მიდგომა, რომელიც ხელყოფს არა მარტო პიროვნებასა და საკუთრებას, არამედ საზოგადოებრივ უშიშროებასაც, საშუალებას მოგვცემდა უფრო დასაბუთებულად გადავგვეჭრა. საკითხი ყაჩაღობის ადგილის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსში.

დავას იწვევს ავტორის თვალსაზრისი ქურდობის განმეორებითობის ცნების განსაზღვრაზე.

<sup>1</sup> Б. С. Никифоров, „объект преступления по советскому уголовному праву“, автореферат докторской диссертации, М. 1956 г.

მ. პ. მიხაილოვი თვლის, რომ ქურდობა არ შეიძლება განხილული იქნას როგორც განმეორებითი, თუ მას წინ უძღოდა ყაჩაღობა (გვ. 102). თავის თვალსაზრისს ავტორი იმით ასაბუთებს, რომ ქურდობა და ყაჩაღობა — «ეს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული დანაშაულებებია» (გვ. 103). ამით ავტორი უგულებელყოფს, რომ ყაჩაღობასა და ქურდობას არსებითი განსხვავების გარდა ბევრი საერთოც აქვთ. ქურდობის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი — ობიექტი წარმოადგენს ყაჩაღობის ერთერთ ობიექტს. მსგავსება აქვთ აგრეთვე ქურდობისა და ყაჩაღობის სხვა ელემენტებსაც.

ხაზს უსვამთ რომ ყაჩაღობის საზოგადოებრივი საშემოების უფრო მაღალ ხარისხს, ამასთანავე საჭიროდ მივიჩნევთ აღვნიშნოთ, რომ ყაჩაღური თავდასხმა დანაშაულის შემადგენლობის იმ ელემენტების გარდა, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ყაჩაღობისათვის, შეიცავს აგრეთვე საშუალო ქურდობის ან მისი მცდელობის ყველა ნიშნებს.

ჩადენილი ქურდობა ყაჩაღობად კვალიფიცირდება მაშინ, როდესაც ქონების გატაცებას თან სდევს ძალადობის ნიშნები. ამიტომ ქურდობა, რომელიც ჩადენილია ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ, განმეორებითად უნდა ჩაითვალოს.

ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ჯერ ქურდობაა ჩადენილი, ხოლო შემდეგ ყაჩაღური თავდასხმა, ამ უკანასკნელის განმეორებითად განხილვა არ არის სწორი, ვინაიდან ქურდობა არ შეიცავს ყაჩაღური თავდასხმის ყველა ნიშნებს (ქურდობის დროს არა აქვს ადგილი დაზარალებულის პიროვნების ხელყოფას).

მ. პ. მიხაილოვის მიერ ზუსტად არ არის გადაწყვეტილი საკითხი ქურდობის დროს მოქმედებისა და შედეგის მიჯნვის შესახებ. 65-ე გვერდზე ავტორი მიუთითებს, რომ ქურდობის დროს მოქმედებას წარმოადგენს სხვისი ქონების ამოღება, შედეგს კი — დაზარალებულისათვის ქონებრივი ზარალის მიყენება. 70-ე გვერდზე დამანაშაულის მიერ ქონების ამოღება და დაზარალებულისათვის ქონებრივი ზარალის მიყენება შედეგს მიეკუთვნება. სინამდვილეში, დამანაშაულის მიერ ქონების ამოღება და დაზარალებულისათვის ქონებრივი ზარალის მიყენება წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედობის ერთიან აქტს. შედეგს წარმოადგენს თვით ზარალი, რომელიც დაზარალებულს მიეყენა და არა მისი მიყენება. და ეს ზარალი, მ. პ. მიხაილოვის მტკიცებისა და მიუხედავად, არ ემთხვევა მოქმედებას არც დროსა და არც სივრცეში. მოქმედება მთავრდება ზარალის მიყენების მომენტ-

ში, ხოლო შედეგი კი არსებობს იქამდე, სანამ ზარალი არ იქნება ანაზღაურებული. მოქმედება წარმოადგენს ადამიანის მოღვაწეობას, ხოლო შედეგი კი ცვლილება კანონით დასაჯული ობიექტში.

მოქმედებისა და შედეგის არაზუსტი გამოიჯნა საშუალებას არ აძლევს ავტორს გადაჭრას საკითხი ქურდობის დამთავრების მომენტის შესახებ, რომელიც ერთერთ პრაქტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მისი პოლემიკა ვ. დ. მენშაინთან, ა. ა. პიონტოვსკისა და ი. ბ. ბრანიინთან, რომლებიც ცდილობენ გამოარკვიონ დამთავრებულია თუ არა ქურდობა ქონების ამოღებისა თუ მისი დაუფლების შემდეგ! არაფერს არ მატებს საკითხს, რომელიც ავტორს აინტერესებს. ჩვენ მიგვაჩინია, რომ ქურდობა ითვლება დამთავრებულად დაზარალებულისათვის ზიანის მიყენების მომენტიდან, ე. ი. როდესაც დაზარალებულს ქონება ეკარგება და აღარ შეუძლია განკარგოს იგი.

ზოგიერთი დებულებები ავტორს გადმოცემული აქვს ნაკლები დამაჯერებლობით. დასკვნებს არ ერთვის სათანადო არგუმენტაცია. მაგალითად, 18-ე გვერდზე ავტორი ცდილობს აღრე მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ქურდობისა და გაძარცვისათვის სასჯელის შემცირება ახსნას იმით, რომ რსფსრ-ის 1922 წლის კოდექსის მიხანი „დამსჯელი სანქციებისა და სისხლის სამართლის რეპრესიების გაძლიერებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი მოწესრიგებასა და მოგვარებაში“. (გვ. 18). ავტორის ეს ერთადერთი არგუმენტი ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია.

სინამდვილეში, რსფსრ-ის 1922 წლის კოდექსში გაძარცვისათვის პასუხისმგებლობის შემცირება განპირობებული იყო სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დამთავრების შემდეგ, სამხედრო კომუნისმის პერიოდში სასჯელის მეტად მკაცრი ზომების არსებობის საჭიროების მოსპობით.

დამაჯერებლობას მოკლებულია ავტორის არგუმენტაცია, რომ გვემა დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის სახეა, და ამიტომ ყაჩაღობა დაკავშირებული გვემასთან ყოველთვის უნდა განი-

<sup>1</sup> А. А. Пионтковский и В. Д. Меньшин, «Курс советского уголовного права, Особенная часть» т. I, 1954 г. стр. 708—709. Я. М. Брайнин, «Советское уголовное право. часть особенная». 1952 г. стр. 44

ხილოს როგორც კვალიფიციური ყაჩაღობა (გვ. 149).

თავის პოზიციას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ გვემა „განსაკუთრებულ ტკივილებს“ აყენებს და მიუთითებს დაზიანების სიმძიმის შესახებ დასკვნის შედგენის წესების II მუხლზე. მაგრამ განსაკუთრებული ტკივილის გამომწვევი ყოველივე მოქმედება საშიში როდია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ ფაქტიურ გარემოებებზე და საერთო ფორმაში არ შეიძლება გადაწყვეტილი იქნას.

ავტორის ზოგიერთი დებულება უთუოდ მცდარად უნდა ჩაითვალოს. არ შეიძლება დავეთანხმოთ ავტორის მიერ გამოთქმულ აზრს (გვ. 36), რომ რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 162 მუხლის რედაქცია არ შეესაბამებოდა სსრკ კონსტიტუციის მე-10 მუხლს. კონსტიტუციის მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ მოქალაქეთა პირადი საკუთრება დაცულია კანონით. სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი ითვალისწინებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობისათვის და წარმოადგენდა ერთერთ კანონს, რომლის საშუა-

ლებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხორციელდებოდა მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვა. 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებამ გაზარდა სასჯელი რიგ ქონებრივ დანაშაულობისათვის, მაგრამ კონსტიტუციის მე-10 მუხლსა და სისხლის სამართლის კანონს შორის შესაბამისობა არ არის განპირობებული სანქციის ზომით, ეს შესაბამისობა არსებობდა როგორც 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მიღებამდე, ასევე მის მიღების შემდეგაც.

მხოლოდ გაუგებრობით შეიძლება აიხსნას ავტორის მტკიცება (97-98 გვ.), რომ ანგარება ან სხვა ქვენა გრძნობები წარმოადგენენ გარემოებებს, რომლებიც ბრალს უმძიმებენ ქურდობის ჩამდენ პირს. თანამად სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის „გ“ პუნქტისა ანგარება ქურდობის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. ქურდობა არ შეიძლება იყოს ანგარების გარეშე. ამიტომ ანგარებამ არ შეიძლება დაამძიმოს ქურდობა.

დასასრულს საკუთრად აღინიშნოს, რომ წიგნი ბევრად მოიგებდა და უფრო დიდ დახმარებას გაუწევდა პრაქტიკულ მუშაყებს, რომ იგი თავისუფალი ყოფილიყო აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებისაგან.

**ა. ს. შიხლინი,**  
**ბ. ა. შლიკოვი.**

**აქვს თუ არა მუშაკს უფლება უშუალოდ მიმართოს სახალხო სასამართლოს და მოითხოვოს სამუშაოზე აღდგენა**

ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით.

თუ მუშაკი სამუშაოდან დათხოვნილია ამ წესის დაცვით, მას შეუძლია უშუალოდ მიმართოს სახალხო სასამართლოს და მოითხოვოს სამუშაოზე აღდგენა.

განცხადება უმართებულოდ დათხოვნისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოში შეიძლება შეტანილი იქნას ერთი თვის ვადაში მუშაკისათვის დათხოვნის შესახებ ბრძანების წარდგენის დღიდან.

**აუცილებელია თუ არა იმ მუშაკთა განთავისუფლებისათვის, რომელთა სამუშაოზე აღდგენის საქმის განხილვა სასამართლოს არ ექვემდებარება პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობა?**

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობა არ არის საჭირო იმ მუშაკთა განთავისუფლებისათვის, რომელთა სამუშაოზე აღდგენის საქმე არ შეიძლება განხილული იქნას სასამართლოში.

**შეიძლება თუ არა გამოსახლებულ იქნას მოზინადრე კომუნალური ან საუწყებო ბინიდან, თუ მან ააშენა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი?**

კომუნალური და საუწყებო საცხოვრებელი ბინიდან შეიძლება სასამართლოს წესით იმ მოზინადრეთა გამოსახლება, რომლებმაც ააშენეს თავისთვის პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლები.

**რა წესით შეიძლება იმ პირთა გასახლება, რომლებმაც საცხოვრებელი ბინა დაიკავეს თვითნებურად?**

ის პირები, რომლებმაც საცხოვრებელი ფართობი დაიკავეს თვითნებურად, გამოსახლებული უნდა იქნან ადმინისტრაციული წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. გასახლება სწარმოებს პროკურორის დადგენილების შესაბამისად მილიციის ორგანოების საშუალებით.



ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული დაწესებულება ან პირი მიმართავს სათანადო რაიონის ან ქალაქის პროკურორს იმ პირთა ადმინისტრაციული წესით გასახლებისათვის, რომლებმაც 1943 წლის 1 ივლისის შემდეგ თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი ფართობი, პროკურორი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში შეამოწმოს განცხადების სისწორე და შემოწმების შედეგების მიხედვით გადასწყვიტოს საკითხი გასახლების სანქციის მიცემის შესახებ.

გასახლება უნდა მოხდეს სანქციის გაცემის მომენტიდან 7 დღის ვადაში მილიციის ორგანოების საშუალებით.

გასახლების შესახებ სანქციის მიცემასთან ერთდროულად პროკურორმა უნდა მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, როგორც საცხოვრებელი ფართობის თვითნებურად დამკავებელი პირები, ისე ის თანამდებობის პირები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს თვითნებურად შესახლებას.

### **რა წესით შეიძლება შეცვლილი იქნას სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის გადახდევინების შესახებ?**

თუ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მშობლების ან შვილების ქონებრივი მდგომარეობა შეიცვალა, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეცვლილი იქნას საერთო სასარჩელო წესით.

### **შეუძლია თუ არა შვილიშვილს მოსთხოვოს ალიმენტი ბაბუასა და ბებიას?**

არასრულწლოვან ან შრომისუუნარო შვილიშვილს უფლება აქვს სასამართლოს წესით მოსთხოვოს თავისი შენახვა საკმაო სახსრების მქონე ბაბუასა და ბებიას, უკეთუ მშობლებს, ძმებსა და დებს მისი შენახვა არ შეუძლიათ.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავს მტკიცე ფულადი თანხით, მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

### **რა დროიდან უნდა გადახდეს მოპასუხეს ბავშვის შესანახი ალიმენტი?**

ბავშვის შესანახი ალიმენტის გადახდევინება, როგორც წესი, მოპასუხეს უნდა დაეკისროს სასამართლოში სარჩელის აღძვრის დღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე წარადგენს საქმეზე მტკიცებას, რომ იგი სარჩელის აღძვრამდე ლეზულობდა ზომებს მოპასუხისაგან ალიმენტის მისაღებად, მაგრამ ვერ შესძლო მისი მიღება იმის გამო, რომ მოპასუხე თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა მიხედვით მოპასუხეს დააკისროს ალიმენტის გადახდევინება წარსული დროისათვისაც, მაგრამ საერთო სასარჩელო ხანდაზმულობის (3 წლის) ვადის ფარგლებში.

### **შეიძლება თუ არა ალიმენტის გადახდევინება აღსრულების ფურცლით წარსული დროის განმავლობაში?**

სასამართლოს აღსრულების ფურცლით წარსული დროის ალიმენტის გადახდევინება შეიძლება მხოლოდ უკანასკნელი სამი წლის ვადის ფარგლებში, რაც წინ უძღვის აღსრულების ფურცლის აღსრულებისათვის წარდგენას.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულებისათვის წარდგენილი აღსრულების ფურცლით ალიმენტის გადახდევინება არ სწარმოებდა მოპასუხის ძებნის გამო,

გადახდევინებული უნდა იქნას მთელი წარსული პერიოდის ალიმენტი, დამოუკიდებლად დაწესებული ხანდაზმულობის ვადისა. მოცემულ შემთხვევაში ალიმენტის დავალიანების ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს იმ ხელფასის ან სხვა შემოსავლის მიხედვით, რომელსაც მოპასუხე ღებულობდა დავალიანების დაგროვების პერიოდში. ამ დავალიანების გადახდევინება სწარმოებს დამოუკიდებლად იმისა, ალიმენტის მიმღებმა პირმა მიაღწია თუ არა სრულწლოვანების ასაკს.

მოპასუხე შეიძლება განთავისუფლებული იქნას მთლიანად ან ნაწილობრივ ალიმენტის დავალიანების გადახდევინებისაგან მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ალიმენტის დავალიანების მთლიანად ან ნაწილობრივ გადახდევინებისაგან განთავისუფლების საკითხს სასამართლო გადასწყვეტს ალიმენტის დავალიანების წარმომშობი მიზეზებისა და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

---



## აღბანეთის სახალხო რესპუბლიკა

სახალხო კრების პრეზიდიუმმა 1958 წლის 22 სექტემბერს მიიღო დეკრეტი „სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“.

სახალხო მოსამართლეები და მათი თანაშემწეები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე 3 წლის ვადით. არჩევნებში მონაწილეობენ ყველა მოქალაქეები, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ, გარდა იმ პირებისა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამოართმეული აქვთ კანონით. საარჩევნო უბანი იქმნება თვითეთუ 500-1500 მაცხოვრებელზე. დეკრეტი აწესრიგებს არჩევნების ორგანიზაციის, ჩატარებისა და ხმის მიცემის შედეგების შემოწმების მთელ რიგ საკითხებს.

## უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა


1958 წლის 27 სექტემბერს მიღებულია კანონი „სახელმწიფო კრების დებუტატებისა და ადგილობრივი საბჭოების წევრების არჩევნების კანონმდებლობის შეცვლისა და დამატების შესახებ“.

კანონს არსებითი ცვლილებები შეაქვს მოქმედ საარჩევნო უფლების ნორმებში, კერძოდ 1953 და 1954 წლების კანონებში, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებს, საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციისა და მშრომელი კოლექტივების წარმომადგენლობის გაზრდის, ასევე არჩევნების ჩატარებისა და ორგანიზაციის წესში ერთგვაროვნების დადგენის მიმართებით.

ცვლილებები შეეხება საარჩევნო ოლქებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიების შექმნის წესებს, ხმის მიცემის შედეგების გასაჩივრების წესებს და სხვა საკითხებს.

ამავე საკითხზე გამოიცა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის დადგენილებები 1958 წლის 14 სექტემბერს „ამომრჩეველთა სიების შედგენის შესახებ“ და 1958 წლის 27 სექტემბერს „სახელმწიფო კრების დებუტატებისა და ადგილობრივი საბჭოების წევრების არჩევნების შესახებ“. როგორც ცნობილია, სახელმწიფო კრების არჩევნებში სამამულო სახალხო ფრონტმა სრული გამარჯვება მოიპოვა, შეაგროვა ყველა მიცემული ხმების 99,6 პროცენტი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა 1958 წლის 27 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება „სახელმწიფო კრების არჩევნების მოქმედი კანონმდებლობის ოფიციალური კრებულის შესახებ“.



აღნიშნული კრებული, რომელიც არსებითად წარმოადგენს დებულებას არჩევნების შესახებ, შედგება 11 თავისაგან: 1. ზოგადი დადგენილებები; 2. ამომრჩეველთა სიების შედგენა; 3. ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიები; 4. კანდიდატების წამოყენება; 5. არჩევნების სისწორისა და შეუფერხებლობის უზრუნველყოფა; 6. არჩევნების დღის დანიშვნა და ხმის მიცემა; 7. ხმების დათვლა; 8. არჩევნების შედეგების განსაზღვრა და გამოქვეყნება; 9. დამატებითი არჩევნები; 10. საარჩევნო უფლება და არჩევნების სისხლის სამართლებრივი დაცვა; 11. შერეული დადგენილებები. არჩევნების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის უზუნველყოფა ევალება მინისტრთა საბჭოს.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

1958 წლის 24 სექტემბერს მიღებულია კანონი „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატაში არჩევნების შესახებ“.

კანონი უზრუნველყოფს მშრომელთა სამართლიან წარმომადგენლობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფოებრივ ორგანოში — სახალხო პალატაში არჩევნების აქტიურად ჩატარების საქმეში მოსახლეობის ყველა ფენის ჩაბმის გზით, დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტში ქვეყნის ყველა მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალების გაერთიანების ნიშნის ქვეშ. კანონი სწვევტს საარჩევნო უფლების რიგ კონკრეტულ საკითხებს. კერძოდ, განსაზღვრავს ამომრჩეველთა უფლებებსა და მოვალეობებს, საარჩევნო სიების შედგენის, კანდიდატების წამოყენების, საარჩევნო კომისიების შექმნისა და მოღვაწეობის, არჩევნების შედეგების შეჯამებისა და გამოქვეყნების წესებს და სხვა. როგორც ცნობილია, სახალხო პალატის არჩევნებში, რაც 1958 წლის 16 ნოემბერს ჩატარდა, დემოკრატიული გერმანიის ეროვნულმა ფრონტმა სრული გამარჯვება მოიპოვა, შეავროვა რა ყველა მიცემული ხმების 99.87 პროცენტი.

1958 წლის 24 სექტემბერს მიღებულია კანონი „სახელმწიფოს მიერ სპეკულაციური წარმოშობის ცალკეული თანხების, რომლებიც კონფისკაციაქმნილია ფულის გამოცვლის დროს, გამოყენების შესახებ“.

ფულადი ნიშნების გამოცვლასთან დაკავშირებით, რაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა, გამოაშკარავდა ცალკეული თანხების სპეკულაციური წარმოშობის ფაქტები; ეს თანხები ამ კანონის ძალით, რაიონული საბჭოების შემოწმებელი კომისიების დასკვნით, მშენებლობისათვის გამოიყენებიან.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

1958 წლის 25 სექტემბერს გამოქვეყნებულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახელმწიფო საბჭოს დადგენილება „ფიზიკურ შრომაში ადმინისტრაციული და პარტიული მუშაკების მონაწილეობის შესახებ“.



დადგენილების თანახმად თვითეული მუშაკი ვალდებულია წელიწადში არა ნაკლებ ერთი თვისა იმუშაოს ფიზიკურად მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში. ფიზიკურ შრომაში მონაწილეობა უნდა მიიღონ წარმოება-დაწესებულებათა და სამხედრო ნაწილების მოსამსახურეებმა, ავადმყოფებისა და იმ პირთა გამოკლებით, რომელთაც შრომა არ შეუძლიათ ან მხოლოდ მსუბუქ სამუშაოების შესრულების უნარი შესწევთ.

ეს ღონისძიება, როგორც ხაზგასმულია დადგენილებაში, ხელს შეუწყობს კადრის მუშაკისა და მშრომელი მასების მჭიდრო დაკავშირებას და კეთილყოფელ გავლენას მოახდენს ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგზე.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

1958 წლის 2 ოქტომბერს მიღებულია კანონი „საყოველთაო სავალდებულო არასრული საშუალო განათლების შემოღებისა და სავალდებულო ტექნიკური სწავლების შემოღებისათვის მზადების შესახებ“.

კანონში ნათქვამია, რომ თანამედროვე პირობებში, როდესაც სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა არსებობისას ქვეყანა ტექნიკური რეკონსტრუქციის პერიოდში შევიდა, კორეელი ხალხის წინაშე არსებითი ხასიათის ამოცანის სახით დგას კულტურული რევოლუციის განხორციელება. 1958 წლის 1 ნოემბრიდან რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია უფასო სწავლება არასრულ საშუალო სკოლაში და ტარდება ღონისძიებათა კომპლექსი მრავალ ტექნიკურ სასწავლებლების რეორგანიზაციისათვის. დაგეგმილია ახალი სკოლების, ტექნიკუმების, სასწავლებლებისა და კურსების გახსნა, რომლებიც მოამზადებენ ტექნიკურ სპეციალისტებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

## მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა 1958 წლის 7 ოქტომბერს მიიღო ბრძანებულება „შრომის დაგების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“.

დებულებაში მოწესრიგებულია ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეთა შორის აღმოცენებული შრომის დაგების გადამწყვეტი კომისიების ორგანიზაციის, კომპეტენციისა და მუშაობის წესრიგის საკითხები, მოცემულია დაგებზე გადაწყვეტილებების გამოტანის პრინციპები და მათი აღსრულების წესები. დებულებაში მოცემულია საკითხები, რომლებსაც იხილავენ კომისიები და აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც დავა შეიძლება გადაეცეს გადასაწყვეტად პროფკავშირების ადგილობრივ კომიტეტს ან სათანადო სახალხო სასამართლოს.



## კოლონეთის სახალხო რესპუბლიკა

მინისტრთა საბჭომ 1958 წლის 26 სექტემბერს მიიღო დადგენილება „საწარმოო პრაქტიკისა და პროფესიონალური სწავლების დროს ახალგაზრდობის შრომის შესახებ, მათთვის გარკვეული შრომითი ჩვევების დანერგვისა და შესასვლელი შრომითი სტაჟის გავლის შესახებ“.

ეს დადგენილება, რომელიც გამოცემულია ამავე საკითხისადმი მიძღვნილი 1958 წლის 2 ივლისის კანონის განსავითარებლად, ადგენს ახალგაზრდობის მიერ ქარხნებსა და დაწესებულებებში საწარმოო პრაქტიკის გავლის წესსა და ვადებს, შრომის დიფერენციალურ ანაზღაურებას, სპეციალობის მიხედვით გამოცდების ჩაბარების წესს, შრომის მოწყობას და სწყვეტს შრომის სამართლის ზოგიერთ სხვა საკითხს. დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ფართოდ მიიზიდება პროფკავშირული ორგანიზაციები.

## რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა

დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა 1958 წლის 8 ოქტომბერს მიიღო ბრძანებულება „საზოგადოებრივ გზებზე მოძრაობის შესახებ“.

მნიშვნელოვნად იზრდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობა გზების მდგომარეობისათვის და მილიციის ორგანოებისა — ადამიანთა თავმოყრისა და განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონების გზებსა და მოედნებზე ტრანსპორტის ნორმალური მოძრაობის უზრუნველყოფისათვის. ძლიერდება ავტომანქანებისა და საქალაქო ტრანსპორტის მძღოლების პასუხისმგებლობა ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვისათვის და ამასთან დაკავშირებით ამდლებულია მომთხოვნელობა მძღოლების პროფესიონალური მომზადებისადმი. ბრძანებულებაში მოყვანილია გზებზე დარღვევების ნუსხა და სასჯელის შესაბამისი ზომები.

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ 1958 წლის 1 ოქტომბერს გამოაქვეყნა განცხადება „მოქალაქეთა საჩივრების, განცხადებებისა და წინადადებების განხილვის შესახებ“.

ეს განცხადება მიღებულია წარმოება-დაწესებულებისა და ადმინისტრაციული აპარატის მუშაობის სრულყოფის საკითხებში მშრომელთა ინიციატივის განვითარების მიზნით. განცხადებაში ნათქვამია, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ შეიტანონ წინადადებები როგორც შრომის პირობებისა და ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესების, აგრეთვე სახალხო მეურნეობის საერთო განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე საკითხებზე. გათვალისწინებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ მშრომელთა განცხადებებისა და წინადადებების განხილვის მომწესრიგებელი ღონისძიებები.



## სამაქთლის განყოფილებისა და სისხლის სამართლის კათედრის გაეკთიანებაჲი სხდომა

1959 წლის 27 თებერვალს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებისა და უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გაერთიანებული სხდომა.

სხდომა საჯარო იყო და მას გარდა მეცნიერ მუშაკებისა დაესწრნენ სასამართლო-პროკურატურის ორგანოების თანამშრომლები და აგრეთვე ადვოკატთა კოლეგიის წევრები.

მომხსენებები გააკეთეს: პროფ. თ. ვ. წერეთელმა თემაზე „ცვლილებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“ და დოც. ბ. ზ. ფურცხვანიძემ —

„ცვლილებანი სასამართლო წყობილებისა და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების კანონმდებლობაში“.

მომხსენებელთა მიერ გაუქმებული იქნა არსებითი ხასიათის საკითხები გამომდინარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებული დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონებიდან.

დამსწრეთა შორის მოხსენებებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და მრავალი შეკითხვა მისცეს მომხსენებლებს.

სხდომის თავმჯდომარემ პროფ. ა. კ. ვაჩიშვილმა დასკვნით სიტყვაში მაღალი შეფასება მისცა მოხსენებებს და მაღლობა გამოუტყადა პროფ. თ. წერეთელსა და დოც. ბ. ფურცხვანიძეს.

## იუკილიუდი სამსახურის მუშაკთა თათბირი

თბილისში ჩატარდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში შემავალი საწარმოების იურიდიული სამსახურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ჯომარჯიძემ. ამხ. ჯომარჯიძემ თავის სიტყვაში თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმ აქტუალურ საკითხებზე, რაც დასახულია სახალხო მეურნეობის სისტემაში მომუშავე იურიდიული დარგის მუშაკე-

ბის წინაშე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შევიწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

თათბირზე დამსწრეთ თავისი გამოცდილება გაუზიარეს რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის იურიდიულო განყოფილების უფროსმა ლ. მნაცავანოვმა, „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტის იურიდიული განყოფილების უფროსმა ს. კაპანაძემ, „ტყიბულქვანანშირის“ ტრესტის იურისკონსულტმა მ. აბესაძემ

და „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის უფროსმა იურისკონსულტმა რუდავსკიმ.

როგორც მომხსენებლებმა ისე თათბირზე სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში მომუშავე იურისტებს პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო მუშაკებთან ერთად გარკვეული წვლილი შეაქვთ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, იბრძვიან სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა, წუნის მკეთებელთა და ყოველგვარი უყაირათობის წინააღმდეგ.

თათბირზე აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი დაუდევრობა და უყაირათობა, ზოგჯერ ადგილი აქვს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობას, რის გამოც საგრძნობია ჯარიმების გადახდით მიყენებული ზარალი, ად-

გილი აქვს მუშაობის უსაშიშროობის წესების დარღვევის შემთხვევებს და სხვ.

თათბირმა თავის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საწარმოებში ტექნიკური უსაშიშროობის წესების დარღვევების გამო გამოწვეული დასახიჩრების ზრდის საკითხებს და ზოგჯერ ამ კატეგორიის საქმეების სასამართლო ორგანოებში არასწორად განხილვის შემთხვევებს.

თათბირზე განმარტებული იქნა აგრეთვე ზოგიერთი ახალი საკანონმდებლო აქტი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პროფსაბჭოს იურიდიული განყოფილების, საქართველოს არბიტრაჟისა და სხვა მუშაკებმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული ჯგუფის უფროსმა ნ. წერეთელმა.

## თათბირი მიძღვნილი საზოგადოებრივი წესრიგის განმგვიცხვისათვის

თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პარტიის რაიკომში ჩატარდა რაიონის პროკურატურის, სახალხო სასამართლოსა და მილიციის მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, ლოთობის, ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

თათბირზე შეჯამებული იქნა ლენინის რაიონის პროკურატურის, სახალხო სასამართლოსა და მილიციის მიერ შარშან ჩატარებული მუშაობის შედეგები, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ჩატარებული ღონისძიებანი, დასახული იქნა ახალი ამოცანები რაიონის ტერიტორიაზე ყოველგვარი დანა-

შაულებრივი ქმედობის აღმოფხვრისათვის.

თათბირზე ვრცელი ინფორმაციით გამოვიდნენ რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. შეწირული, პროკურორი გ. ბარამიძე, ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი მ. მურცხვალაძე, ქვეგანყოფილების უფროსი გ. გოგიბერიძე და სხვები, რომლებმაც თათბირის მონაწილეებს გააცნეს მათ მიერ ჩატარებული მუშაობა.

მილიციის ორგანოების, პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს მუშაკების მორიგ ამოცანებზე თათბირის მონაწილეებს ესაუბრნენ საქართველოს





სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. ვეფხვაძე, თავმჯდომარის მოადგილე გ. ცქიტიშვილი, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ა. გივაური. მათ აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ გვხვდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები და საჭიროა მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება. საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფართო აღმზრდელობითი ხასიათის ლექცია-მოსხენებების მოწყობას საწარმო-დაწესებულებებში. დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ თავშესაყარ ადგილებში ყოველგვარი უწესრიგობისა და დანაშაუ-

ლებრივი მოქმედების აღმოსაფხვრელად სახალხო მილიციის ნებაყოფლობითი რაზმების გამოყენებას.

თათბირის დასასრულს საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. გოგლიძემ აღნიშნა, რომ სსსურველი იქნებოდა ხულიგნებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა საქმეების გადაგზავნა იმ საწარმო-დაწესებულებებში, სადაც დამნაშავე მუშაობს, რომ იგი განხილული იქნას ადგილზე პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე. ასეთ ღონისძიებათა გატარება ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და განმტკიცებას.

## კ ა რ გ ი ნ ა მ ო ნ ყ ე ბ ა

მშრომელებთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ უკანასკნელ ხანებში გატარებული იქნა მთელი რიგი საინტერესო ღონისძიებანი, მათ შორის ქალაქის მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში იურიდიულ საკითხებზე კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარება, კონსულტაციების მოწყობა.

ამას წინათ იურიდიულ საკითხებზე კითხვა-პასუხის საღამო ჩატარდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კლუბში.

ფეიქრებმა 100-მდე წერილობითი და ზეპირი შეკითხვა შემოიტანეს, რაზედაც დაწვრილებით პასუხობდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი გ. მეგრელიშვილი, სამოქალაქო საქმეთა განყოფილების სასამართლო ზედამხედველობის განყოფილების

უფროსი კ. ასეიშვილი, ქ. თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი დ. ფოჩიანი. მათ მშრომელებს დაწვრილებით განუმარტეს სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, შრომის, საპენსიო და საბინაო კანონმდებლობის მრავალი საკითხი.

საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკები კითხვა-პასუხის საღამოს იურიდიულ საკითხებზე უახლოეს ხანში გამართავენ თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ და ფოლადთუჯსამსხმელ ქარხნებში, შამპანური ღვინის კომბინატში, ვეხსაცმლის № 1 და თამბაქოს ფაბრიკებში, პერიოდულად იმორიგეობენ ქალაქის მსხვილ საწარმოებში და იქ ადგილზე მიიღებენ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც საჩივარი აქვთ ან კონსულტაცია ესაჭიროებათ.

# სასამართლო პრაქტიკა

## სისხლის სამართლის საქმეებზე

აუცილებელი მოგერიება, თუ არ იქნა გადაჭარბებული მოგერიების საზღვარი, არ შეიძლება ჩაითვალოს დასასჯელ მოქმედებად

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსრ სს კოდექსის 153-ე მუხლით ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მოქ. უ-ვს.

უ-ვი სასამართლომ დამნაშავედ იცნო იმაში, რომ მან 1958 წლის 16 აგვისტოს ძლიერი სულიერი აღელვების შედეგად სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიაყენა მოქ. ჯ-ძეს, ხოლო მსუბუქი დაზიანება მოქალაქეებს მ-ძეს, ლ-ძეს და შ-ძეს. აღნიშნული განაჩენი საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის მიერ ძალაშია დატოვებული.

მსჯავრდადებულ უ-ვს თავის ძმასთან ერთად ორთვალა ურმით ტყიდან ფიჩხი მოქონდა. დაზარალებულებმა ჯ-ძემ, შ-ძემ და სხვებმა, რომლებიც მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მას გზა გადაუღობეს, თავი გააცვენეს სატყეო მეურნეობის მუშაკებად და უ-ვს ფიჩხის გამოტანის ნებართვა მოსთხოვეს. რადგან ასეთი უ-ვს არ აღმოაჩნდა, ჯ-ძემ და მ-ძემ მოსთხოვეს მათ ორმოც-ორმოცი მანეთი. იმის გამო, რომ უ-ვმა ფულის მიცემაზე უარი განაცხადა, დაზარალებულებმა დაუწყეს მას ცემა, წარბისა და მარცხენა მკლავის არეში ბასრი იარაღით ჭრილობები მიაყენეს. უ-ვის ძმა იძულებული იყო გაქცეულიყო სოფელში და შველა ეთხოვა. მსჯავრდადებულ უ-ვი აღმოჩნდა მძი-

მე მდგომარეობაში, მას სცემდა ხუთი კაცი, ბასრი იარაღით ჭრილობები მიაყენეს, ამიტომ იგი იძულებული შეიქმნა დაეცვა თავი და მოგერიების მიზნით მიაყენა დაზარალებულებს, ერთს სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება, ხოლო სამს მსუბუქი დაზიანება.

საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მსჯავრდადებულ უ-ვის და მისი ძმის მიერ ადგილი ქონდა რაიმე გამომწვევ მოქმედებას დაზარალებულის მიმართ, პირიქით, როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების მასალები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ უ-ვი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ხუთი თავდამსხმელის წინააღმდეგ. სახალხო სასამართლო უ-ვის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის დროს ვალდებული იყო ეხელმძღვანელა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბრის № 8 დადგენილებით აუცილებელი მოგერიების საქმეებზე კანონმდებლობის შეფარდების სასამართლო პრაქტიკის ნაკლოვანებების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 იანვრის დადგენილებით სასამართლოს განაჩენი უ-ვის საქმეზე გაუქმებული იქნა და საქმე წარმოებით მოისპო უ-ვის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.



## სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დამნაშავის პიროვნება

ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 8 დეკემბრის განაჩენით მოქ. კ-ს საქართველოს სსრ სს კოდექსის 75 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მიუსაჯა ერთნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სს კოდექსის 48 მუხლის შესაბამისად შეუცვალა შრომა-გასწორებითი მუშაობით ერთი წლის ვადით სასჯელის სამუშაო ადგილზე მოხდით.

სასამართლომ კ. დამნაშავედ სცნო მასში, რომ მან ქ-სთან ერთად სოფელ ხ-თის კოლმეურნეობის კანტორაში 1958 წლის 3 ნოემბერს ჩაიდინა თავაწყვეტილი ხულიგნობა, მსუბუქი კატეგორიის ფიზიკური დაზიანება მიაყენა კოლმეურნეობის ღამის დარაჯს, პუხპალტერს და ბრიგადირს, დაამტვრია ინვენტარი — მაგიდები, სკამები, რადიომიმღები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ კ-ს მიერ ხულიგნობა ჩადენილი იყო მეტად დამამძიმებელ გარემოებაში და ატარებდა ამკარა ბოროტულ ხასიათს, რის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის მიერ ორჯერ იყო ამ საქმეზე გაუქმებული განაჩენი, როგორც ლმობიერი, სახალხო სასამართლომ კვლავ მეტად ლმობიერი სასჯელი დაუნიშნა მას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით კ-ს საქმეზე გაუქმებული იქნა განაჩენი და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება სასჯელის ლმობიერების გამო და საქმე ხელახლად განსახილველად დაექვემდებარა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიას პირველი ინსტანციით.

## სამართალში მიცემულის უფლების დარღვევა დაცვაზე დაუშვებელია

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 11 დეკემბრის განაჩენით მოქ. პ-ნი მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსრ სს კოდექსის 144 მუხლის „ა“ პუნქტით თავისუფლების აღკვეთით ათი წლის ვადით. ეს განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის დადგენილებით დატოვებული იქნა ძალაში.

პ-ნი ცნობილი იქნა დამნაშავედ იმაში, რომ 1956 წლის 29 სექტემბერს მართავდა რა მთვრალ მდგომარეობაში თავის საკუთარ მანქანას, ტრამვაის გაჩერებასთან დააჯახა იგი მოქალაქე გ-ძეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 16

იანვარს განიხილა პ-ნის ბრალდების საქმე რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტით, გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელახლად განსახილველად დაუბრუნა სასამართლოს იმის გამო, რომ სამსჯავრო გამოძიების დროს უხეშად იყო დარღვეული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მოთხოვნა; სასამართლო-სამსჯავრო გამოძიება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, და იმის გამო, რომ სამართალში მიცემულმა პ-მა ქართული ენა არ იცის, მოწვეული იქნა თარჯიმანი, მაგრამ ეს უკანასკნელი სასამართლოს მიერ არ ყოფილა გაფრთხილებული სს კოდექსის 95 მუხლის შესაბამისად არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის შე-

სახებ: ამასთან სასამართლოს სხდომის ოქმიდან არ ჩანდა, ფაქტიურად მონაწილეობდა თუ არა თარჯიმანი პრო-

ცესში, რადგან სასამართლოში მიცემული არცერთი ჩვენება პ-ს არ გადაუთარგმნია.

**სასამართლოს მოსაზრება, რომელიც გამოძიებაში შემოწმებულ მტკიცებებზე განაჩენს.**

**არ არის დამყარებული სამსჯავრო არ შეიძლება დაედოს საფუძვლად**

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 25 მარტის განაჩენით გ. დ. ბ-ლი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ მეორე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში და მიესჯა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, მასვე დაეკისრა თბილვაჭრობის სასარგებლოდ 28.843 მანეთის გადახდა.

როტმოქმედთ გაეტეხათ მაღაზია და დაეტაცნათ მატერიალური ფასეულობანი.

არც წინასწარი და არც სამსჯავრო გამოძიების მიერ არ იყო შეკრებილი იმის მამტკიცებელი მასალა, რომ ბ-ლი დაკავშირებული იყო ბოროტმოქმედებთან და წინასწარი შეცნობით დატოვა სადარაჯო. სასამართლომ განაჩენი დაამყარა მარტოდენ თავის მოსაზრებაზე, რომ გარეშე პირთ არ შეეძლოთ დარაჯ ბ-ლთან შეთანხმების გარეშე გაეტეხათ მაღაზია და მოკლე დროის განმავლობაში გაეტაცათ დიდი რაოდენობის საქონელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის დადგენილებით სახალხო სასამართლოს განაჩენი ბ-ლის მიმართ დატოვებული იქნა ძალაში.


საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 16 იანვრის დადგენილებით სახალხო სასამართლოსა და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილებაში შეიტანა ცვლილება — ბ-ლის მიერ ჩადენილი დანაშაული დააკვალიფიცირა საქ. სსრ სს კოდექსის 117 მუხლით და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ-ლს ბრალი დაედო იმაში, რომ მუშაობდა რა თბილვაჭრობის ერთერთი მაღაზიის ღამის დარაჯად, 1958 წლის 6 იანვარს განზრახ დატოვა სადარაჯო ობიექტი და ამით ხელი შეუწყო ბო-

**არ შეიძლება განხილული იქნას როგორც ხულიგნობა მოქალაქეთა მიერ სხეულის ურთიერთ დაზიანების მიყენება, თუ ასეთს თან არ ახლდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა.**

თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 10-11 ოქტომბრის განაჩენით მოქალაქე ს-ლი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 75 მუხლის მეორე ნაწილით და 155 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში იმისათვის, რომ მან მსუბუქი კატეგორიის დაზიანება მიაყენა ამავე საქმეზე მსჯავრდებულ მოქ. ე-ვს.

წინასწარი და სასამართლო სამსჯავრო გამოძიებით დადგენილია, რომ ს-ს და ე-ვს საკოლმეურნეო ბაზრის წინ ჩხუბი მოუხდათ იმის გამო, რომ ს-ლი ე-ვისაგან მოითხოვდა ვალის დაბრუნებას, ხოლო ეს უკანასკნელი, ისე როგორც სხვა დროს, ამჯერადაც უარს ეუბნებოდა. ს-ლი და ე-ვი შელაპარაკდნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მია-



ყენეს ერთმანეთს. ე-მა წააქცია ს-ლი და მუცლის არეში დანის დარტყმით სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიაყენა; ხოლო ს-მა ე-ვს მიაყენა მსუბუქი კატეგორიის დაზიანება. ე-ვს სს კოდექსის 151 მუხლის შესაბამისად ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ს-ლის და ე-ვს შორის ჩხუბის საფუძველი იყო არა ხულიგნური თავაწყვეტილი მოქმედება, არამედ

გარკვეული სამოქალაქო ურთიერთობა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა იხელმძღვანელა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1953 წლის 20 მარტის დადგენილების № 5 „2“ მუხლით და ს-ლის მიმართ სასამართლოს განაჩენში შეიტანა ცვლილება — სს კოდექსის 75 მუხლის ნაწილში საქმე წარმოებით მოსპო, ხოლო სსკ 155 მუხლით განსაზღვრული სასჯელი სსკ 50 მუხლის შესაბამისად შეუცვალა პირობით.

**საქართველოს სსრ სსკ 72 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ ძალადობის გამოყენებას მის მიერ სამსახურით დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს და არა უბრალო წინააღმდეგობის გაწევას.**

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 29 აპრილის განაჩენით მოქ. კ. ე. კ-ძე ცნობილია დამნაშავედ საქ. სსრ სსკ 72 მუხლის პირველი ნაწილით და 75 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 1958 წლის 28 მაისის დადგენილებით აღნიშნული განაჩენი დატოვებულია ძალაში.

სასამართლოს განაჩენის მიხედვით კ-ძის დანაშაული იმაში გამოიხატა, რომ მან მთვრალ მდგომარეობაში მილიციის განყოფილების ეზოში ჩაიდინა თავაწყვეტილი ხულიგნური მოქმედება, ავინა მილიციის მუშაკებს და გაუწვია მათ წინააღმდეგობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კ-ძე მთვრალ მდგომარეობაში მყოფი მივიდა მილიციის განყოფილების ეზოში და მოინდომა თვითნებურად წაეყვანა ჩამორთმეული და დაკავებული ავტომანქანა, რომელიც მასზე არ იყო გაფორმებული, და იმის გამო, რომ მილიციის მუშაკებმა მას ამის საშუალებ

ა არ მისცეს, ჩაიდინა ხულიგნური მოქმედება, რაც სახალხო სასამართლოს მიერ სწორად იქნა შეფასებული და სასჯელიც სათანადოდ განსაზღვრული, მაგრამ სსკ 72 მუხლის პირველ ნაწილით კ-ძე არა სწორად იქნა მსჯავრდადებული, რადგან კ-ძეს მილიციის მუშაკების მიმართ ძალადობა არ უხმარია, ფიზიკური შეურაცხყოფა მათთვის არ მიუყენებია, როგორც ამას ითვალისწინებს სს კოდექსის 72 მუხლის 1-ლი ნაწილი. მარტოოდენ წინააღმდეგობის გაწევა კი არ შეიცავს სსკ 72 მუხლის I ნაწილის ნიშნებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 2 თებერვლის დადგენილებით დააკმაყოფილა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი და კ-ძის მიმართ სახალხო სასამართლოს განაჩენში შეიტანა ცვლილება — სსკ 72 მუხლის I ნაწილის ნაცვლად კ-ძის მიერ მილიციის მუშაკებისადმი წინააღმდეგობის გაწევა დააკვალიფიცირა ამავე მუხლის მეორე ნაწილით და ამის შესაბამისად განსაზღვრა სასჯელის ზომა.

**1957 წლის 1 ნოემბრის ამინისტია „ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად“ არ შეეფარდება იმ პირს, რომელიც წინადასამართლებული იყო ქურდობისათვის.**

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 24 იანვრის განაჩენით მოქ. კ-სკის საქართველოს სსრ სსკ 75 მუხლის II ნაწილით მიესაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა. 1957 წლის 1 ნოემბრის ამინისტიის შეფარდებით სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელი გაუხანგვრდა.

შეუფარდა რა 1957 წლის 1 ნოემბრის ამინისტია „ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად“, სახალხო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ეს ამინისტია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 10 ნოემბრის № 701 დადგენილების მეოთხე მუხლის „ე“ პუნქტის შე-

საბამისად არ შეეფარდება იმ პირს, ვინც წინადასამართლებული იყო ქურდობისათვის. კ-სკი კი უკანასკნელი დანაშაულის ჩადენამდე, 1951 წელს მსჯავრდადებული იყო ქურდობისათვის.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი და სახალხო სასამართლოს განაჩენიდან ამორიცხა 1957 წლის 1 ნოემბრის ამინისტიის შეფარდება, მაგრამ შესაძლებლად ჩასთვალა დაეტოვებია უცვლელად სახალხო სასამართლოს მიერ საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელის ზომა — ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

**სამხედრო ნაწილში ჩარიცხული წვევამდელის მიერ დანიშნულებისამებრ გამოცხადებისაგან თავის არიდება უნდა განხილული იქნას როგორც დეფერტირობა.**

ვანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 22 დეკემბრის განაჩენით ს. ნ. ჯ-ძეს საქართველოს სსრ სსკ 58-18 მუხლის II ნაწილით მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.


1959 წლის 16 იანვრის განაჩენით საქ. სსრ სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ ეს განაჩენი ძალაში დატოვა.

ს. ნ. ჯ-ძე დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ იგი სამხედრო კომისარიატის მიერ ჩარიცხული იყო სამხედრო ნაწილში, მაგრამ საბჭოთა არმიაში დანიშნულ ადგილას გაგზავნის დროს სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით მიიმალა.

ჯ-ძის ბრალდების საქმე უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტით განიხილა საქართველოს სსრ

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა და დააკმაყოფილა რა პროტესტის მოთხოვნა, გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გადაუგზავნა სამხედრო პროკურატურას შემდეგ მოსაზრებათა გამო:

„მშვიდობიანობის პერიოდში ჯარისკაცებისა და სერჟანტების მიერ მოქმედი სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ თანახმად, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, სსრ კავშირის სამხედრო მინისტრის 1952 წლის № 36 ბრძანებით, წვევამდელები, რომლებიც გამოცხადდნენ სამხედრო კომისარიატში სამხედრო ნაწილში გასაგზავნად, ითვლებიან სამხედრო მოსამსახურედ და მათ მიერ სამხედრო



ნაწილში წასვლისაგან თავის არიდება, მიმალვა ან გზიდან გაქცევა უნდა განხილული იქნას, როგორც დეზერტირობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯ-ძე სამხედრო კომისარიატის მიერ ჩარიცხული იყო სამხედრო ნაწილში და გაგზავნილი დანიშნულებისამებრ, მაგრამ მიიძალა და თავი აარიდა სამხედ-

რო სამსახურს, ე. ი. ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული „სამხედრო დანაშაულის შესახებ“ დებულების მე-7 მუხლით და არა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სს კოდექსის 58<sup>18</sup> მუხლის მეორე ნაწილით, როგორც ეს არასწორად დააკვალიფიცირა სსხალხო სასამართლომ.

## სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

მშენებლობაზე ნებართვის გაცემის შესახებ დავის გადაწყვეტა  
სასამართლოს არ ექვემდებარება

მოქალაქე მ. ნ. ტოკარევმა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის სასამართლოში აღძრა სარჩელი მოლდავსკაიას მიმართ და სასამართლოს სთხოვა მისი ოთახის გვერდით ერთი ოთახის მიშენების უფლება, რადგან მოპასუხე მოლდავსკაია ამგვარი მიშენების წინააღმდეგი იყო.

სახალხო მოსამართლემ 1958 წლის 10 მაისს რეზოლუციით უარი უთხრა მოქ. ტოკარევს სასარჩელო განცხადების მიღებაზე იმ მოტივით, რომ დავა მშენებლობაზე ნებართვის გაცემის შესახებ სასამართლოს არ ექვემდებარება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ, რომელმაც განიხილა ტოკარევის კერძო საჩივარი, გააუქმა მოსამართლის აღნიშნული რეზოლუცია და წინადადება მისცა სახალხო სასამართლოს განეხილა საქმე არსებითად. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი, გააუქმა

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და ძალაში დატოვა სახალხო მოსამართლის რეზოლუცია შემდეგ მოსაზრებათა გამო:

მოქ. ტოკარევის სარჩელი სასამართლოს ქვემდებარე იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ ტოკარევის მოთხოვნა ოთახის მიშენების შესახებ დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი და ამ უფლების განხორციელებას წინააღმდეგობას გაუწევდა მოქ. მოლდავსკაია. საერთოდ კი მშენებლობაზე ნებართვის მიცემის შესახებ დავის გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის და ასეთი ნებართვის გაცემის საკითხს სწევებს მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის, ე. ი. მოქ. ტოკარევის მოთხოვნა არ შეეხებოდა დარღვეული ან სადაოდ გამხდარი უფლების აღდგენას და ამიტომ ის არ შეიძლებოდა სასამართლოს განხილვის საგანი გამხდარიყო.

## დამქირავებლის მიერ ბინის შეკეთება არ აძლევს მას უფლებას მოითხოვოს ბინის გამქირავებლისაგან შეკეთებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება

მოქ. მ-იამ ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში აღძრა სარჩელი და მოითხოვა სახლის მეპატრონე მოქ. მ-საგან ბინის შეკეთებაზე გაწეული ხარჯების 2.646 მანეთის გადახდევინება.

სახალხო სასამართლომ 1959 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით მ-იას სარჩელი დააკმაყოფილა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა რა ამ საქმეზე საქ. სსრ პროკურორის პროტესტი, გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და მოქ. მ-იას სარჩელში უარი უთხრა იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად ბინის ძირითადი შეკეთება შეადგენს სახლის პატრონის — გამქირავებლის მოვალეობას, თუ კანონში ან ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გამქირავებლის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობა უფლებას აძლევს დამქირავებელს მოახდინოს ბინის ძირითადი შეკეთება, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით და ამ შეკეთების ღირებულება ჩათვალოს ბინის ქირაში.

სახალხო სასამართლო ვალდებული იყო მოქ. მ-იას სარჩელი მ-თან გადაეწყვიტა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც არ ითვალისწინებს დამქირავებლის უფლებას მოსთხოვოს სახლის მეპატრონეს — გამქირავებელს ბინის შეკეთებაზე გაწეული ხარჯების სხვაგვარი ანაზღაურება.

**კომლიდან გასული წვერისათვის მისაცემი ქონების წილის ოდენობა სასამართლომ უნდა განსაზღვროს კომლის მეურნეობაში და საერთო ქონების შეძენაში მისი პირადი შრომით და სახსრით მონაწილეობის გათვალისწინებით და აგრეთვე იმით, თუ წვერად შესვლისას რა ოდენობის ქონება შეიტანა კომლში.**

დმანისის რაიონის პროკურორმა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა მოსარჩელე ფ. ვ. დემენტიევასა და მისი მცირეწლოვანი შვილისათვის კომლის ქონებიდან წილის გამოყოფა.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს და მის

შვილს მიეკუთვნა საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახი 18,5 კვ. მეტრი ფართობით, ხოლო კომლის დანარჩენ 6 წვერს — მეორე ოთახი 22 კვ. მეტრი ფართობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 22 თებერვლის დადგენილებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვებულია ძალაში.



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 16 თებერვალს მოცემული საქმე განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის პროტესტით. უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა რა პროტესტის მოთხოვნა სცნო, რომ მოსარჩელე მოცემული კომლის წევრთა შემადგენლობაში შევიდა ქორწინების საშუალებით 1954 წლის აგვისტოს თვეში და კომლის შემადგენლობიდან ფაქტიურად გავიდა 1955 წლის მაისის თვეში.

ამასთან ერთად დადგენილია, რომ მოცემული პერიოდის განმავლობაში მოსარჩელეს პირადი შრომით ან სახსრით არავითარი მონაწილეობა არ მიუღია კომლის მეურნეობაში და საერთო ქონების დაგროვებაში. ასეთ პირობებში მოსარჩელეს არ შეიძლება მიეკუთვნოს კომლის იმ წევრების თანაბარი წილი ქონება, რომელთაც თავისი პირადი შრომითა და სახსრებით გარკვეული მონაწილეობა მიუღიათ საერთო ქონების დაგროვებაში. სსრ კავში-

რის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 29 ივლისის № 14 (მ) (11) უ დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, კომლიდან გასული წევრისათვის მისაცემი ქონების წილის ოდენობა სასამართლომ უნდა განსაზღვროს კომლის მეურნეობაში და საერთო ქონების დაგროვებაში მისი პირადი შრომით და სახსრით მონაწილეობის გათვალისწინებით და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, თუ კომლში წევრად შესვლისას რა ღირებულების ქონება შეიტანა კომლში.

ზემოდმოხსენებულ საფუძვლების გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 20 თებერვლის დადგენილება და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახლად განხილვისათვის.

**საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების განვადების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს სამსჯავრო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით.**

მოსარჩელე ს. ტ. პ-მა აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა თავისი პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლიდან მოპასუხე ე. ა. ც-ვას გამოსახლება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1958 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა — მოპასუხის გამოსახლების შესახებ დაკმაყოფილებული იქნა.

ამის შემდეგ მოპასუხემ მიმართა მოთხოვნით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების განვადების შესახებ.

1958 წლის 13 დეკემბერს სასამართლომ მოპასუხის თხოვნა განიხილა მოსარჩელე მხარის გამოწვევის გარეშე და დააკმაყოფილა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 9 თებერვალს მოცემული საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტით. პრეზიდიუმმა უმართებულოდ სცნო სასამართლოს 1958 წლის 13 დეკემბრის დადგენილება იმ მოტივით, რომ

საქართველოს სსრ სამოქალაქო სა-  
მართლის საპროცესო კოდექსის 185-ე  
მუხლის თანახმად თხოვნას გადაწყვე-  
ტილების აღსრულების განვადების შე-  
სახებ სასამართლო განიხილავს სამს-  
ჯავრო სხდომაზე მხარეთა გამოწვევით,  
ამასთან მხარეთა გამოუცხადებლობა  
საქმის განხილვას ვერ შეაჩერებს, უკე-

თუ სასამართლოს აქვს ცნობა, რომ მათ  
უწყება ჩაბარდათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასა-  
მართლოს პრეზიდიუმმა ზემოხსენებუ-  
ლი საფუძვლის გამო გააუქმა სასა-  
მართლო კოლეგიის 1958 წლის 13 დე-  
კემბრის დადგენილება და საქმე გადას-  
ცა იმავე სასამართლოს ხელახლად გან-  
ხილვისათვის.

სარედაქციო კოლეგია:

შ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურაძე,  
გ. ინწკირველი, მ. ლეკვეიშვილი (რედაქტორის მოადგილე),  
თ. წერეთელი.

---

გადაეცა წარმოებას 30/III-59; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V-59 წ;  
ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,25.

შეკვ. № 412.

ტირაჟი 3.000

შე 02460.

---

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ Издательства ЦК КП  
Грузии, ул. Ленина № 14.

ფანდი 5 826.

1695  
საბჭოთა  
საგარეო  
აფიანების  
მინისტროს  
სამართლებრივი  
სამსახური

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда, Прокуратуры и юридической комиссии  
при Совете Министров Грузинской ССР

20